veli Eri — Das Georgische Volk

ფასი 40 ფენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერი

ქართული ეროვნული კომიტეტის ორგანო

№ 1-2 ივნისი – ივლისი 1943 ბერლინი

ქ-940

შინაარსი:

1. ქართული ცენტრი . . . . . გ. ფრონელი
2. 22 ივნისი . . . . . გენ. ლ. კერესელიძე
3. ყველა ეროვნული ძალები ქართული კომიტეტის ირგვლივ! . . . . . კ. ბოგაშელი
4. ვინ უნდა დაიწყოს შეტევა?
5. მეორე მსოფლიო ომი და საქართველო . . . . პროფ. მ. წერეთელი
6. დიდი სივრცეების პოლიტიკა . . . . . პროფ. ზ. ავალიშვილი
7. ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი (ლექსი) . . . . . გრიგოლ რობაქიძე
8. მცირე შენიშვნები მნიშვნელოვან საკითხზე . დ. ვაჩნაძე
9. ეროვნული სოციალიზმი, სოციალური პრობლემა და საქართველო . . . . . დ. საღირაშვილი
10. კომინტერნის გაუქმება . . . . . ტოგო
11. 26 მაისის დღესასწაული ბერლინში . . . . გ. ხერგაისძე
12. სიტყვა წარმოთქმული ბ-ნ მ. წერეთლის მიერ ბერლინში 26 მაისის საზეიმო დღეს
13. ჟურნალისტების მეორე საერთაშ. კონგრესი
14. თეოდორე მღვდელი . . . . . ძველი ლეგიონერი
15. სხვა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ცენტრი

მეოთხე წელიწადი სრულდება რაც კაცობრიობა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს. ამ გიგანტურ ბრძოლაში ძალა-უნებურად ჩათრეული იქმნა რუსული ბოლშეკიზმის მიერ დაპყრობილი საქართველოც. უკვე ორი წელიწადია რაც საქართველო თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზედ ჯერ არ ნახულ უბედურობას განიცდის. საქართველო ქართველებისგან ცალიერდება, საბჭოთა ხელისუფლებას ჯარში გაჰყავს ყველა მამაკაცი დაწყებული ბავშის ჰასაკიდან ვიდრე მოხუცებამდე. თვით ქართველი ქალებიც დააშორეს თავიანთ სახლობას და გაჰფანტეს სამუშაოდ და საბრძოლველადაცკი მთელ საბჭოთა კავშირში და სხვა და სხვა ფრონტებზედ.

დაობლებულ ქართულ კერებზედ ასახლებენ ურიებს და სხვა უცხო ელემენტებს, რომლებიც გამოიქცენ და საქართველოში შემოიჭრენ გერმანიის მიერ ბოლშევიზმისაგან განთავისუფლებულ მხარეებიდან. სიმშილი და ეპიდემიები ჰსპობენ საქართველოში საყოველთაო მობილიზაციისაგან კიდევ გადარჩენილ მოსახლეობას. ბოლშევიკები ძალით აბრძოლებენ წითელი არმიის რიგებში ქართველ ჯარისკაცებს, და იღვრება ქართული სისხლი, ისეთ მიზანთათვის, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ქართველი ერის ინტერესებთან. ასეთ საშინელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი მთელი ქართველი ერი.

რა არის ასეთ პირობებში ჩვენი მოვალეობა, რის გაკეთება შეგვიძლია ჩვენ, უცხოეთში მყოფ ქართველთ, რომელთაც დღითი-დღე ემატება დიდი რიცხვი ტყვეობითგან განთავისუფლებულთა? უპირველესი ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ ჩვენ გერმანელებს და მათ მოკავშირეებს მთელი ჩვენი ძალღონით დავეხმაროთ მათ ბრძოლაში ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ ყოველი შეგნებული ქართველი სამშობლოში თუ უცხოეთში მთელ თავის იმედებს გერმანელების გამარჯვებაზედ ამყარებს, რათგან ყველამ იცის, რომ დღევანდელ პირობებში გერმანიის დამარცხება ნიშნავს არა მარტო საქართველოს პოლიტიკური საკითხის დროებით გადადებას, არამედ, ადვილათ შესაძლებელია, ქართველი ერის სრულ განადგურებას.

ქართველ-გერმანელთა შორის ურთი-ერთობა ძველია. ქართველები მუდამ პატივისმცემელნი იყვნენ გერმანიის კულტურისა და ცივილიზაციისა, მაგრამ გარდა ამისა ყველა ქართველი პატრიოტისათვის დაუვიწყარია ის დახმარება, რომელიც გერმანიამ აღმოუჩინა ქართველებს 1918 წელს მისი დამოუკიდებლობის მოპოვებაში. მსოფლიო ომის შედეგი მხოლოდ ორნაირია შესაძლებელი: ან გერმანიის გამარჯვება, ან ბოლშევიზმის ქაოსი მთელ ევროპაში და, შესაძლებელია, მთელ მსოფლიოში. არის, რომ ყოველი მამულიშვილისათვის ... ყმანი ან კომპრომისი ორიენტაციის საკი... სებობდა და არც უნდა არსებობდეს. რ... ლ-ს და ეროვნულ საქმიანობას რაიმე ნაყ... დეგი მოჰყვეს, საჭიროა, რომ ეროვნუ... როვნე ქართველობა გაერთიანდეს და ... ერთი გარკვეული იდეის და მეთაურობის ... მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ჩვენ შევიძინ... ტიკური წონა, მივახწიოთ ჩვენს პოლიტიკ... ნებს და, რაც უმთავრესია, ფიზიკურად გა... ნოთ ამ ომის პროცესში მთელი ევროპის სიკ... ათასობით გაფანტული ქართველობა, რათგა... თველობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანე... ჩვენი ერისა, ურომლისოდაც ქართველ ერ... თარი მომავალი არა აქვს. ომის დაწყებისთან... ბადა აქ ქართველთა შორის საკითხი ქარ... ოვნული ცენტრის დაარსების საჭიროებისა. ... თხი იყო მეტად რთული და ამიტომ ძნელად ... წყვეტი, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ **დაის... ტრი „ქართული ეროვნული კომიტეტის არსებულია და მან დაიწყო მუშაობა.** სათ... მანულმა უწყებებმაც სცნეს საჭიროება ამ ... შექმნისა და გაგვიწიეს ჩვენ ამ საქმეში დიდი... რობა და დახმარება. ქართული ეროვნულ... ტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა პროფ. **წერეთელი.**

პროფ. მ. წერეთლის დანიშვნას ქართული... ვნული კომიტეტის თავმჯდომარედ უცხოეთში ... ქართველთა დიდი რიცხვი კმაყოფილებით და ... ბით მიეგება. პროფ. მ. წერეთელი მთელი თა... სიცოცხლის განმავლობაში დაუღალავად ებრძ... ჯერ რუსულ თვით-მპყრობელობას, ხოლო შე... ბოლშევიზმს საქართველოს უფლებების და... ვად. **ბ-ნი მ. წერეთელი არის მედროშე და მებუკ... ქართველოს ეროვნული ბრძოლისა.**

ქართული ეროვნული კომიტეტი არის დღ... თად-ერთი დასაყრდნობი ჩვენი ეროვნული მ... ბისათვის.

ყოველი ქართველი მოვალეა დაიცვას ეროვნ... დისციპლინა, საერთო ეროვნული ინტერეს... რკალში მოათავსოს თავისი საქმიანობა და პო... კური მუშაობა და ყოველივე კერძო მოქმედება ... ხდებოდეს ეროვნული კომიტეტის ხელმძ... ლობით.

ქართულ ეროვნულ კომიტეტს ევალება უც... ეთში თანამშრომლობა გერმანელებთან, აქ ქარ... ლების გაერთიანება, მათი ხელმძღვანელობა და ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ზრუნვა; ჩვენ არ გვინდა საქართველოში ჩავიტანოთ მისთვის სრულიად უცხო პოლიტიკური ფორმულები, ან მომავალი საქართველოს მეთაურობის სია. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ საქართველო იქნება ნაწილი ახალი ევროპის, და ამ ახალი ევროპისა და ჩვენი მთავარი ხაზები კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებისა საერთო იქმნებიან.

უკვე ათასობით იბრძვიან ქართველი მოხალისეები გერმანელებთან და მათ მოკავშირეებთან ერთად ბოლშევიზმის წინააღმდეგ და ისინი არიან ცოცხალი გარანტია მომავალი საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა. ჩვენ გვაქვს ღრმა რწმენა და იმედი, რომ მათ მიერ დაღვრილი სისხლი უნაყოფო არ იქმნება და ამ ეკლიანი გზით ჩვენ მივახწევთ მარადის ნანატრ თავისუფლებას, აღორძინებას და ქართველი ერის კეთილ-დღეობას.

თითქმის იმავე პირობებში, როგორც ჩვენ ქართველები, იმყოფებიან ჩვენი უახლოესი მეზობლები: სომხები, ადერბეიჯანელები და ჩრდილო კავკასიელები. ჩვენ მათ ვთვლით ჩვენ მოძმეებად და მოკავშირეებად რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ გვსურს მათთან ვიქონიოთ მჭიდრო ურთიერთობა. ჩვენ მათთან არ გვაქვს არაფერი სადავო, პირიქით— სრულიად საერთოა ჩვენი და მათი ინტერესები.

ჩვენ ვესალმებით დიდი გერმანიისა და მის მოკავშირეების მხედრებს, რომლებიც სისხლს ღვრიან დიადი მიზნების მისახწევად.

გაუმარჯოს დიდ გერმანიას და მის ბელადს ადოლფ ჰიტლერს, რომელიც იბრძვის ბოლშევიზმისა და მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ ევროპის კულტურის გადასარჩენად და ახალი ევროპის შესაქმნელად, რომლის ცხოვრება იქმნება დამყარებული ეროვნულ და სოციალურ სამართლიანობაზედ!

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს, რომელიც შევა ევროპის თავისუფალ ერთა კრებულში!

ქართული ეროვნული კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის ქართველ ლეგიონერებს, რომლებიც თავგანწირვით იბრძვიან სამშობლოს თავისუფლებისათვის და რომლებიც საფუძველს უყრიან მომავალ საქართველოს.

გ. ფრონელი

22 ივნისი

ამა წლის 22ივნისს შესრულდა ორი წელი გერმანიისა და რუსეთის შორის ომის გამოცხადებისა. მთელი 20წლის განმავლობაში ქართველიერი მოუთმენლად ელოდა ამ სანატრელ მომენტს. ქართველობამ კარგად უწყიდა, რომ ჰატარა საქართველო საკუთარი ძალით ბუმბერაზულ რუსეთს ვერ დასძლევდა, რაც 1924 წლის სახელოვანმა აჯანყებამ ნათელ ჰყო. აუცილებელი იყო რომელიმე გარეშე ძლიერი ძალის დახმარება. ხოლო ასეთ ძლიერსა და ბოლშევიზმთან ბუნებრივად დაპირდაპირებულ ძალას გერმანია წარმოადგენდა,—ის გერმანია, რომელმაც უკვე ერთხელ 1918 წელს, ჩვენი სამშობლო გაანთავისუფლა. აი რატომ არის დღეს მთელი ქართველი ხალხი სულიერად თუ ფიზიკურად გერმანიის გვერდით დარაზმული.

ქართველი ხალხი ხანგრძლივი პოლიტიკური გამოცდილებითაა აღჭურვილი და ამიტომ კარგად იცის ხოლმე საკუთარი ეროვნული მდგომარეობის ანალიზი. მან უწყის, რომ თუ კიდევ გაგრძელდა წითელი რუსეთის ბატონობა, საქართველოს გადაგვარება მოელის. იმპერატორების რუსეთმა საქართველო სახელმწიფოებრივად გააუქმა. წითელმა რუსეთმა კი მას ისიც დაუმატა, რომ ქართველი ხალხი გასცარცვა ნივთიერად და სულიერად: წაართვა მას მამა-პაპეული საკუთრება, რითაც გააბოგანა; დაუნგრია სარწმუნოება და ოჯახი ე.ი. დაუშრიტა მთავარი წყარონი ეროვნული სულიერ-ზნეობრივი ცხოვრებისა და ამოჟლიტა გონებრივად და რასიულად რჩეული ნაწილი მისი მოსახლეობისა. ცხადია, რომ განგებას გერმანია არ მოევლინა საქართველოსთვის, იგი კომუნისტურ წიაღში დიდხანს ვეღარ იბოგინებდა. ამიტომ 1941 წლის 22 ივნისი საქართველოს მომავალი თავისუფლების დღის განთიადად უნდა ჩაითვალოს.

გერმანიის გამარჯვებას რუსეთზედ ჩვენთვის ორნაირი მნიშვნელობა აქვს. პირველი ის, რომ ეს გამარჯვება საქართველოს საბოლოოდ იხსნის რუსეთის ბატონობისაგან. გერმანიის გამარჯვებას საქართველოსთვის აქვს კიდევ ის მნიშვნელობა, რომ იგი ნიშნავს ევროპიული ცივილიზაციის გამარჯვებას კომუნისტურ-მარქსისტულ ბარბაროსობაზედ. ხოლო ქართველი ერის ბედი განუყოფელად და ორგანიულადაა გადაბმული ევროპის ცივილიზაციასთან.

ერის ცხოვრება, მისი პროგრესი და კეთილდღეობა მარტო პოლიტიკურ დაკმაყოფილებას არა საჭიროებს. იგი მხოლოდ ამითი ვერ დაკმაყოფილდება. ერსა აქვს საკუთარი კულტურული არსებობა, რომლის მუდმივი განვითარება აუცილებელია მისი ეროვნული წარმატებისათვის და მისი ეროვნული სახის განმტკიცებისათვის. ხოლო ეროვნული კულტურის სამოქმედო სივრცე უზომოდ ფართეა ერის პოლიტიკურ საზღვრებზედ. მას ვერ ზღუდავს სახელმწიფოს ფარგლები და მისი სამყარო მრავალ ერთა ცივილიზაციის წიაღია. ყოველი ერი ეკუთვნის ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იმ ცივილიზაციას, რომელთან იგი დანათესავებული და დაკავშირებულია. იქ შეაქვს მას თავისი შემოქმედებითი ღვაწლი და თან იგივეა მისი მასაზრდოებელი წყარო. ჩვენი ერი დღითგან გაქრისტიანებისა ეკუთვნის ევროპიული ცივილიზაციის ოჯახს. როგორადაც პოლიტიკური დამოუკიდებლობის აგრეთვე ამ ცივილიზაციის გარეშე საქართველოს მოელის ეროვნული დეგენერაცია, ე.ი. საკუთარი ეროვნული მეობის დაკარგვა, რათგან, დაიშრიტება რა მთავარი წყარო მისი ცივილიზაციისა, დაიშრიტება თვით ქართული ეროვნული ცივილიზაციაც.

ხოლო ჩვენმა ერმა უწყის თანამედროვე ომის მნიშვნელობა. ამ ბუმბერაზულ ჭიდილში ორი ძალაა დაპირდაპირებული: კულტუროსანი ევროპა და ბოლშევიზმის სახით მოვლინებული მარქსიზმი თავისი დამანგრეველი ბუნებით. ევროპის ბრძოლას ხელმძღვანელობს გერმანია. წითელი რუსეთის გამარჯვება ნიშნავს ევროპის ცივილიზაციის განადგურებას, მსოფლიო ქაოსს.

გამარჯვებული გერმანია კი გადაახალისებს ევროპის ცივილიზაციას და ააშენებს ახალ ევროპას: დამყარებულს სრულ სამართლიანობაზედ. მაშინ აღსრულდება საქართველოს ისტორიული მისწრაფება:იგი შეიქმენება კულტუროსანი ევროპის სრულუფლებიან წევრად. დამოუკიდებელი საქართველო, გახდება რა სრულუფლებიანი წევრი განახლებული ევროპისა, უხვად ნაზიარები ევროპის ცივილიზაციით, განახორციელებს უდიდეს ეროვნულ აღორძინებას. ქართველ ხალხს ამ საქმისათვის შესწევს საკმარისი ნიჭიცა და ენერგიაც. ამისი უტყუარი მოწმე მისი დიდი წარსულია.

ამიტომ დღეს, 22 ივნისს, მთელი ჩვენი გულით და სულით ვუსურვებთ გერმანიას სრულ გამარჯვებას. და ამასთანავე აღუთქვავთ მას, რომ საქართველო ბოლომდე დარჩება მის ერთგულ თანამებრძოლად.

ლ. კერესელიძე

ყველა ეროვნული ძალები ქართული კომიტეტის ირგვლივ!

ჩვენი ერის მონობის უღლისაგან განთავისუფლების მოლოდინში ვართ დღეს ყველა ქართველები, სამშობლოში თუ მის გარეთ მყოფნი.

ორ სამყაროთა შორის წარმოებულ უსაშინელეს ჭიდილში ჩვენც შეგვაქვს ჩვენი წვლილი ომის დაწყების პირველ დღითგან.

ბევრი ქართველი მოხალისე დაეცა უკვე ბრძოლის ველზე და სხვები ათასობით მზად არიან ჩვეული ქართული სიმამაცით და თავგანწირვით შეასრულონ წმინდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

სამწუხაროდ იმ თავითგან ქართველთა მონაწილეობას ამ დიდ ბრძოლაში ხელმძღვანელობა არ ჰყავდა, არ არსებობდა ერთი ქართული ორგანო, რომელსაც უნდა აეღო ხელში მთელი საქმიანობა სათანადო გერმანულ უწყებებთან შეთანხმებით.

ასეთი ცენტრის არ არსებობა დიდი დანაკლისი იყო ჩვეხი ეროვნული საქმისათვის. ცალკე და კერძო მომუშავეთ, რასაკვირველია, არ შეეძლოთ საჭირო ხელმძღვანელობის გაწევა და ყველა აქტიური ძალების დარაზმვა და მათი ჩაბმა მტრის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

დიდი სიხარულით შევხვდით ჩვენ რამდენიმე თვის წინად ასეთი ცენტრის დაარსებას, რომლის სათავეში მოექცენ როგორც საქართველოში ისე მის გარედაც კარგად ცნობილი და ეროვნულ ბრძოლაში გამობრძმედილი სანდო პატრიოტები.

ქართულ საქმეს მფარველი და პატრონი გაუჩნდა.

დაარსდა ეროვნული კომიტეტი, რომელიც უნდა გახდეს ცენტრად ქართული პოლიტიკისა და გაუწიოს ხელმძღვანელობა ყოველ საქმიანობას, რომელიც ჩვენ ქვეყანას შეეხება.

კომიტეტი უნდა იყოს უმაღლესი და ერთად ერთი წარმომადგენლობა ქართველი ერის ინტერესთა და მის მისწრაფებათა; მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ნაყოფიერი და სასარგებლო ჩვენი მუშაობა. ხოლო კომიტეტმა რომ შესძლოს დაკისრებული მოვალეობის შესრულება, ამისათვის საჭიროა ჩვენ ყველანი, უყოყმანოდ და უდავოდ გვერდში ამოვუდგეთ მას.

მეტად საპასუხისმგებლო მომენტის წინაშე ვდგავართ.

განსაცდელის დროს ჩვენ ერს ყოველთვის გამოუჩენია ხოლმე საკმაო სიბრძნე და გამჭრიახობა, რომ მთლიანი და დარაზმული გამოსულიყო თვისი მეობის და არსებობის დასაცავად.

ეროვნული მთლიანობის იდეა ყოველთვის ასულდგმულებდა ქართველ ერს და მუდამ ამ დროშას ატარებდა იგი, იყო თავისუფალი თუ მტრის მიერ დამონებული.

ეროვნული მთლიანობა იყო ის ნიადაგი, რომელზედაც საქართველო იზრდებოდა და ვითარდებოდა.

ეროვნული ერთობის იდეა იყო ისტორიული აზროვნების ის ტრადიცია, რომელმაც ჩვენი ერი შეინახა და დღემდე მოიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს დიადი იდეა ამოძრავებდა ქართველ ერს უბედურობის დროს, იგი აცოცხლებდა და აძლევდა მას ძალას და ენერგიას განსაცდელის ჟამს.

„მან შექმნა ის სულიერი სიმტკიცე, რომელიც ყოველგვარ ფიზიკურ ლონეზე უძლიერესია“-ო, სწერდა ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი.

ეროვნულ მთლიანობას ქადაგებდა რუსეთის ბატონობის დროსაც საუკეთესო ნაწილი ქართველ მამულიშვილთა, რომელთა მეთაური დიდი ილია მჭერმეტყველურად ამბობდა: „თვითეული ჩვენთაგანი, —გლეხია, თავადი, აზნაური, ქალი თუ კაცი, —სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელნი და განუყოფელნი“-ო.

ამ შეგნებით და რწმენით მიდიოდა ქართველი ერის ისტორია, ამ იდეისათვის თავგანწირულთა სახელებით ბრწყინავს ჩვენი წარსული.

ხოლო ამ იდეას სასტიკი ლახვარი ჩასცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში შემოსულმა მარქსიზმმა მისი ძმათა შორის ბრძოლის მოძღვრებით.

მარქსიზმმა უარჰყო თვით ერი და მთლიანობის დამყარების მაგივრად კლასთაბრძოლის დროშა ააფრიალა; მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენ ერს, დაასუსტა, მოშალა იგი და გახადა სათარეშო ასპარეზად საერთაშორისო ბნელ ძალთა, რომელთაც არა აქვსთ და არცა სწამსთ არც სამშობლო, არც მიწა და არც ერი.

მაგრამ არც მარქსიზმის ბატონობის დროს შეუჩერებია ქართველ ერს ის თავგანწირული ბრძოლა, რომელსაც იგი საუკუნეთაგანმავლობაში აწარმოებდა მისი თავისუფალი არსებობისათვის.

ბევრი სისხლი დაიღვარა და იღვრება დღესაც ამ იდეისათვის, ქართველი ერის უკვდავებისათვის, მისი დამოუკიდებლობისათვის.

მტკიცე დარაზმვა და მთლიანობა გვეჭირვება ჩვენ დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე.

საერთო ოჯახი, ქართული ცენტრი უკვე არსებობს.

დაარსდა აგრეთვე მისი ორგანო „ქართველი ერი“, რომელიც მიზნად ისახავს ქართველთა პოლიტიკური აზროვნების ხელმძღვანელობას და მის მიმართვას ეროვნულ მიზანთაკენ, საქართველოს პრობლემების გაშუქებას, მის უფლებათა დაცვას, მსოფლმხედველობით აღზრდას საქართველოდან ახლად გამოსულ ქართველთა, მათთვის ახალი ევროპის გაცნობას და სხვა.

დიდია და მძიმე ის საქმე, რომელიც ქართულმა ეროვნულმა კომიტეტმა თავის თავზე აიღო, მძიმეა ჩვენი პასუხისმგებლობაც.

მაშ, ყველა ეროვნული ძალები კომიტეტის ირგვლივ! გავუმაგროთ მას ზურგი და გავყვეთ მის წინამძღოლს მიხეილ წერეთელს, რომელსაც მაღლა და ამაყად უჭირავს საქართველოს დროშა, დროშა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა.

კ. ბოგაშელი

ვინ უნდა დაიწყოს შეტევა?

ბრძოლათა შუა მდებარე დროის განმავლობაში განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდებიან ხოლმე დიდი სტრატეგიული ხაზები. სწორედ დღეს, როდესაც ფრონტებზე სიწყნარეა და ურთიერთის წინააღმდეგ მიმავალი ჯარები თითქოს უმოქმედოა, ისმის საკითხი: ვინ უნდა დაიწყოს შეტევა? არ შეიძლება იმის თქმა, რომ შეტევა თავისუფალი წინასწარ განზრახული ნებისყოფის აქტია შემტევისა. რასაკვირველია შეტევა საუკეთესო საშვალებაა თავის დაცვისა, როგორც ამას ამბობს ძველი სამხედრო თეზა, მაგრამ შეტევა არ არის ყოველთვის გამომქლავნება ბრძოლის ინიციატივის ხელშიაღების სურვილისა. შეიძლება შეიქმნეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთი მეომარი მხარე იძულებულია შეტევაზე გადვიდეს. მაშინ შეტევა სჩანს როგორც იძულების მიერ ნაკარნახევი საშვალება თავდაცვისა, შემტევი თვისი სურვილის წინააღმდეგ და მიუხედავად საუკეთესო სამხედრო ანგარიშისა, იძულებულია შეტევა დაიწყოს.

ასეთ მდგომარეობას ვამჩნევთ უეჭველია ომის დღევანდელ სტადიაში. შეგვიძლიავთქვათ —ომის ახლანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ არც ახალგაზდა ევროპის სახელმწიფოებს და არც ახალგაზდა აზიის სახელმწიფოებს არ სჭირდებათ აღარავითარი ნაბიჯის გადადგმა იმისთვის, რომ გამარჯვება დაინარჩუნონ. ჩვენ მართლაც ვხედავთ: იაპონიამ ამ ომის განმავლობაში თავისი პოზიციები გასწია ინდოეთის და ავსტრალიის საზღვრებამდე, ჩაიგდო ხელში დიდი ოკეანეს კუნძულები და გამაგრდა ყველა ნაწილებში ამ ოკეანისა. ამას გარდა მან დაიპყრო უმნიშვნელოვანესი ქვეყნები ნედლი მასალისა შორეულ აღმოსავლეთში, იყენებს მათ თვისი სამხედრო მეურნეობისათვის და მოწინააღმდეგე უკუ აგდო ისეთ ცალიელ სივრცეში, რომ მას თავისი ბრძოლისათვის აღარავითარი დასაყრდნობი აღარ აქვს. ასეთსავე სურათს ვხედავთ ევროპაში. გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა დაიპყრეს მთელი ევროპის კონტინენტი სამხრეთის თაკიდან ჩრდილოეთის ბოლომდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთის ზღვის ნაპირებიდან დონეცამდე, და ამ-ით ხელში ჩაიგდეს უმთავრესი წყაროები ნედლი მა-სალისა და წარმოებისა ევროპაში. ინგლისი, ამერიკა და ბოლშევიკები იძულებულნი არიან ევროპის ამ ბრძოლის ბაზას ებრძოლონ პერიფერიებიდან, — პირველნი —აფრიკიდან და ინგლისის კუნძულები-თგან, ხოლო მეორენი —ურალითგან. ეს ხომ ისეთი საერთო მდგომარეობაა, რომ ევროპასაც და იაპონი-ასაც შეუძლიათ მოიცადონ და სთქვან: აბა ახლა მო-ბრძანდით.

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი მდგომარეობა მართ-ლაც ისეთია, რომ შეტევითი მოქმედება ახალგაზ-რდა სახელმწიფოთა ევროპისა და აზიისა, სრულია-დაც არ არის იძულებითი. მაგრამ ჩვენ აქიდან ის და-სკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ ძლევამოსილი ძალები მომავალი ახალი მსოფლიოსი ამის გამო გულხელდაკრეფილნი დარჩებიან და დაუცდიან თუ რას იზამს მტერი. ამ ცოტა ხნის წინათ მინისტრმა გოებელსმა სთქვა —მტერმა იტეხოს თავი იმისი ვა-გებისათვის თუ სად და როდის დაარტყამს გერმა-ნიაო, უეჭველი მხოლოდ ის არის, რომ ეს დარტყმა მართლა მოხდებაო.

ხოლო მეორე მხრივ საერთო მდგომარეობიდან ის დასკვნა გამოდის, რომ **მტერი იძულებულია** შეტევა დაიწყოს. გერმანიას და მის მოკავშირეებს **შეუძლიათ შეტევის დაწყება** სადაც და როდესაც მათ სურთ,რათგანაც მათ აქვთ უკეთესი გამოსავალი პო-ზიციები, უდიდესი კონცენტრაცია ძალთა და უდიდ-ესი შესაძლებლობანი.

თუ გერმანიამ მოისურვა შეტევის დაწყება თვისი ევროპიული ბრძოლის ბაზითგან, მაშინ მას შეუძ-ლია დარტყმა უსწრაფესი და უძლიერესი, რადგანაც კონცენტრაცია მის ძალთა შინაგან ხაზებზე არის. ხოლო თუ მას ახლა არ სურს შეტევის დაწყება, მტე-რმა უნდა დაიწყოს იგი, რადგანაც მას სხვანაირად არ შეუძლია ომის განგრძობა. ეს კი ჩვენთვის დიდი სტრატეგიული უპირატესობაა. გერმანია ჯერ ჯე-რობით რომ კიდეც არ ფიქრობდეს შეტევას, ინიცი-ატივა მაინც მის ხელშია, რადგანაც მტერი იძულებ-ულია მოვიდეს, მას არ შეუძლია მუდამ პერიფერ-იებზე დარჩენა, თუ მას უნდა თავიდან აიცილოს საფრთხე, პასიური ქცევით ომის დაკარგვისა. ყველა შესაძლებლობა შეტევისა და თავდაცვისა არის ამ-გვარად გერმანიისა და მის მოკავშირეთა ხელში.

ყოვლად მიუღებელია ინგლისელებისა და ამერი-კელებისათვის, რომ მათ ჯარები მასალით ათი-ათასი კილომეტრებით ზღვაზე გადმოიყვანონ და იმავე მანძილებით ოპერატიულ ძალებს სურსათ-სანოვაგე მიაწოდონ და ამავე დროს სამხედრო ოპერაციები არ დაიწყონ. შეუძლებელია ათასობით გემები, რო-მელთაც მუდამ წყალქვეშა ნავთა საფრთხე მოელის, იქით აქეთ ატარონ, რომ ამ მიმოსვლას არავითარი კონკრეტიული მიზანი არ ჰქონდეს. აგრეთვე ბოლ-შევიკებიც დიდ ხანს ვერ გაუძლებენ იმ მდგომარე-ობას, რომ მათ მუდამ მოჰქონდეთ ნავთი ბაქოდან ვოლგის სათავემდე და ქვანახშირი დასავლეთით ციმბირიდან ურალზე, რომ მათ გადმოყავდეთ თავი-ანთი ჯარები ათას კილომეტრთა სიგრძეზე საშინელ მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო გზებით და რომ მისი მოსახლეობა თორმეტი წლის ბავშვებიდან დაწყებული მშიერი მუშაობდეს თექვსმეტ საათს დღეში და ამავე დროს სამხედრო ოპერაციებს არ აწ-არმოებდენ. როგორც პირველნი, ისე უკანასკნელ-ნი იძულებულნი არიან რამე ქნან უნდათ თუ არ უნ-დათ. უკანასკნელად მომხდარ ამბავთაგან უკვე ცხადად სჩანს ასეთი იძულებითი მდგომარეობა-მტრისა.

ტუნისში შესვლის შემდეგ ინგლისელები და ამე-რიკელები ნამდვილად არიან იძულებულნი რამე გა-აკეთონ ხმელთაშუა ზღვაში გაბნეულ კუნძულთა წინააღმდეგ, რომელნიც იტალიელების ხელში არ-იან და წარმოადგენენ შეიარაღებულ წინაპოსტებს ევროპის კონტინენტისა სამხრეთში. დიდი სამხედ-რო ძალებით ყოველივე გვარისა დაეცნენ ისინი ამ პატარა ბასტიონებს ხმელთაშუა ზღვისა და დიდი ზა-რალიც განიცადეს. პატარა გარნიზონებმა ლამპე-დუზისა და პანტელერიისა, ამ ორი მიკროსკოპი-ული იტალიური კუნძულისა, სადაც 12.000-ზე ნა-კლები მცხოვრებია, მიაყენეს მტერს ისეთი დიდი ზი-ანი რომელიც საქმეთ არ ღირდა. ინგლისელები და ამერიკელები იძულებულნიარიან აქ ასეთი უნაყოფო შეტევები აწარმოონ. თუ ათი-ათას კილომეტრის მან-ძილზე მათ ჩრდილოეთ აფრიკის ნაპირებს მიაღწიეს და ზარალი ზარალზედ ნახეს, დღეს ისინი იძულებ-ულნი არიან აგრეთვე ამ ნაპირების ახლო მდებარე დამაბრკოლებელ კუნძულებს თავს დაესხან და კი-დევ მეტი ზარალი ნახონ. თუ მათ დაიპყრეს ეს კუნ-ძულები, მათ უნდა დაიპყრან სხვები და ასე შემდეგ და გზა ევროპამდე ამ კუნძულებზე ძალიან გძელია და სახიფათო. რამდენადაც იგინი უფრო მოუახლო-ვდებიან ევროპას, იმდენად უფრო ძნელი და საზი-ანო იქნება მათთვის ბრძოლა. ერთი ასეული ფაშის-ტური მილიციისა, რომლიც რამდენიმე ტყვიის მფრქვეველით და პატარა ზარბაზნით რომელიმე თითქმის უკაცრიელო კლდის კუნძულზე იბრძვის და მტრის იერიშებს იგერიებს, აკეთებს ამ პირობე-ბში დიდ სტრატეგიულ საქმეს. იგი მტერს ძვირად უსვამს მის იძულებითი შეტევის სტრატეგიას.

იგივე მდგომარეობაა ყუბანზე. მთელი კვირეების განმავლობაში ეცემიან ბოლშევიკები გერმანულ პოზიციებს, რომლებიც აქ არიან რამოდენიმე ათე-ულ ოთხკუთხ კილომეტრზე. ისინი მუდამ შეტევა-ზე არიან, და იცლებიან სისხლით, რადგან იძულებუ-ლნი არიან შეტევა აწარმოონ. რატომ? იმიტომ, რომ მათარიციან დაეცემიან თუარა აქ გერმანელები უეცრად. გერმანელებს კი შეუძლიათ, **თუ მათ შეტე-ვა არ უნდათ,** რამოდენიმე დივიზიით საბჭოთა მთე-ლი არმიების მოსპობა განსაზღვრული დროის განს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლობაში. მათ მხოლოდ კარგად დაცულ და გამაგრებულ პოზიციებზე უნდა უცადონ შემომტევ **მტერს, იერიშებზე მოუშვან იგი.**

მაგრამ ჩვენ ყოველივე აქედან სრულიად ის დასკვნა არ გამოგვყავს, რომ სამონოპოლიო საშვალებათ გადაიქცა ერთი მხარისათვის შეტევა და მეორე მხარისათვის თავდაცვა. სურათი შეიძლება ძალიან მალე შეიცვალოს. უმთავრესი აქ ის ფაქტია, რომ ერთი მხარე იძულებულია შეტევა აწარმოოს, მაშინ როდესაც მეორეს შეუძლია შეტევა, თუ მას ეს სურს. ხოლო ბრძოლებს და ომებს იგებს მხედართ მთავართა თავისუფალი ინიციატივა.

მეორე მსოფლიო ომი და საქართველო

I

ვისაც აქვს სწორი გაგება დღეს ჩვენ თვალთა წინ წარმოებულ დიდ საქმეთა, იგი იძულებულია გარკვეული ადგილი დაიჭიროს იმ ბრძოლაში, რომელმაც უკვე მთელი ქვეყანა მოიცვა. დღეს მთელი ევროპის კონტინენტი ებრძვის ერთი მხრით რუსეთის ბოლშევიზმს და მეორე მხრით ინგლის-ამერიკის კაპიტალიზმს. ევრპის კონტინენტის მებრძოლ ძალთა მეთაურნი არიან ნაციონალ-სოციალისტური გერმანია და ფაშისტური იტალია. ხოლო მათნი მოკავშირენი არიან ფინლანდია, უნგრეთი, რუმინია, ბულგარია და ნაწილნი სხვა ერთა, რომელთაც ნათლად აქვსთ წარმოდგენილი მიზეზნი ამ ომისა და ის შედეგნი, რომელნიც მათთვის მოჰყვებიან გამარჯვებას ევროპის კონტინენტის მეთაურთა ან დამარცხებას. ნორვეგიელები, ფლამანდელები, ჰოლლანდელები, ესპანელები, ხორვატები, ფრანგებიც კი, და სხვანი, თვით გერმანიის მიერ დაპყრობილ ქვეყანათა შვილნიც, დღეს გერმანელებთან და მათ მოკავშირეებთან იბრძვიან ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რათგანაც მათ იციან, რომ ბოლშევიზმის გამარჯვება მოასწავებს გაველურებული რუსეთისა და მის გაველურებულ ბრბოთა მიერ ევროპის დაპყრობას, დამონებას, სულიერად და ნივთიერად განადგურებას, მის გარდაქცევას რუსეთის მსგავს ქვეყნად რუსული ბოლშევიზმის დამყარებით და მძვინვარებით ევროპის ყველა ქვეყანაში. გერმანელებთან და მათ მოკავშირეებთან მებრძოლნი იცავენ ეროვნულ კულტურას, რომელიც მათ წინაპართ საუკუნეთა მსვლელობაში შეუქმნიათ და მათთვის მემკვიდრეობად და დასაცველად დაუტოვებიათ. იცავენ წესს თვისი ეროვნული ცხოვრებისა, იცავენ სახლსა და კარს, სახლობას და საკუთრებას, იცავენ სიცოცხლეს მათ ერთა შემადგენელ ადამიანთა, რომელთაც ბოლშევიზმი ისევე მოსრესს, როგორც მან მოსრისა მილიონობით ადამიანი რუსეთის იმპერიის განუზომელ სივრცეზედ ტერორორით, წამებით, გადასახლებით, სიმშილით, თუ ამ საბედისწერო ბრძოლაში მან გამარჯვება მოიპოვა! —გერმანია და იტალია იბრძვიან აგრეთვე დასაცველად იმ ეროვნული ცხოვრებისწესისა, რომელიც შექმნა ნაციონალ-სოციალისტურმა და ფაშისტურმა რევოლუციამ. გერმანიაში და იტალიაში განხორციელებულია ეროვნული სოციალიზმი. მთელი ერის და მისი ყოველი წევრის წარსამატებლად მოქმედებს აქ ყოველი მოქალაქე: ძველი კაპიტალისტი, ძველი ხელოსანი და მუშა დღეს მრეწველია, მშრომელი სამრეწველო მეურნეობაში. ძველი მემამულე და ძველი გლეხი დღეს მიწად-მოქმედია, მშრომელი მიწაზედ. ძველი ვაჭარი ან ფულის პატრონი დღეს ჩარჩი და სპეკულანტი კი არაა, არამედ ნამდვილი შუამავალი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, მშრომელი საქონელთა ბრუნვის დარგში. კერძო თაოსნობა მეურნისა და სამეურნეო საზოგადოებათა და სახელმწიფოს თაოსნობა და ხელმძღვანელობა ერთობ ეროვნული მეურნეობისა ურთი-ერთს არა ჰრიცხავენ, არამედ შეავსებენ და ერთ პროცესსად ჰქმნიან ერის სამეურნეო მოქმედებას, რომელიც კრებულია განსაზღვრულ სოციალურ ფუნქციათა ეროვნული ორგანიზმის სიმრთელისათვის და ზრდისათვის. იგივე მიზანი ერის სულიერი სიმრთელისა და გაძლიერებისა აქვს დასახული ეროვნულ სოციალიზმს, როდესაც ეროვნული სახელმწიფო ხელმძღვანელობს ერის სულიერ მოქმედებას და ხელს უწყობს ყოველი საშუალებით ძის საუკეთესო შვილთა შემოქმედებას. და იგივე უზენაესი მიზანი ერის სხეულის სიმრთელისა უკარნახებს ეროვნულ სახელმწიფოს ზომებს, რომლითაც უნდა გაუმჯობესდეს ჯიში ერის შემადგენელ ადამიანთა და აღმოიკვეთოს ძის წიაღში მემკვიდრეობითი სნეულება, კრიმინალობა, და სხვ. —ეროვნულ-სოციალისტური რევოლუცია ერთი კლასსის მიერ სხვა კლასსთა დაძლევა, დამონება და მოსპობა კი არ იყო, არამედ ერთი მხრით განთავისუფლება ჩაგრულთა ერის წიაღში, უზრუნველ-ყოფა მათი, ამაღლება მათი და გათანასწორება ერის საუკეთესოებთან უფლებით და განსაზღვრული, შესაფერისი და მიზან-შეწონილი ფუნქციების მიჩენით, და მეორე მხრით ერის სამსახურში ჩაბმა სოციალურად ძლიერთა მათთვის განსაზღვრულ მოვალეობათა მიჩენით ყოველ დარგში ერის მოქმედებისა. ეროვნულ-სოციალისტურმა რევოლუციამ ერს დაუბრუნა ყველა მისი ეგრედ-წოდებული „კლასსი“, ერი თვით-შემგნებ

ორგანიზმად ჰყო, რომლის მოქმედებას აქვს აზრი, გეგმა, მიზანი, შეგნებული და გაგებული ყოველი მისი წევრისაგან. აი რა იყო ეროვნულ-სოციალისტური რევოლუცია და ამ რევოლუციის გასაღრმავებლად, უკვე გარდაქმნილი ცხოვრების წარსამატებლად და დასახულ იდეალთა სავსებით განსახორციელებლად იღვწოდენ ეროვნულ-სოციალისტური ერები, როდესაც ეს საშინელი ომი დაიწყო, და აი რად იბრძვიან ეს ერნი ისე სასტიკად, რომ მათ მიერ შექმნილი და კვლავ შესაქმნელი არ დაათრგუნვინონ ბოლშევიზმს — სრულიად უარ-მყოფელს თვით ერისა და მისი სოციალიზმისა, — მოძღვრებას საერთაშორისო უსახურობისა, კლასსთა ბრძოლისა, ერთა საუკეთესო ნაწილთა მომსპობს ტერროორით: ხვრეტითა და წამებით.

ის ევროპიელნი მოხალისენი, რომელნიც დღეს გერმანელებთან და იტალიელებთან იბრძვიან ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ფაშისტები არიან, ნაციონალ-სოციალისტები. მათ ქვეყანაში არის დასაწყისი ფაშიზმისა, ნაციონალ-სოციალიზმისა და ამ თესლს მომავალი აღორძინებისა ვერ მოსპობს იქ ვერავითარი წინააღმდეგობა ევროპის ახალი იდეოლოგიის მტერთა. მათ ქვეყნებში, გარდა ესპანიისა, ჯერ არ მომხდარა ეროვნულ-სოციალისტური რევოლუცია, მაგრამ ძველი ქვეყანა ევროპისა ინგრევა და ახალი, უკეთესი ევროპა მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტური ან ფაშისტური შეიძლება იყოს, გამოსული ნაციონალ-სოციალისტური ან ფაშისტური რევოლუციითგან. აი ამ რევოლუციის მოლოდინში, ახალი ცხოვრების შესაქმნელად განმზადებულნი იბრძვიან დღეს რუსეთის წინააღმდეგ ეს ევროპიელნი, რომ ბოლშევიზმი არ შემოუშვან ევროპაში და ამით არ მოისპოს შესაძლებლობა სრულიად-ევროპის ახალი რევოლუციისა და იმედი მისი ცხოვრების განახლებისა. —ხოლო გაიმარჯვებს რა გერმანია და იტალია ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ მთელი ევროპაც გარდაიქმნება ახალი რევოლუციის სულით და მისი ერები, ფაშისტური და ნაციონალ-სოციალისტური, ურთიერთთან შეთანხმებით შექმნიან ახალ სისტემას ევროპისა, თავისუფალ ერთა კრებულს, უზრუნველ-ყოფილს ნივთიერად, შემძლეს განვითარებისა და შემოქმედებისა ნივთიერ და სულიერ დარგში. მათ შორის განწყობილება იგივე იქმნება, იმავე პრინციპზედ დამყარებული, რომელზედაც არის დამყარებული განწყობილება თვით ცალკე ერთა წევრთა შორის, ე. ი. პრინციპზედ თანამშრომლობისა. საერთო ძალებით საერთო მიზანთა მისაღწევად, ყოველი ევროპიული ერისა და მთელი ევროპის მომავალი უკეთესი ცხოვრების უზრუნველ-საყოფელად უნდა შეიქმნას ეს თანამშრომლობა, მოისპობა რა დიდიხნით მაინც, თუ საუკუნოდ არა, ყოველივე მიზეზი ევროპის ერთა შორის წინააღმდეგობისა. ამას უწოდებენ „ახალ მოწესრიგებას ევროპისა“ და აი ეს არის კიდე ერთი უდიდესი მიზანი ევროპის ნაციონალ-სოციალიზმის და ფაშიზმის ბრძოლისა.

მარქსიზმის მოძღვრებით პროლეტარული სოციალიზმის სავსებით განხორციელება მხოლოდ მსოფლიო საზომით, მთელ მსოფლიოში შეიძლება. საერთაშორისო კაპიტალიზმი საერთაშორისო რევოლუციით საერთაშორისო სოციალიზმმა უნდა შესცვალოსო. ამიტომ დაიწყო რუსეთში გაბატონებულმა მარქსისტულმა ბოლშევიზმმა თვისი დასაყრდნობითგან მთელ მსოფლიოში პროპაგანდით და ორგანიზაციებით მსოფლიო ბოლშევიკური რევოლუციის მზადება. ამ საბოლოო მიზანს ემსახურებოდა „კომინტერნი“, რომელიც რუსეთის ფულით მოქმედებდა და რომელსაც ყველგან დასაყრდნობ ადგილებად და ბუდეებად რუსეთის საელჩოები, საკონსულოები და სავაჭრო წარმომადგენლობანი ჰქონდა. ყველგან, სადაც კი ყოფილა კომმუნისტური მოქმედება, აჯანყება, რევოლუცია, რუსეთის ხელით იყო მოწყობილი ერთა დამანგრეველი ყოველი მოქმედება. მთელი 25 წლის განმავლობაში მოქმედებდა რუსეთი თვისი მიზნის მისახწევად და ამავე დროს ჰქმნიდა იმ უზარ-მაზარ მხედრობას და საომარ საშუალებათა, რომელთა ძალა და რაოდენობა ამ ომში გამოჩნდა. რუსეთის მიზანი იყო ბოლოს და ბოლოს ომით, დაპყრობით, დაპყრობილ ერთა შორის გამოწვეულ რევოლუციებით გაებატონებინა მთელ ქვეყანაზედ ბოლშევიზმი. და როდესაც ამ საშინელი საფრთხის წინააღმდეგ აღიმართა ფაშიზმი და ეროვნული სოციალიზმი, უსაშინელესი მტერი ბოლშევიზმისა, მისი სავსებით საწინააღმდეგო მსოფლიოს-ხედვით, მაშინ ბოლშევიზმმა კვლავ უმატა სამხედრო მზადებას და ბოლოს ევროპის კარზედ მომდგარმა აიძულა ნაციონალ-სოციალიზმი და ფაშიზმი ევროპისა საჭურველი აეღო მის წინააღმდეგ.

ინგლისი კლასსიკური ქვეყანაა კაპიტალიზმისა. იქ მოხდა პირველად მისი ისტორიის პრეკაპიტალისტურ ხანაში ის „პირველ-ყოფილი დაგროვება კაპიტალისა“, რომელიც მარქსს აქვს აღწერილი თვის „კაპიტალში“. ამ „პირველ-ყოფილი კაპიტალის დაგროვების“ შედეგი იყო მოსპობა ინგლისის გლეხობისა, „გაპროლეტარება“, ბოგანოდ ქცევა ამ გლეხობის ძლიერ დიდი ნაწილისა, გარდაქცევა წინად მიწაზედ მოსახლეთა და მიწად-მოქმედთა ქარხნის მუშებად, გადასახლება მათი კოლონიებში და მათ ნაცვლად შექმნა მოიჯარადრეთა, მიწად-მოქმედთა მოძრავი კლასსისა ინგლისის ნიადაგზედ. მთელი ინგლისის ტერრიტორია საკუთრებად შეიქმნა მცირე რიცხვის დიდ მემამულეთა, რომელნიც მათ საკუთრებას საქარხნო მასალის საწარმოოდ ხმარობდენ და თვით უდიდეს კაპიტალისტებად გახდენ. ამან თვით ინგლისის ერის სულიერი კულტურის ზრდას გამოაცალა ნიადაგი, — იმ ერისა, რომელსაც უზარ-მაზარი წვლილი ჰქონდა შეტანილი ევროპის კულტურის სალაროში, და ბოლოს ინგლისი სულიერადაც დააცილა ევროპის კონტინენტს. მარქსს ეს პროცესსი გარდაუვალი კანონი ეგონა საზოგადოებათა განვითარებისა, მაგრამ სცდებოდა, რათგანაც იგი არსად არ მომხდარა ევროპაში და არც სხვაგან იმ ზომით და იმ წესით, როგორც იგი მოხდა ინგლისში, სადაც იგი განსაკუთრებული ისტორიული პირობებით იყო გამოწვეული. თვით ბოლშევიკებმაც ვერ შესძლეს ძალითა, ტერროორითა და კოლექტივებით გლეხობის სრული მოსპობა და ნამდვილ პროლეტარებად გარდაქცევა. ამავე დროს ინგლისი თვისი გეოგრაფიული მდებარეობით საზღვაო სახელმწიფო უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც. მას როგორც კაპიტალისტს სჭირდებოდა ბაზრები თვის ნაწარმოებთა გასაყიდად, და იგი ვაჭარიც და მეზღვაურიც გახდა და უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამხდარიყო, — პატრონი დიდი სავაჭრო და სამხედრო ფლოტისა საქონელთა გასაზიდავად და მეტოქეთა წინააღმდეგ თავის დასაცავად და მათ მოსასპობადაც. ამ ფლოტით მოახერხა მან დაპყრობა აუარებელ ახალ ქვეყანათა, დასაყრდნობ ადგილთა, ძველ ქვეყანათა და ბაზართა, დასახლება ახალ ქვეყანათა თვისი მოსახლეობის ზედ-მეტი აწილით და შექმნა დიდ კოლონიათა, რომელთაგან შედგენ ე. წ. „დომინიონები", მთელი სახელმწიფოები ინგლისის ენისა და კულტურისა წარმოსდგენ და შექმნეს უზარ-მაზარი იმპერია ინგლისისა. ამ ფლოტითვე მოახერხა მან მოსპობა დიდ კოლონიალურ სახელმწიფოთა ძალისა, თვის მეტოქეთა: პორტუგალიისა, ესპანიისა და საფრანგეთისა, და მითვისება მათ საკუთრებათა. — მე-18 საუკ. ბოლოში და მე-19-ს დასაწყისში ინგლისს ეპყრა მთელი ხმელეთის ერთი უზარ-მაზარი ნაწილი და ბატონობდა ევროპასაც, რათგანაც ევროპაში არ იყო სოლიდარობა, ერთობა მის ერთა ამ საერთო მიმძლავრებელის ასალაგმავად. და როდესაც ნაპოლეონმა მოინდომა ამ დიდი მიზნის მიხწევა ევროპის გაერთიანებით, მის აზრს ევროპა ვერ მიხვდა. შეიძლება ამისი მიზეზი თვით ნაპოლეონის პოლიტიკური შეცდომებიც იყო. ყოველ შემთხვევაში ინგლისმა სწორედ მის წინააღმდეგ შეაერთა მთელი ევროპა და მოსპო იგი. მას შემდეგ ინგლისი მთელი წარსული საუკუნის განმავლობაში ბატონობდა ევროპას მით, რომ ერთს სახელმწიფოს მეორეს წინააღმდეგ უჭერდა მხარს, ჰქმნიდა ე.წ. ევროპის „ძალთა თანასწორობას" და აროდეს მისცა ევროპის ერთ შეძლება სოლიდარობისა და გაერთიანებისა რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს ხელმძღვანელობით. ევროპა იყო აგრეთვე უდიდესი ბაზარი ინგლისის საქონელთათვის, როგორც სხვა დიდი ქვეყნები სხვა კონტინენტთა. მეტოქეობას ინგლისს ვერც ერთი სახელმწიფო ევროპისა ვერ უწევდა, რათგანაც არავის გაჩნდა საამისო ფლოტი, და თვით რუსეთი, რომელიც თითქოს მეტოქე გახდა მისი თვისი არაჩვეულებრივი და სწრაფი ზრდით და ინდოეთსაც კი, ინგლისის უმდიდრეს და უდიდეს სამფლობელოს, ემუქრებოდა, ნამდვილად არ იყო დიდი მეტოქე ინგლისისა, რომელსაც მასთან შეჯახება ამიტომაც არ მოსვლია. მაგრამ გაძლიერდა თუ არა გერმანია მე-19 საუკ. მეორე ნახევარში მრეწველობით, ვაჭრობით, ჯარით და ფლოტით, მყისვე დაინახა მასში ინგლისმა დიდი მეტოქე, ევროპის კონტინენტზედ ჰეგემონიის მოხვეჭისა და ინგლისის იმპერიის დაშლის შემძლებელი მომავალში. და მან მყისვე შემოარტყა მას რკალი მტერთა. მან მიიმხრო საფრანგეთი, შურის ძიების გრძნობით აღსავსე გერმანიის წინააღმდეგ მისი 1871 წლის დამარცხების გამო; რუსეთი, რომელსაც ძლიერი გერმანიისა აგრეთვე ეშინოდა და რომელსაც დარდანელსაც და კონსტანტინეპოლსაც კი დაჰპირდა ინგლისი; სხვა სახელმწიფოები, რომელთაც კიდე სხვა ანგარიში ჰქონდა და სხვა დაპირებანი ინგლისისაგან. და აი ამ უზარ-მაზარი კოალიციით დაამარცხა ინგლისმა გერმანია 1914-1918 წ.წ. ომში, რომელშიაც აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები ჩაერია როგორც მოსაგებ საქმეში.

ომს თითქოს დემკრატიზმისა, თავისუფლებისა და სხვა პრინციპთა სახელით აწარმოებდა ინგლისი გერმანიის მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ (არც კი სცხვენოდა ამავე დროს, რომ უდიდესი იმპერიალისტური და მილიტარისტული ქვეყანა, რუსეთი მოკავშირედ ჰყავდა). პრეზიდენტ ვილსონის 14 პუნქტი გაბედნიერებას უქადდა დამარცხებულსაც და გამარჯვებულსაც და იდეალურ თავისუფლებას ამყარებდა თითქოს ყველა ერთა და მათ მოქალაქეთა. ამ პუნქტებით მოტყუებულმა გერმანიამ დაჰყარა იარაღი. მტერსაც ეს უნდოდა. გერმანია ვერსალის ზავით განაიარაღეს, განძარცვეს, მიწების წართმევით შეამცირეს, და დამცირებული და განძარცული გადააგდეს უძლურების უფსკრულში. ახლა ინგლისი თავისუფალი იყო, — მას მეტოქე აღარ ჰყავდა კონტინენტზედ,— ხოლო თვით ევროპის კონტინენტი დაშლილი, დაუძლურებული სულიერად და ნივთიერად! რუსეთში კი ბოლშევიზმი გაბატონდა შემდგომად მისი დამარცხებისა, და რათგანაც ინგლისს ძალა აღარ შესწევდა მისი მოსპობისა, ბოლშევიკურმა რუსეთმა განთავისუფლებული ერები კვლავ დაიპყრა და გაბატონა ტერორი და მონობა უზარ-მაზარ სივრცეზედ ძველი რუსეთის იმპერიისა.

აი ამ პირობებში დაიბადა ევროპაში, გერმანიაში და იტალიაში, სადაც ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ომის შემდეგ, დიდი ეროვნული მოძღვრება ნაციონალ-სოციალიზმისა და ფაშიზმისა. ამ მოძღვრების განხორციელება დიდი რევოლუცია იყო და ეს რევოლუცია მოხდა გერმანიაში და იტალიაში. იგი იყო აგრეთვე უდიდესი რეაქცია ევროპის სულისა ბოლშევიკური ველურობის წინააღმდეგ, და ფაშიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი დაუპირდაპირდენ ბოლშევიზმს, როგორც მისნი სავსებით საწინააღმდეგო მოძღვრებანი, და მათ ის საბედისწერო ბრძოლა გაუმართეს ურთი-ერთს, რომლის მოწამენიც დღესა ვართ. და რათგანაც ნაციონალ-სოციალიზმმა და ფაშიზმმა შექმნეს ძლიერნი ეროვნულნი სახელმწიფონი გერმანიისა და იტალიისა, განაძლიერეს იგინი ნივთიერად და სულიერად, განათავისუფლეს ვერსალის ზავის ბორკილებითგან, განაახლეს სოციალური რევოლუციით და შექმნეს ძლიერნი მხედრობანი მათ დასაცველად და მათი ცხოვრების საშუალებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად, —განა ინგლისი ამას მოითმენდა, შეურიგდებოდა გაძლიერებულ ევროპას? ძლიერი ახალი ევროპითგან მას ორნაირი საფრთხე მოელოდა: სამხედრო-პოლიტიკური და სოციალური. ახლა აღარ იყო სუსტი ევროპა, რომელსაც იგი ბატონობდა, არამედ ევროპა, რომლის ორი ძლიერი ერი მთელი კონტინენტის ერთა ხელმძღვანელობას შესძლებდა და მოითხოვდა სამართლიან განაწილებას ერთა შორის ცხოვრების საშუალებათა, რომელნიც სავსებით ინგლისის ხელში იყვნენ. გარდა ამისა ევროპის ორი დიდი ქვეყანა ეკონომიურად დამოუკიდებლად იქცა და აღარ იყო მხოლოდ „ბაზარი" ინგლისისა.

ეს მოძრაობა მთელ ევროპასაც ედებოდა. მთელ ევროპას ედებოდა ერთობ იდეა ფაშიზმისა და ნაციონალ-სოციალიზმისა და მან ინგლისშიაც ფეხი მოიკიდა. ეს კი ნიშნავდა ინგლისის გალაღებულ კაპიტალისტთა ბატონობის მოსპობას, და კაპიტალისტურმა ინგლისმაც დაუყოვნებლივ მიიღო ზომები ნაციონალ- სოციალისტური გერმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიის და ფაშისტური იტალიის მოსასპობად. მან კვლავ შეიერთა ძველი წესით ევროპის სახელმწიფოები —ძველი მოკავშირე საფრანგეთი და სხვანი, რომელნიც ინგლისისგან იყვნენ დამოკიდებულნი და მტრულად განწყობილნი გერმანიისადმი და იტალიისადმი. ჯერ იტალიის ლაშქრობისას აბესსინიის წინააღმდეგ ინგლისმა და მისმა მოკავშირეებმა აშკარა მტრული განწყობილება დაიჭირეს იტალიისადმი. ესპანიის სამოქალაქო ომში ბოლშევიზმის წინააღმდეგ ინგლისი და მისი მოკავშირენი რუსეთთან ერთად ესპანიის ბოლშევიკებს უჭერდენ მხარს და ეხმარებოდენ, მაშინ როდესაც გერმანია და იტალია ესპანიის ფაშიზმს ეხმარებოდენ. ბოლოს პოლონეთს გამოაწვევინა ინგლისმა გერმანიასთან კონფლიქტი, მოასპობინა პოლონეთი გერმანიას, და ყოველივე ამით მან ისარგებლა, რომ საფრანგეთთან ერთად გერმანიას თავს დასხმოდა. რომ რუსეთი ევროპაზედ თავ-დასხმისათვის ემზადებოდა, ეს ინგლისმა კარგად იცოდა. მაგრამ ეს კარგად იცოდა აგრეთვე ადოლფ ჰიტლერმა, და თუ მან ხელშეკრულება დასდვა რუსეთთან შეთანხმებისა, ეს ჰქმნა იმ მიზნით, რომ დროებით მაინც დაება რუსეთი. სტალინს კი ეგონა, რომ ინგლის-საფრანგეთი და გერმანია ყველანი დაიღლებოდენ ომში და მერმე ადვილად ჩაიგდებდა ხელში მთელ ევროპას. მაგრამ მას ანგარიში არ გაუმართლდა. მალე იტალიაც მიემხრო გერმანიას და ინგლისი და საფრანგეთი სასტიკად დამარცხდენ ევროპის კონტინენტზედ. ინგლისის მიერ წაქეზებული პატარა სახელმწიფოები —ნორვეგია, ბელგია, ჰოლლანდია, სერბია, საბერძნეთი აგრეთვე დაიჭირეს გერმანიის და იტალიის ჯარებმა. მაშინ კი მიხვდა სტალინი, რომ ანგარიში გაუცუდდა და მთელი თავისი უზარ-მაზარი ძალით მოინდომა გერმანიაზედ თავდასხმა. მაგრამ ადოლფ ჰიტლერმა დაასწრო და ათას კილომეტრთა სივრცეზედ უკუ აგდო რუსის მხედრობა აღმოსავლეთისაკენ. აქ გამოცხადდა ჩუმი კავშირი ინგლის-რუსეთისა. იგინი დღეს ერთად იბრძვიან და ინგლისი პირდაპირ აცხადებს რომ, თუ გამარჯვება მათ დარჩა, ევროპა ბოლშევიკების საბატონო ქვეყნად უნდა იქცესო.

ამგვარად დაირაზმენ ურთი-ერთის წინააღმდეგ კაპიტალიზმის ერები და განახლებული ცხოვრების ერები: ერთი მხრით ინგლისი, მისი იმპერიის ხალხები და მისი მოკავშირეები, მეორე მხრით გერმანია და იტალია და მათი მოკავშირეები, აგრეთვე განახლებული ეროვნული ცხოვრებით: ფინლანდია, უნგრეთი, რუმინია, რომელთაც აგრეთვე იციან, რაც არის ბოლშევიზმი, როგორც მისმა მოსაზღვრეებმა, და აგრეთვე ის ერნი ევროპისა, რომლთაც იციან, თუ რა რისხკით დაესხმის მათ თავზედ გამარჯვებული სატანა ბოლშევიზმისა.

მაგრამ გართულება ამ მსოფლიო ომისა ამით არ დამთავრებულა: შეერთებული შტატები ამერიკისა, დასახლებული მთელი ქვეყნითგან, განსაკუთრებით ევროპითგან გადასახლებულ ათასგვარ ხალხთა ელემენტთაგან, ქვეყანა არა კეთილშობილთა, უსულო და უტრადიციო, ქვეყანა უმნიშვნელო შინაგანი ისტორიისა და კულტურისა, რათგანაც იქ ერიც არ სცხოვრობს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და აზრით, ქვეყანა ტეხნიკისა, გაშიშვლებული კაპიტალიზმისა და ფულის ბატონობისა უაღრესად იმპერიალისტური შეიქმნა მას შემდეგ, რაც მან უპირატესობის მდგომარეობა მოიპოვა ამერიკის მთელ კონტინენტზედ და დიდი საზღვაო ძალა ერთი მხრით ატლანტის და მეორე მხრით დიდ ოკეანეზედ. ნაციონალ-სოციალისტური და ფაშისტური ევროპა ხელის შემშლელი იყო მისი იმპერიალიზმისა და მისი უაღრესი, შიშველი კაპიტალიზმის ბატონობისა, და ამიტომ იგი ახალი ევროპის მტერი გახდა. მეორე მხრით მას მეტოქეობას უწევდა იაპონია შორეულ აღმოსავლეთში, დიდ ოკეანეზედ, და რათგანაც იაპონია თვის ბუნებრივ მტერთა და მეტოქეთა, ინგლისისა და შეერთებული შტატების წინააღმდეგ გამოვიდა და და თვით განახლებული განახლებულ ევროპას ამოუდგა გვერდს, ამერიკაც მის წინააღმდეგ ცხადი მტრობის პოლიტიკას დაადგა და აიძულა იგი ამ მტრობაზედ საჭურველით ეპასუხა. მაგრამ ვითარცა ინგლისის მოკავშირეს ამერიკას თვისივე საკუთარი საქმის გაკეთება აქვს მიზნად დასახული: ახალი ევროპის მოსპობა ინგლისთან ერთად, ხოლო ამასთანავე ამ ბრძოლაში ინგლისის გაჭირვებით სარგებლობა და მისგან ჩამორთმევა ყველაფრისა, რის ჩამორთმევასაც კი შესძლებს, და ბოლოს დასუსტებული ინგლისისა და მისი იმპერიის დაშლა და მემკვიდრეობად მიღება. და მართლაც თვის ომში გერმანიისა, იტალიისა და იაპონიის წინააღმდეგ ამერიკა ინგლისს, მოკავშირესაც არ ზოგავს და სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა პირობებში ეპატრონება მის ქვეყნებს და შლის მის იმპერიას. ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთელი თვისი გავლენა და ძალა იხმარა აგრეთვე, რომ შუა და სამხრეთი ამერიკის სახელმწიფოები —მექსიკო, ბრაზილია და სხვანი— ჩაეთრია ევროპისა და იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ზოგი მათგანი პირდაპირ ომში.

იაპონიის ერმა, ძველი კულტურის მქონემ, ნიჭიერმა და შრომის მოყვარემ, მე-19 საუკუნეში ევროპის მეცნიერება, ტეხნიკა და მრავალი წესი ევროპის სახელმწიფოებრივობისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისა შეითვისა და ამით იგი მსწრაფლად განვითარდა, გახდა უძლიერეს სახელმწიფო ერად შორეულ აღმოსავლეთში. მის განვითარებას და გაძლიერებას წინ ეღობებოდენ ჩინეთი, რუსეთი, ინგლისი და ამერიკა იმისდა მიხედვით, თუ რა მიმართულება და თვისება ჰქონდა იაპონიის განვითარებას. ჩრდილო-დასავლეთით რუსეთი ეღობებოდა მას წინ. მაგრამ მან იგი დაამარცხა 1904—5 წ-ის ომში. გამარჯვებით იაპონიას არ ასარგებლებინეს ინგლისმა და ამერიკამ ვითარცა დიდმეტოქეს მომავლისა. დასავლეთით ჩინეთი უშლიდა ხელს მის ეკონომიურ გავლენას. ამიტომ დღემდე გრძელდება ბრძოლა იაპონიისა ჩინეთთან, დიდი ომის წინად დაწყებული, და გამარჯვებაც ჯერ-ჯერობით იაპონიისა არის. თვით ჩინეთში და მის ზღვის მიდამოებში და დიდ ოკეანეზედ იაპონიის უდიდესი მეტოქენი იყვნენ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები. იგინი ჩინელებს ეხმარებოდენ მის წინააღმდეგ ომში და ეხმარებიან ახლაც, ხოლო ზღვაზედ ინგლის-ამერიკის ფლოტი იაპონიის საზღვაო ძალას განადგურებით ემუქრებოდა. დიდი კუნძულები იავა, სუმატრა, ბორნეო და სხვანი მცირენი, ეგრედ წოდებული ნიდერლანდური ინდოეთი ჰოლლანდიის ხელში იყო და ამგვარად იაპონიას გასაქანი აღარა ჰქონდა, არავითარი შესაძლებლობა თვისი დიდი ერის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეო არსებობისა და განვითარებისა. არავითარ დათმობაზედ, შეთანხმებაზედ, ცხოვრების საშუალებათა სამართლიან განაწილებაზედ ინგლისი და ამერიკა არ წავიდენ და ეს იყო მიზეზი, რომ იაპონია, თვითვე განახლებული, გვერდში ამოუდგა ევროპის განახლებულ ერებს და ინგლისსა და ამერიკას ომი გამოუცხადა. ერთი წლის განმავლობაში მან ერთიც დაამარცხა და მეორეც, ზღვაზედაც და ხმელეთზედაც, წაართვა ინგლისს მფლობელობანი ჩინეთში, მალაის ნახევარ-კუნძული, ბურმა, ამერიკელებს ფილიპინები და სხვა კუნძულები, ჰოლლანდელებს, რომლებიც ინგლის-ამერიკის მხარეზედ იყვნენ, მთელი მათი იმპერია, დაიპყრა ნახევარი ახალი გვინეა და ემუქრება ავსტრალიას. და როგორც ნაციონალ-სოციალისტურ და ფაშისტურ ევროპას აქვს დასახული ახალი ევროპის შექმნა, ისე იაპონიას ახალი აღმოსავლეთ-აზიისა, სადაც ყოველ ერს ექმნება ეროვნული და სახელმწიფოებრივი თავისუფლება, მაგრამ ამავე დროს ყოველი მათგანი იქმნება თანამშრომელი და მოკავშირე იაპონიისა, რომლის ხელმძღვანელობით იგინი გაერთიანებული ძალით შექმნიან ახალ, მოწესრიგებულ აღმოსავლეთ-აზიას. მანჯუკუო, ტაილანდი, ინგლის-ამერიკისაგან განთავისუფლებული ერები უკვე ჩაებენ ამ საერთო მუშაობაში იაპონიასთან, და თვით ნაწილი ჩინეთისა, იაპონიისაგან ომით დაჭერილი, გახდა თავისუფალ „ეროვნულ ჩინეთად", იაპონიის. აგრეთვე მოკავშირედ. და მასთან თანამშრომლობით სურს მას შექმნას საფუძველი მთელი ჩინეთის თანამშრომლობისა აღმოსავლეთ აზიის ამ უზარ-მაზარი აღმშენებლობის საქმეში იაპონიის წინამძღოლობით. უკვე ჩიანკაიშეკის ჩინეთშიაც შევიდა ამთანამშრომლობის საჭიროების შეგნება და ჩიანკაიშეკის ჯარები უკვე ათი-ათასობით გადმოდიან იაპონიის მხარეზედ. ხვალ შეიძლება იაპონია იძულებული გახდეს და რუსეთსაც მოუქნიოს ხმალი და ამით დამთავრდება შორეულ აღმოსავლეთში შესაძლებელ მოქმედებათა და საქმეთა გაშლა.

მაგრამ ამ ომის გართულება ამითაც არ დამთავრებულა. არა მარტო სახელმწიფოებმა და ერებმა დაიჭირეს განსაზღვრული ადგილი ურთიერთთან ან ურთიერთის წინააღმდეგ, არამედ იმ დიდმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც, რომლებიც არც სახელმწიფოებია, არც ერები, არამედ მათ წიაღში მცხოვრები და განსაზღვრულად განწყობილი ერთა და სახელმწიფოთა მიმართ, როგორც ფრანკ-მასონები და სხვები. ეს ორგანიზაციანი მიემხრენ ბოლშევიკებს და მათ მოკავშირეებს ნაციონალ-სოციალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვითარცა საზოგადოებანი ინტერნაციონალურნი, უარმყოფელნი ერისა და ეროვნული სახელმწიფოსი. უწინარეს ყოვლისა აქ უნდა გავიხსენოთ უზარ-მაზარი საერთაშორისო ძალა, რომელიც ფულით და ყოველი სატანური საშუალებით ბატონობდა მთელ ქვეყანას დიდი ხნითგან და ბატონობს დღესაც კაპიტალისტურ ქვეყნებს და ბოლშევიკურ რუსეთს. ეს არის ძალა ურიისა. ურიას ჰყავს ღარაზმული ზემოხსენებული ძალები და ხელმძღვანელობს მთელ ბრძოლას ნაციონალ-სოციალიზმის და ფაშიზმის წინააღმდეგ. ურიის თვისებას განსაზღვრავს მისი ჯიში, როგორც ყოველი ერის თვისებას განსაზღვრავს მისი ჯიში. ურია კი უსაშინელესი და უმდარესი წარმომადგენელია იმ ჯიშისა, რომელიც წინა-აზიაში იყო გავრცელებული უხსოვარი დროითგან და რომლის შერევამ აცხვა ჯიშებთან წარმოშვა სხვა და სხვა ერი მდარე და მავნებელ თვისებათა მქონე და მათ შორის ურიის ერი. გმირობა, კეთილ-შობილება, დიდსულოვნობა, მადლი და სხვა თვისებანი, რომელნიც სიამაყეა სხვა ჯიშის ერთათვის, ურიის დამახასიათებელნი არ არიან და არც იყვნენ აროდეს. საკმარისია ცოდნა ურიების ისტორიისა, მათ ბრძოლათა, მათი კულტურული შემოქმედებისა წარსულში, რაიცა არარაობა იყო, აგრეთვე მათი ღმერთისა, სარწმუნოებისა, მათი სარწმუნოებრივი მწერლობისა, და შედარება მათი მაგალითად ბერძენთა წარსულთან, შემოქმედებასთან და კულტურასთან, რომ ადამიანს თვალწინ წარმოუდგეს ურიის არსება და მისი განსხვავება იმ ერთა არსებისაგან, რომელიც ჩვენ ქართველთაც გვესმის და მაღალი ხარისხის მოვლენად მიგვაჩნია. თვით ქრისტეს სარწმუნოება, რომელიც ურიის რჯულის მქონე მაგრამ არა ურიების ქვეყანაში, არამედ გალილეველთა ქვეყანაში დაიბადა, მთელმა ურიის ერმა უარ-ჰყო, არ მიიღო, ვითარცა შეუფერებელი მისი სისხლისა და სულისათვის. ქრისტიანე ურიები, მოციქულები და სხვანი, გამონაკლისნი იყვნენ, ან ნაკლები სისხლი ჰქონდათ მათ ურიისა, ხოლო ქრისტიან-ურიათა მრევლი მეტად მცირე იყო პალესტინაში და მალე განქრა მას შემდეგ, რაც ქრისტიანობამ ბერძნული ხასიათი მიიღო და უნივერსალურ სარწმუნოებად გადაიქცა. ქრისტიანული სარწმუნოების სისტემის შემქმნელებმა, რომელნიც უმეტესად ბერძნები, რომაელები და სხვა არა ურიები იყვნენ, ურიების „ძველი აღთქმა" თვისი სისტემისათვის გამოიყენეს განსაზღვრული მიზნით, წაართვეს იგი ურიებს და მიითვისეს და, ასე ვსთქვათ „გააქრისტიანეს". შეცდომა იყო თუ არა ეს მათი მხრით, ძნელია ამის თქმა (ამაზედ მეორე საუკუნითგან კამათობენ ღვთის მეტყველნი და მეცნიერნი). ხოლო ფაქტია, რომ ეს შეუსაბამობა ყოველთვის იყო ნაგრძნობი ქრისტიანე მორწმუნეთა და მოაზრეთაგან და ბევრისგან ცდაც, რომ „ძველი აღთქმა", როგორც ურიულ წიგნთა კრებული, განდევნილ ყოფილ-ყო ქრისტიანულ მწერლობითგან და საზოგადოდ ქრისტიანობითგან. —ურია, როგორც არა მოყვარე შრომისა, განსაკუთრებით ბიწად-მოქმედებისა, ყოველთვის მოდებული იყო ქვეყანაზედ, როგორც ვაჭარი და ჩარჩი, —თვით ბაბილონ-ასურეთის ეპოქაში, კიდე მეტად რომის იმპერიაში. განსაკუთრებით მოედვა ურიობა რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილს, დასავლეთ ევროპას პირველი საუკუნითგან იერუსალიმის დანგრევის შემდეგ იმპერატორ ტიტუსის მიერ, რომელმაც აუარებელი ურია გადაასახლა რომში, იტალიაში საზოგადოდ და განავრცელა რომის ევროპიულ პროვინციებში. მას შემდეგ იჭარბა ურიების თესლმა ევროპაში. საშუალო საუკუნეთა ქალაქები სავსე იყო ურიებით და მათი ხელობა ვაჭრობა და მევახშეობა იყო. დასავლეთ ევროპითგან, განსაკუთრებით მე-16 -17 ს., ურიობა მოედვა პოლონეთს, რუმინიას, უნგრეთს და მერე უკრაინას, რუსეთს, სადაც იგინი, სამხრეთითგან შესულნი, უკვეესახლობდენ მე-15-16 ს. საქართველოში ურიების კოლონიები ქრისტეს წინად რამოდენიმე საუკუნით იყვნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაბნევის შემდეგ პირველ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ იქ კიდე უფრო გამრავლდა ურიობა. მეცხრამეტე საუკუნეებში ურიების რიცხვმა ისე იმატა ამერიკის შეერთებულ შტატებში, და მეოცე საუკუნის დასაწყისში მას მიემატა კიდე რუსეთითგან გადასახლებული იმდენი ურია, რომ 15 მილიონი ურიითგან ერთ მესამედზედ მეტი ამერიკაში სცხოვრობდა, დანარჩენის დიდი უმეტესობა ევროპაში და რუსეთში, —ამ უკანასკნელ ქვეყანაში დიდი უმეტესობა ევროპის ურიებისა. სხვა უმცირესი ნაწილი ურიებისა გაბნეული იყო სხვა ქვეყნებში. და ყველგან მათი საქმე უმთავრესად მევახშეობა და ვაჭრობა იყო და არის. მაგრამ როდესაც დემოკრატიულ ეგრედ წოდებულ „თავისუფლებათა“ დამყარების შემდეგ ევროპაში (და ამერიკაშიც) ურიებმა მოქალაქის უფლებანი მოიპოვეს, ფულის სიმდიდრით მათ სოციალური მდგომარეობაც მოიპოვეს, გამოვიდენ მათი ჩაკეტილი უბნებითგან, გაბატონდენ არა მარტო ბირჟაზედ, არამედ შეიძინეს მიწებიც, გახდენ მემამულეებადაც კი, შეიჭრენ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. მათი ინტელიგენცია დაეპატრონა პარტიებს, განსაკუთრებით რევოლუციურ პარტიებს, მათ ჩაიგდეს ხელში პრესსა, თეატრი, გამომცემლობა, უნივერსიტეტები, ლიბერალური პროფესიები (ექიმობა, ვექილობა და სხვა), კინომატოგრაფები, ტელეგრაფის საგენტოები; იგინი დაეპატრონენ „საზოგადო აზრის“ შექმნის საქმეს, დაუკავშირდენ დიდ არისტოკრატიას და ბურჟუაზიას იმ ქვეყანათა, სადაც იგინი სცხოვრობდენ, —ქალების მითხოვებით ან თხოვით, ქრისტიანობის მიღებით, თვით უმაღლესი სამღვდელო ხარისხის მიხწევით! ამგვარად იგინი ყველგან იმაგრებდენ ფესვებს ევროპის ქრისტიან ერთა შორის და ამით მათ ისეთი ბადე შექმნეს, წმიდა ურიული, ისეთი ქსელები გააბეს, რომ მთელი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრება ევროპისა და ამერიკისა მათი ბატონობის ქვეშ მოექცა. ურიას არაფერი შეუქმნია: არც კაპიტალიზმი, არც სოციალისტური მოძრაობა და მოძღვრება, არც თვით ქრისტიანიზმი, და არც ევროპის მეცნიერების, ხელოვნების და ერთობ კულტურის შემქმნელი ფაქტორი ყოფილა იგი აროდეს. არამედ კაპიტალიზმის სისტემაში იგი გაბატონდა ჩარჩობით და სპეკულაციით, სოციალიზმის მოძღვრებას მან თვისი ფორმა მისცა, ჩაუდგა სული სატანური მარქსიზმისა, რომელიც არის მოძღვრება უსამშობლო კაცის ტვინის მიერ შექმნილი, აღმძვრელი ქვე-კაცთა ერისა და მისი კულტურის წინააღმდეგ. ურიამ გახრწნა საზოგადოება თავისი პრესსით, კინოებით და თეატრებით, ურიული ხელოვნებით, რომელსაც ნამდვილ, ეროვნულ ხელოვნებასთან არაფერი აქვს საერთო; ქრისტიანულ ღმრთის-მეტყველებაში ურიის მონათლულმა მეცნიერ-ღმრთის-მეტყველებმა განაცხოველეს ის ურიული ელემენტი, რომელიც წინად მიიღო ქრისტიანულმა ეკკლესიამ სრულიად განწმედილი ურიული სულისაგან; და თუ სადმე ერთი-ორი ურია გამოიჩენდა ნიჭს სხვა მეცნიერებაში ან ფილოსოფიაში, მთელი ურიობა ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა თვისი უზარ-მაზარი საშუალებით რეკლამისა, თითქოს ერთობ მეცნიერება და ფილოსოფია ურიების სულიერი ძალის მიერ იყოს შექმნილი! ბუნებრივი პროცესსი ევროპის საზოგადოებათა განვითარებისა აროდეს ყოფილა განსაზღვრული ურიების მიერ, მაგრამ ამ პროცესსში იგინი მუდამ იყვნენ ჩარეულნი და, თითქოს იცოდენ ბუნებრივობა პროცესსისა, იგინი მდგომარეობას იქმნიდენ ყველგან, —უმაღლესი ფინანსებითგან და ლორდობითგან დაწყებული ბოლშევიზმის პროპაგანდისტობამდე, რომ ბოლოს, რაც გაიმარჯვებდა იქ დაბუდებულიყვნენ, რა საზოგადოებაც შეიქმნებოდა, იქ ყოფილიყვნენ გაბატონებულნი! ხოლო ურია მუდამ იყო ბაცილლა, გამომწვევი საზოგადოებრივ სნეულებათა, გამხრწნელი და დამშლელი საზოგადოებათა, დამამახინჯებელი და ხშირად უკულმართად მიმმართავი საზოგადოებათა შეცვლის პროცესსისა, ან დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენათა. ურიებმაც იცოდენ და იციან დღესაც თვისი ძალა და მათთვის ჩვეულებრივი კადნიერებით ყოველთვის იქადოდენ და იქადიან დღესაც ამ ძალით. ამიტომ ამბობდა გერმანიის ცნობილი დიდი ურია რათენაუ: ურიობა აზიის ურდოა, ევროპაში მავალი, რომელსაც ასსიმილაცია ევროპიელებთან არ შეუძლია. მაგრამ ევროპას იგი დააჩოქებს ან კაპიტალიზმით (ფულით), ან სოციალმზმით, ან ქრისტეთიო. და აი ეს უზარმაზარი საერთაშორისო ორგანიზაცია ურიებისა, რომლის განმანადგურებელი და გამხრწნელი როლი შეიგნო ნაციონალ-სოციალიზმმა და ფაშიზმმა, რომლის საფრთხე ერთათვის სიგრძე-სიგანით იქმნა განზომილი მათგან, აღიმართა აგრეთვე მთელი თავისი სიმდიდრით და გავლენით ერთა განმაახლებელი რევოლუციის წინააღმდეგ. ერებმა ურიის წინააღმდეგ ზომები მიიღეს, როგორც ეროვნული ორგანიზმის მომწამლველი ბაცილლის წინააღმდეგ. ხოლო ურიამ მათ ყველა ზემოხსენებულ ძალთა შეერთებით და ფაშიზმის და ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგ ომით უპასუხა. და ამ ძალებს: კაპიტალიზმს, ბოლშევიზმს, და სხვას, —ყველას აქვს საერთო რამ ურიობასთან, ზოგს ძირიც კი! ამ საერთო ნიადაგმა და ძირმა შეაერთა იგინი ურიობასთან ამ ომში.

ხოლო მიზანი და ანგარიში თვითეულ მათგანს საკუთარი აქვს. კაპიტალიზმის მიზანი ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგ თავისი ბატონობის დაცვაა, რათგან ნაციონალ-სოციალიზმი უარ-ყოფაა კაპიტალიზმისა, და მას ჰგონია, რომ ამ ბრძოლაში ბოლშევიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი ურთიერთს მოსპობენ, ხოლო გამარჯვება და ბატონობა კაპიტალიზმს დარჩება. ბოლშევიზმის ანგარიშით ნაც.-სოც.—მი და კაპიტალიზმი დათრგუნვენ ბრძოლით ურთი-ერთს და დაღლილი და დალეწილი ქვეყნები ადვილად გახდება ნიადაგი პროლეტარული მსოფლიო რევოლუციისათვის. ხოლო ნაც.-სოციალიზმის გამარჯვება სიკვდილია ბოლშევიზმისათვის. ამიტომ მისი კავშირი ნაც.-სოციალიზმის მტრებთან. ურია კი გამარჯვებული იქმნება, როგორც უსამშობლო, მოკლებული ეროვნულ მიზნებს, კაპიტალიზმის გამარჯვების შემდეგაც და ბოლშევიზმის გამარჯვების შემდეგაც, ხოლო დამარცხებული ნაც.-სოციალიზმის გამარჯვებით. ამიტომ მისი კავშირი ნაც.-სოც—ის ყველა მტრებთან და ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა მათი! —ვინ სცდება ამ ანგარიშში და ვის აქვს სწორი ანგარიში? სცდებიან კაპიტალისტური ინგლისი და ამერიკა, როდესაც მათ ჰგონიათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბოლშევიზმის მიერ ევროპის დაპყრობას მათთვის სასურველი შედეგი მოჰყვება. რუსეთის ბოლშევიზმის გამარჯვება ნიშნავს ევროპის გაბოლშევიკებას, ხოლო ეს უკანასკნელი თვით ინგლისისა, ამერიკისა და მთელი კულტურული კაცობრიობის გაბოლშევიკებას, განადგურებას და საუკუნოებით უკან დაწევას მისი კულტურისა. ხოლო არ სცდებიან ანგარიშში ბოლშევიზმი და ნაც.-სოციალიზმი, რომელთათვის ურთიერთის წინააღმდეგ ბრძოლა და ურთი-ეროის განადგურება აუცილებელი და გარდაუვალია, ერთისათვის საქვეყნო ქაოსის შესაქმნელად და ამ ქაოსით ქვეყანაზედ საპატონოდ, მეორესათვის ცხოვრების განსაახლებლად და ქვეყნის მოსაწესრიგებლად ახალ, ეროვნულ-სოციალისტურ საფუძველზედ. ურიის ანგარიშიც ისეთია, რომ მას მხოლოდ კაპიტალიზმის ან ბოლშევიზმის გამარჯვება გადაარჩენს, ხოლო გამარჯვება ნაციონალ-სოციალიზმისა ურიის მთელი რასსის აღგვას ნიშნავს პირისაგან მიწისა.

სად არის ქართველი ერის ადგილი ამ მსოფლიო საბედისწერო ბრძოლაში? აზიასთან თუ ევროპასთან? კაპიტალიზმთან, ბოლშევიზმთან თუ ნაციონალ-სოციალიზმთან? თუ ღრმად ჩავიხედავთ ჩვენ წარსულში, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ნათელი პასუხი მივიღოთ ამ კითხვაზედ. საკმარისი არ არის ამისთვის მარტო ჩვენი უბედური აწმყოს ხედვა.

მ. წერეთელი

დიდი სივრცეების პოლიტიკა

გერმანულ პოლიტიკურ აზროვნებაში ამ უკანასკნელ წლებში გამოჩენილი ადგილი უჭირავს დიდი სივრცის მცნებას, —სივრცის, რომლშიაც მთელი რიგი ქვეყნებისაა მოთავსებული და ამ საერთო ფარგალში რომელიმე დიდი სახელმწიფო ანუ ერი ხელმძღვანელობას კისრულობს, — ხელმძღვანელობას პოლიტიკურს, სამხედროს და სამეურნეოს.

ამ აზრის მნიშვნელობას თეორია არკვევს, ხოლო თვით აზრი ნაკარნახევია ხალხთა მოთხოვნილების მიერ და გამოწვეული უმთავრესად იმ დიდი ერების შეგნებით, ვინც თავის თავს ღარიბად და არა მქონედ გრძნობს და მოსურნეა თავისი მდგომარეობა გამოასწოროს.

ცხადია მნიშვნელობა ამ აზროვნებისა ევროპისა და მთელი კაცობრიობის მომავლისათვის. დიდ მოქმედ ძალად და გარდამწყვეტად იმიტომ შეგვიძლია ჩაეთვალოთ ეს აზრი, რომ უმთავრესად მას ემყარებიან გერმანია და მისი მოკავშირე იტალია და იაპონიაც, მასზედ უნდა აღშენდეს მათ მიერ განზრახული მომავალი საერთაშორისო წესწყობილება და ურთიერთობა. ხოლო ჩვენ მივაქციოთ ყურადღება ამ აზრის უფრო მომავლისაკენ მიმართულ მხარეს. აქ ხომ ჩვენ წინ იშლება არაჩვეულებრივი ზომის და სიდიადის მიზანი.

აღნიშნული აზრის გასაგებად საკმარისია ვახსენოთ ის ძირითადი შეთანხმება, რომელზედაც 1940 წ. სექტემბერში ხელი უწერიათ მოკავშირე გერმანიას, იტალიას და იაპონიას და რომელიც მათი კავშირის მტკიცე საფუძვლად არის აღსარებული და ცნობილი. ამ ხელშეკრულების ძალით გერმანიამ და იტალიამ იცნეს იაპონია, როგორც ხელმძღვანელი და წინამძღოლი სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ხოლო იაპონიამ იცნო ამგვარადვე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ ხელმძღვანელ სახელმწიფოებად ევროპაში გერმანია და იტალია.

მაშინ, როდესაც ამპირობაზე ხსენებული მოკავშირეები ხელს აწერდენ, შეერთებული შტატები ჩრდილო ამერიკისა და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ჯერ ომის გარეშე იყვნენ. ამისთვის 1940 წ. ეს ხელშეკრულება ამ სახელმწიფოებს იხსენიებს, როგორც ნეიტრალობის შემნახველთ, თანაც სცნობს მათ ბატონობას ანდა ხელმძღვანელობას მათ საკუთარ სფეროში ანუ „დიდ სივრცეში", ე. ი. შეერთებული შტატების ორივე ამერიკის სათავეში ყოფნას და საბჭოთა კავშირის თავის სამფლობელოში უდავო ხელმწიფებას.

მაშასადამე, აქ იგულისხმებოდა მაშინ, ე.ი. 1940 წ., ოთხი „დიდი სივრცე", მათ შორის ორი არსებული — შეერთებული შტატები, როგორც მთელი ამერიკის ანუ ორი გინდ სამი ამერიკის ზოგადი მესაჭე; მერე საბჭოთა კავშირი თავისი უზარმაზარი, მრავალი ერის და ქვეყნის შემცველი სფეროთი; და ორი განზრახული და ომის ბედზე დამოკიდებული: იაპონიის მომავალი სფერო ხელმძღვანელობისა, აღმოსავლური ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სამხრეთ-აღმოსავლური აზია. და ბოლოს, ანდა პირველად ყოვლისა, ევროპა ურუსეთოდ, გერმანიის და იტალიის საერთო ხელმძღვანელობით.

1941 წელმა ის დიდი ცვლილება მოიტანა, რომ საბჭოთა კავშირიც, იაპონია და შეერთებული შტატებიც ომის სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდენ. კიდევმეტი. დაახლოვებით ნახევარ წელიწადში იაპონიამ უმაგალითო ძალის და ხელოვნების გამოჩენით ზღვაზე, ხმელეთზე და ჰაერში დაამარცხა ბრიტანიის იმპერია და ჩ.ა. შეერთებული შტატები და შესძლო ყველა იმ ქვეყნების დაპყრობა, რომლებიც მისთვის შეთანხმებულ და დანიშნულ „დიდ სივრცეს" შეადგენენ. ეს ზღაპრულად „მდიდარი სივრცე" უკვე განხორციელდა და, ჩინეთის დიდი ნაწილის გამონაკლისით, იაპონელთა ხელში არის.

შიგ საბჭოთა „სივრცეში" აი ორი წელიწადი სასტიკი ომია გერმანია მისი მოკავშირეებით ღრმად შეიჭრა მასში, და სიტყვა ეკუთვნის სამარ მანქანებს, სარდლობას, ჯარებს, ხალხთა გამძლეობას, აგრეთვე პოლიტიკასაც. ყოველ შემთხვევაში, საბჭოებმა უკვე დაკარგეს მთელი რიგი ქვეყნებისა: ბალტიის სამი კუთხე, თეთრი რუსეთი, უკრაინა, ბესარაბია, ყირიმი. თუ გაიმარჯვა გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა, აღმოსავლეთის ფრონტზედ რომ იბრძვიან, და მათ ომს ხომ კარგი პირი უჩანს, — მაშინ მოსალოდნელია და აუცილებელიც იქმნება დასახელებული ქვეყნების არა მარტო მათი მომავალი ევროპის „დიდ სივრცესთან" დაკავშირება, არამედ მის ფარგალში მოთავსებაც. ხოლო ამ უმთავრესი სივრცის აგებულობაზე აქ ერთი რამ უნდა ვსთქვათ მხოლოდ: ის ოთხი ხალხთა კავშირად უნდა წარმოვიდგინოთ, ხელმძღვანელ სახელმწიფოთა წინამძღოლობით და არა ვისიმე ცალმხრივი ბატონობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული სახე ამ მომავალი გაერთიანებული ევროპიული სივრცისა ჯერ, რასაკვირველია, ისე მკაფიოდ არ სჩანს, ნაადრევიც იქმნებოდა. მაგალითად, გერმანიის და იტალიის საერთო ხელმძღვანელობა როგორი წესით იქმნება წარმოებული, ამაზე ჯერჯერობით არაფერი არ ითქმის. ხოლო უდავოდ მიღებულ აზრად ჩაითვლება, რომ აფრიკა ამ დიდ ევროპიულ სივრცეს დაუკავშირდება მის (ევროპის) სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მოსალოდნელია აგრეთვე, რომ წინა-აზიის ანუ ახლო-აღმოსავლეთის ქვეყნებიც ევროპის გავლენის სფეროში იქმნებიან.

რა თქმა უნდა, ამ მომავალი გაერთიანებული სივრცის სახე ამ წუთში, როგორცა ვსთქვით, ჯერ ბუნდოვანია და ეს ბუნებრივიც არის და გასაგებია, სანამ ომი ჰქუხს და მძვინვარებს. ერთი-კი რამ აღსანიშნავია ამ ისტორიულ და საბედისწერო შეჯიბრებაში, რომლის თანამედროვენი და მონაწილენი ჩვენცა ვართ ყველანი. ვინც ამ წესიერად მოწყობილი „დიდი სივრცეების“ განხორციელებისათვის იბრძვის, ის ერები არიან, რომელნიც არამც თუ, „დიდი სივრცეების“ ხელმძღვანელნი და ბატონნი არ ყოფილან აქამდე, არამედ მათთვის საკმარისი და შესაფერი საცხოვრებელი სივრცეც არ ჰქონიათ (ერის საცხოვრებელი სივრცე ერთია; „დიდი სივრცე“, რომელზედაც საუბარი გვაქვს, სხვა რამეა). ასეთია გერმანია, იტალია, თვით იაპონიაც, მიუხედავად მანჯურიის ადრინდელი შემოერთებისა. ისინი კი, ვის წინააღმდეგაც იბრძვიან გერმანია და მისი მოკავშირენი, სწორედ დიდი სივრცეების მქონე სახელმწიფონი არიან: ინგლისი, შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი. ხოლო საქმეს განსაკუთრებით ის ართულებს, რომ „დიდი სივრცეების“ გეოგრაფიული ფარგალი ისე გარკვეულად არაა დახაზული, როგორც ამის ნიმუშს ამერიკის ხმელეთი იძლევა, ანდა დიდი აზია. მაგალითად, ის „სივრცე“, რომლის დაფუძნება იაპონიამ მოისურვა და ასრულებს კიდეც, აუცილებლად ხდის არამც თუ ბრძოლას ინგლისურად მოსაუბრე იმპერიებთან, არამედ მათ განდევნასაც აზიითგან. იაპონიამ ეს საქმე იკისრა და იბრძვის ალასკით დაწყებული ინდოეთამდის ბრიტანეთის და შ.შ-ის წინააღმდეგ. სხვანაირად ხელში ვერ ჩაიგდებს თავის „სივრცეს“. ამისთვის საფრანგეთის ინდო-ჩინეთი უკვე დაიკავშირა, ინგლისს წაართვა მალაკკა, ბურმა და სხვა ადგილები, ამერიკას — ფილიპინები. როცა იაპონიის „სივრცე“ რუსეთის ხარჯზე იზრდებოდა, როგორც ეს 1904—5 წ. ომის დროს იყო, რუსეთმა რომ წააგო, მაშინ ინგლისი იაპონიის მოკავშირე იყო, ახლა კი იძულებულია თავისი აზიური იმპერია ძველი მოკავშირისაგან დაიცვას, ისიც შ.შტატების დახმარებით. ხოლო ეს დახმარება ჩინეთის დაცვასაც ნიშნავდა ამერიკის მიერ, რაიც მისთვის დიდი საქმე იყო. მართლაც, ამერიკა იცავდა ე. წ. „ღია კარების“ ე.ი. უცხოელთა თანასწორობის პოლიტიკასჩინეთში და იაპონიისხელმძღვანელობაზე ართანხმდებოდა. ჩრდ.-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დაამყარეს-რა მათი ძალა და ხელმძღვანელობა თვით ამერიკის ხმელეთზე, და შეიძინეს რა მათ ადგილები მყუდრო ოკეანეში, მოისურვეს აგრეთვე აღმოსავლეთ აზიაშიაც, განსაკუთრებით ჩინეთში, ისეთი გავლენის გამტკიცება, რომელიც ამ ორი დიდი ქვეყნის ანუ „სივრცის“ მომავალისათვის, მათი ურთიერთობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იქმნებოდა, ხოლო რომელიც არსებითად უარჰყოფდა და შეუძლებლად ხდიდა ადგილობრივს, აღმოსავლურ-აზიურ „დიდ სივრცეს“, იაპონიის და ჩინეთის შეერთებულ ძალებზე და თანამშრომლობაზე აშენებულს და მოსალოდნელს. ამერიკის ამგვარი მისწრაფების მოკავშირე და მომხრე ინგლისი ანუ დიდი ბრიტანეთის იმპერიაც გამოვიდა და ამ ნიადაგზე ეს ორი ინგლისურად მოლაპარაკე დიდი სახელმწიფო იაპონიასთან უსასტიკეს ომში არიან ჩართულნი, რომლის ასპარეზიც უსაზღვრო სივრცეა და საგანიც ის არის, აზიის იმ სივრცეში, იაპონიას, ინდოეთს და ავსტრალიას შუა რომ მდებარეობს, ვინ იქმნება უმაღლესი წინამძღოლი და მოწესრიგე? და ისიც, თუ მყუდრო ოკეანეს სადარაჯო ვის დარჩება?

მაგრამ ეს არა-ჩვეულებრივი ბრძოლა წარმოუდგენელ მანძილებზე შორეულ აღმოსავლეთში ევროპის დიდი ომის შედეგია. იაპონიამ საკვირველი ხელოვნებით და ძალით ის ვიეიმე და სახიფათო მდგომარეობა გამოიყენა, რომელშიაც გერმანიამ და იტალიამ ინგლისი ევროპის და ჩრდილო აფრიკის ომში ჩააყენეს, ასე რომ ეს ევროპის ომი ძირია სულყველაფრისა რაც ხდება. ინგლისის პოლიტიკის გზები და საშუალებანი ისეთი იყვნენ, რომ საკუთარი დიდი ხნის შეძენილი უპირატესობის შესანახად და უზრუნველსაყოფად იგი სპობდა გერმანიისა და იტალიისათვის ყოველ იმედს და შესაძლებლობას მათი ბუნებრივი განვითარებისა და ისეთი წარმატებისა და წინ-სვლისა, რომელიც მათი ძალების უტყუარ და ძლიერ ზრდას შეეფერებოდა. ინგლისის „დიდი სივრცე“ თითქმის მთელი დედა-მიწის უმთავრეს გზებს და მიმართულებათ შეიცავდა, და ამგვარი ბატონობის გულისთვის უშლიდა გერმანიას და იტალიას მათთვის საჭირო და შედარებით ზომიერი საცხოვრებელი სივრცე დაეჭირათ. დაიწყო ეს დიდი ომი და მისი მსვლელობა ისეთი იყო, რომ ბრძოლა ამ არსებობისათვის საჭირო სივრცისათვის თანდათან ადგილს უთმობს სხვა, უფრო მნიშვნელოვან მიზანს: მომავალი ევროპის ერთ „დიდ სივრცეში“ გაერთიანებას შესაფერი საერთაშორისო და სამეურნეო წეს-წყობილებით ერთ ფარგალში მოქცეულ ხალხთა შეთანხმებულ თანამშრომლობით და ყოველი ცალკე ერის თავის საკუთარ სფეროში დამოუკიდებლობით და მისი ეროობის ანუ ეროვნული სახის უზრუნველყოფით.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, რომლის ბატონობას თავის „დიდ სივრცეში“, როგორც ვნახეთ, მისი მოპირდაპირენი არ უარჰყოფდენ, მისი ამბავი კიდევ სხვა რამეა. მას ჯერ ძველი რუსეთის მემკვიდრეობით უყვარდა და უყვარს „დიდი სივრცეები“ (არც პატარებზე ამბობს უარს), საკუთარი ახალი ხატკრით-კი მთელი მსოფლიოს „სივრცე“-ზე ოცნებობს; ხოლო ევროპაზე ბატონობა, ეს ოცნება კი არა, მისი გარკვეული განზრახვა იყო და არის. რათა ეს არ მოხდეს, გერმანიამ ომიც გამოუცხადა, და ამ ბრძოლის ბედზე დამოკიდებულია მომავალი ყოველი ერისა და სივრცის, დიდი იყოს იგი თუ მცირე.

აწინდელ მსოფლიო ომში მრავალი ომია ერთ კვანძად შეკრული. ამისთვის ამ, ასე ვსთქვათ, გაერთიანებულ ბრძოლას არა ერთი სახე აქვს. მაგალითად ევროპის თვალსაზრისით მისი უმთავრესი სახე ალბათ ის არის, რომელშიც კომუნიზმის წინააღმდეგ წარმოებული ომი იხატება, ხოლო დიდი სივრცეებისაკენ მიმართული ომის მიზნები, ამ სივრცეების დაცვა ანდა მოპოვება არის სხვა სახე ამ უმაგალითო მსოფლიო ომისა.

კავკასია — საკმაოდ მნიშვნელოვანი და მეტად მდიდარი და თავისებური „სივრცეა“ ევროპის და წინა-აზიის საზღვარზე. ხოლო ის არ წარმოადგენს „დიდ სივრცეს“ სიტყვის ზემოხსენებული გაგებით და მისი საკითხი უფრო ისე დგას, თუ რომელ „დიდ სივრცეში“ მოთავსდება იგი? იმაში დარჩება, რომელშიაც იმყოფება არა ნებით, არამედ გარემოებათა მიზეზით, თუ როგორც წარსულმა დიდმა ომმა კავკასიის ერებს და უმთავრესად საქართველოს თვით-გამორკვევა და დამოუკიდებლობა მოუტანა, —საბოლოოდ დამოუკიდებლობა უგარანტიო და უსაფუძვლო, — ისევე აწინდელი ომი მათ სხვა სივრცეს დაუკავშირებს და მათ თავისუფალ დამოუკიდებელ არსებობას განამტკიცებს და უზრუნველჰყოფს?

ზ. ავალიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძე

ქართველი დედის წერილი

ომში გაყვანილ შვილისადმი

ხმა მომესმა, შვილო, კართან გუშინა.
შენ მეგონე: გულმა ცემას უშინა.
წამოვვარდი. მეუცხოვა: არ იყავ
და საგულემ გული ცივად გარიყა.

შენი პაწა სიდონია, თმათაფლა,
მეკითხება შენზე ყველას უმალ.
„მალე მოვა“ —ვეუბნები ხმადაბლა,
ის-კი მატყობს, რომ ცრემლებსა უმალავ.

უცხო ჩიტი მოფრინდება: გნოლია.
მიყლურტულებს რალაც ამბავს უგნებად.
სანუგეშოს მაიმედებს, მგონია,
ხოლო გული მაინც სხვას მეუბნება.

ეგებ გცივა, შვილო, უცხო არეში:
ყინვებია თურმე მანდ ნამეტნავი.
რომ ვიცოდე, თუა კიდევ ნეტავი
ცხრათვალა მზე საქართველოს გარეშე.

ან თუ გდიხარ, შვილო, სადმე ვრდომილი,
დაგტეხია შავად თავს უბედობა.
ვინ ვიგულვო შენი კეთილმდომელი,
რომ ლბუნებით გაგიწიოს დედობა.

გადაგისვას ნაზი ხელი ყვრიმალთან,
მოგასხუროს სხივი ნატვრის-თვალისა,
ირემივით მხრებში რომ გაიმართო
და მზეს შეხვდე ამომავალს ხალისად.

რა ვქნათ, შვილო! არ არის მეკომური,
არ ყვედრიდეს ეხლა ბედის-წერასა.
ნაღვლითაა სავსე ყველგან გომური,
რომ აკლია ვაჟი მყუდრო კერასა.

ცრემლის დენით დაშრეტილი დედები
ვეფინებით თმაგაშლილი ტყე-ველთა,
საქართველოს მიწის საკურთხეველთან
მიგვაქვს ურვა ძუძუდამშრალ მკერდებით.

ვედრებაში დათუთქული გულები
ისხმებიან ერთი გულის ცემადა.
ქართველ დედის ხელით დანერგულები
ზორვით ვაგრძობთ წმინდა გადმოცემათა.

დედაღვთისა იყოს ამის მოწმედა —
ხართ გამძლენი ვით ულპობი ურთხველა.
გადაეცი, შვილო, თანამოძმეთა:
თქვენთან მოდის ჩვენი ლოცვა-კურთხევა.

იანვარი, 1943 წ.

ლბუნება —დაშუშება, დანელება.
ურვა —წუხილი.
ზორვა —მსხვერპლის შეწირვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე შენიშვნები მნიშვნელოვან საკითხზე

შორეულ ხანიდან ევროპის ხალხთა ისტორია იცნობს ლტოლვილთა ანუ ემიგრაციის საკითხს.

სამშობლოდან ლტოლვილობა უმთავრესად შემდეგი სამი მიზეზით ხასიათდება:

ადგილობრივ მკვიდრთა შიწის სიიწროვე, სიღარიბე, უმუშევრობა და სხვა დუხჭირი ეკონომიური მოვლენები; ამ შემთხვევაში ნაწილი მოსახლეობისა სტოვებდა მშობლიურ კერას და სხვა ქვეყნებსაკენ მიისწრაფვოდა.

მეორე მიზეზათ ითვლებოდა შინაგანიპოლიტიკური რევოლუციები, როდესაც აღმოცენებული მართველობა სდევნიდა ახალ წყობილების მოწინააღმდეგეთ და შეურიგებლებს აიძულებდა სამშობლო მხარის დატოვებას და უცხო ქვეყნებში შეხიზვნას.

მესამე იყო შედეგი გარეშე მტრის შემოსევისა.

უკანასკნელ ორ ნახევარ საუკუნის მანძილზე საქართველოს წარსული იცნობს მარტო ორ თვალსაჩინო ლტოლვილობის ამბავს, გამოწვეულს მხოლოო გარეშე მტერთა შემოსევითა და საქართველოს დაპყრობით.

პირველი მოხდა 1724 წ. როდესაც ოსმალ-სპარსთა შეერთებული ძალები შეესივნენ საქართველოს და აიძულეს მეფე ვახტანგ მე-VI ათას-ორას რჩეულ ქართველით რუსეთში გახიზნულიყო.

მეორე ამბავი დატრიალდა ჩვენს დროს 1921 წ., როცა რუსეთის წითელმა ჯარებმა დაიპყრეს და დაამხეს საქართველოს სახელმწიფო და აიძულეს მისი მთავრობა, ორიათასამდე ქართველ მამულიშვილით, თავი შეეფარებინა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის.

საზოგადოდ ცნობილია, რომ შედარებით სხვა ხალხებთან, ქართველ კაცს მეტად უმძიმდა საკუთარი კერის მიტოვება. იგი იტანდა შიწის სიიწროვესაც, სილატაკესაც, ცხოვრების სხვა სიმძაფრესაც, მაგრამ მშობელ მხარეს მაინც არ სტოვებდა. „არ გავცვლი სალსა კლდეებსა სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“ იყო მუდამ ქართველის შეურყეველი სულისკვეთება რომელიც დაედო საფუძვლად პატარა საქართველოს მრავალ საუკუნოვან და მძლე არსებობას კავკასიაში.

თუ ქართველი თავის ნებაყოფლობით მაინც მიდიოდა გარეე, მხოლოდ დროებით, რათა მუშაობით მოენახა სახსარი და გაღონიერებული მალე შინ დაბრუნებულიყო: სამშობლოში საკუთრად მიწა შეესყიდნა, სახლი აეშენებია, სავაჭრო ან სახელოსნო გაეხსნა.

თუ ბედის შეტრიალებით ქართველს მოუხდებოდა სხვა ქვეყანაში ჩარჩენა, მის გათქვეფას უცხო ტომებში და გადაგვარებას დიდი დრო სჭირდებოდა... საუკუნოები!

შორეულ ფერეიდანში შაჰ აბაზის მიერ ძალით გადასახლებულთ და რჯულ-გამოცვლილ კახელებს, სამასი წლის შემდეგაც არ დაუკარგავთ არც ქართული ენა, არც ქართული ზნე-ჩვეულებანი. ვისაც უნახავს ტფილისში ჩამოსულნი ფერეიდანელი ქართველნი ამ საუკუნის დასაწყისში, ამას დაგვიმოწმებენ.

ორასი წელიწადი მოუნდა ვახტანგ მე-VI-ის გახიზნულ ქართველობას, რომ მის მცირე ნაწილი, ჩარჩენილი რუსეთში, რუსი ხალხის ზღვას შთაენთქა. ბევრს ალბათ ახსოვს, რომ საქართველოს აღდგენის დღეებში, ამ დაკარგულ ქართულ მოდგმიდანაც ნელ-ნელ უბრუნდებოდნენ სამშობლოს გარუსებულნი ჩამომავალნი მეფე ვახტანგის ქართულ ამალისა —პანჩულიძენი (ფანჩულიძეები)), თურქესტანოვნი (თურქესტანიშვილები), ჟევახოვები (ჯავახიშვილები) და სხვანი. საუკუნე საუკუნეთ სცვლიდა, თაობანი —თაობებს, მსოფლიო ქარიშხლები —ქარიშხლებს, მაგრამ ქართველის გულიდან და შეგნებიდან ვერავითარ ძალას ვერ აღმოუფხვრია მისი უღრმესი გრძნობანი სიყვარულისა და მოვალეობისა სამშობლოს წინაშე.

ქართულ ისტორიის ამბები გვიმოწმებენ რომ ამ გრძნობებში ყველაზე მეტად გაქვითკირებული ყოფილა სწორედ ის ქართველობა, რომელიც გარეშე მტერთა ძალადობით იძულებული გამხდარა სამშობლოს გასცლოდა.

და ეს ლტოლვილნი მუდამ შეადგენდნენ ქართველ ხალხის მებრძოლ ნაწილს, რომელიც იღვწოდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის გარეშე მტარვალებისაგან. მეფე ვახტანგ მე-VI ქართველობამ, რომელიც იძულებით იმყოფებოდა ეკატერინეს რუსეთში, ბევრი მოიმოქმედა რომ რუსეთის საშუალებით მოეშორებინა საქართველოსთვის ოსმალეთ-სპარსეთის მონობის უღელი.

მეფეერეკლე მე-II გახდა მხოლოთ შემსრულებელი მათ პოლიტიკურ გეგმისა, რომელიც დამთავრდა 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ საკავშირო ტრაქტატით.

მაგრამ მალე რუსეთმა ვერაგულათ დაარღვია მოკავშირის პირობა და ფეხ ქვეშ გათელა საქართველოს სამეფო. მაშინ რუს იმპერატორთა წინააღმდეგ გამოვიდა, საგანგებოდ გადასული სპარსეთში, ერეკლე მე-II-ის შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი. ცოტა ხნის შემდეგ იგი შეუერთდა იმერეთის მეფე სოლომონს შეფარებულს ოსმალეთში და ორივენი სცდილობდნენ რუსეთის მოახლოვებით დაშინებულ სპარს-ოსმალების შემწეობით გამოეტრიალებინათ ბაგრატიონთა საქართველოს ბედი.

ამ გამოჩენილ ქართველ მებრძოლ ლტოლვილებმა მე-XIX საუკუნის ქართველობას, უკვე მოქცეულთ რუსეთის იმპერიის საზღვრებში, დაუტოვეს ეროვნულ ბრძოლის მდიდარი ტრადიცია და გადასცეს მას ნაბრძოლევი დაფლეთილი ქართული ეროვნული დროშა... კარნახით: განაგრძეთ ბრძოლა!

მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში წაქცეულ საქართველოში ფეხაკრეფით, ნელა-ნელა, მოქნილ სიტყვით, კალმით და საქმით დაიწყო დაგროვება ქართველი მამულიშვილების ახალ თაობათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რუსულ თვითმპყრობელობის რეჟიმით ხელფეხ შეკრულ ქართველობას არ შეეძლო სამშობლოში ქართულ ეროვნულ დროშის გაშლა. საქართველოს მედროშენი კვლავ გაჩნდნენ სამშობლოს გარედ, უცხოეთში.

მე-XX საუკუნის დასაწყისში შუაგულ ევროპაში გაჩნდა ქართველ მამულიშვილთა მებრძოლი ჯგუფი, რომელმაც საქვეყნოდ ააფრიალა საქართველოს განთავისუფლების დროშა; 15 წლის შემდეგ, 1918 წ.26 მაისს, ეს დროშა აფრიალდა ტფილისის სასახლეზედ.

იმ დროინდელ საქართველოში მყოფნი ქართველი მამულიშვილები ევროპაში მომუშავე ქართულ წრეს საქართველოს მოწინავე მედროშეებს უწოდებდენ. არავის აზრათ არ მოსვლია მოენათლა იგი „ემიგრანტის" სახელით, რადგანაც ქართული შემეცნებით სიტყვა „ემიგრანტი" ნიშნავდა სამშობლოდან გადაკარგულ, გადაგვარებულ ადამიანს, ხოლო ქართული პოლიტიკური ლექსიკონით გარეშე მტრით სამშობლოდან დევნილი ქართველი ითვლებოდა საქართველოს სამართლის დამცველ, მოწინავე პიროვნებათ.

ყოველ ერს აქვს თავისი საკუთარი პოლიტიკური ნომენკლატურა შეფარდებული მის ისტორიულ ამბავთა მსვლელობის ვითარებასთან.

მომავალი ქართველი მემატიანე აუცილებლივ ამავე საზომით მიუდგება ახლანდელ ჩვენი ერის ქართველ ლტოლვილთა დიდ ბანაკის ავ-კარგიანობის შეფასებას. ალბათ აქაც ვერ გამონახავს ისეთს „ავს", რომელიც ნებას მისცემს მას ამ ბანაკისათვისაც ქართულ ეროვნულ ტრადიციის დარღვევათა დაწამებას, და მისთვის წყალწაღებულ „ემიგრანტის" სახელის მიკერებას. რაც არ უნდა ითქვას იმ უთანხმოებებზე, რომელთაც ამ 20 წლის განმავლობაში, ჰქონდა ადგილი ქართველ ლტოლვილთა წიაღში გამოწვეულ შინაურულ საკითხებითა, ეს „ბრძოლა" არ გასცილებია იმ საზღვარს, საიდამაც იწყებოდა საერთო ეროვნულ მიზნების დაცვა.

არიყო არცერთი დღე ამ გრძელმანძილზე, რომ გარეშეთა წინაშე რომელიმე ქართულ მიმართულებას უცხოეთში დაერღვია საერთო ქართული ეროვნული დისციპლინა. ქართველთა ეროვნული მთლიანობა უფრო გამოაშკარავდა მაშინ, როდესაც საქართველოს ძველმა მეგობარმა გერმანიამ ომი გამოუცხადა ქართველ ხალხის ეროვნულ თავისუფლების მოსისხლე მტერს —ბოლშევიკურ რუსეთს. ყველა მიმართულების და ასაკის ქართველობა სხვა და სხვა ქვეყნებიდან გაეშურა გერმანიისათვის დასახმარებლათ მძიმე და რაინდულ საქმეში.

ვისაც კი შეეძლო —დიდსა თუ პატარას, მათ შორის დამსახურებული მხედრებიც კი, ყველა მიდიოდა უბრალო ჯარისკაცათ ბრძოლის ველზე. ქართველი პოლიტიკური ბანაკის მეშვეობით ბოლშევიკურ ჯარს ჩამოშორდა მრავალი ათასი ქართველი და კავკასიელი. გერმანელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილებმა, მათ შექმნეს ლეგიონები, რომლებიც იბრძვიან თვისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ქართულმა ლეგიონმა უკვე მოიხვეჭა სახელი ბრძოლებში და ჯილდოც მიიღო გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობისაგან —ქართული ეროვნული დროშა.

ამავე დროს ქართველთა ეროვნული ბანაკის მეცადინეობით მრავალ ქართველ „ახალ ემიგრანტს" მიეცა საშუალება თავისუფალი მუშაობისა სხვადასხვა დარგში ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ.

ამრიგათ ის შეხედულება, რომელიც თავიდანვე ამ ძველ ქართველ მებრძოლთ უნიათო „ემიგრანტებათ" სოვლიდა, სავსებით გაქარწყლდა. მიუხედავად ოცი წლის სატანური **ცდისა ბოლშევიკებმა ვერ მიაღწიეს** თავის საწადელს: ქართული ეროვნული სულის ჩაქრობას ახალგაზრდობაში.

დღეს სამშობლოს გარეთ მოქცეული ახალი ქართული თაობა გადაეწნა თავის მედროშე უფროს თაობას, რომელიც ოც წელზე მეტია იღვწის უცხოეთში ქართველ და კავკასიელ ხალხებისთვის თავისუფლების მოსაპოვებლად.

ყველა ქართველნი სამშობლოს გარეთ, ამჟამად ერთ მთლიან მებრძოლ ბანაკს წარმოადგენენ. ცდა მათი ხელოვნური დაყოფისა გაახარებდა მხოლოდ ბოლშევიკებს.

დ. ვაჩნაძე

ეროვნული სოციალიზმი, სოციალური პრობლემა და საქართველო

კაცობრიობა დღეს განიცდის უდიდეს, ჯერ არ ნახულ, კრიზისს მსოფლიო გახეულია ცეცხლის ალში. ადამიანის მიერ შექმნილი ტეხნიკური საშუალებანი მასვე განადგურებით ემუქრებიან. მან თვით გამოიწვია თავის საშოდან ჯადოსნური ძალები, რომლის მოთოკვა მას არ შეუძლია. ამ ტეხნიკის განვითარებამ მოგვცა მრავალი მანქანების სახით უდიდესი საშუალებანი და იმდენი შრომის ენერგია, რომლის მიზანშეწონილი გამოყენება ადამიანის ცხოვრებას მიწიერ სამოთხედ აქცევდა. მთელი ჯამი მოდერნული ცივილიზაციის მიერ დაგროვილ მანქანათა ენერგიის უდრის ერთ მილიარდ ცხენის ძალას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ერთი ცხენის ძალა უდრის თუთხმეტი კაცის ძალას და კაცობრიობის რიცხვს ორ მილიარდს ვანგარიშებთ, გამოვა, რომ მსოფლიოში ოცდაათიმილიარდი კაცის შრომის უნარიანობა გვქონია ანუ თითო ადამიანს თუთხმეტი უსულო ყმა მანქანის სახით ემსახურება. რა იოლად შეეძლო ადამიანს ცხოვრება ამ ქვეყნად! ამის მაგივრად, ადამიანი-ადამიანის მტრად გადაქცეულა, ერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის წინააღმდეგ ამხედრებულა, კონტინენტი —კონტინენტის, და ამგვარად კაკობრიობას რაღაც უხილავი ბოროტი ძალა უფსკრულისაკენ მიაქანებს. თითქოს მართლდება ოსვალდ შპენგლერის პესიმისტური პროგნოზი და სავლეთის ცივილიზაციის და კულტურის დაღუპვისა ტეხნიკის უაღრესად გახვითარების გამო. თავის წიგნში „ტეხნიკა და ადამიანი“ (გვ.88) ის ამბობს: „ამ მანქანური ტეხნიკის ეპოქის დასასრული მოახლოებულია და ერთ დღეს მთლად დანგრეული და დავიწყებული იქნება ისე, როგორც ძველი რომის ბრწყინვალე ქუჩები და ჩინეთის კედელი, მივიწყებული ეს ჩვენი უდიდესი ქალაქები და ბრავალ-სართულიანი შენობები, ისე როგორც ძველი სრაპალატები მეფისა და ბაბილონისა“. მაგრამ სულით ნუ დავეცემით! კაკობრიობა არ დაიღუპება. ჩვენ გვწამს უკვდავგოეტეს გენიალური ფორმულა ბუნებისა და მის ძალთა ჭიდილისა. ის ამბობს: „მსოფლიოს შეადგენს ყველა ძალები აღებული ერთად; ეს ძალები თუმცა მუდმივ ბრძოლაში არიან, ხოლო ბუნება მათ აკავებთ, მათში მთლიანობას იკავს და ახალი ცხოვრებისაკენ ეზიდება“. დიახ, დღევანდელი მსოფლიოს ეს ტიტანური შეჯახება კაკობრიობას დაღუპვას კი არ მოუტანს, არამედ ეს მისი მშობიარობის ტკივილებია. ამიტომაა, რომ, მიუხედავათ ამ მძაფრი ბრძოლისა, ხდება ჯერ კიდევ ნიკშეს ძიერ აღნიშნულ ყველა არსებულ ღირებულებათა ხელახალი გადაფასება, ახალი იდეების, ახალ ღირებულებათა შექმნა. ამ ახალ იდეებში ეროვნულ სოციალიზმს პირველი ადგილი უკავია. ისაა ანტითეზა ინტერნაციონალური სოციალიზმისა. ამ უკანასკნელმა ცხოვრება არივ-დარია, დღევანდელი მსოფლიოს კრიზისი გამოიწვია და ძისი უკიდურესი გამოხატულება, რუსეთის ბოლშევიზმი მოგვცა, ბოლშევიზმი —ეს ყოვლად სატანური სისტემა, თავის სისხლიანგზაზე ყოველივეს ჩამდენი, რათა თვისი არსებობა გაახანგრძლიკოს. სადაა მისი ძველი ლოზუნგები, რომლებითაც ბრიყვი რუსის ხალხი მოატყუა და გაიყოლია? სადაა თავისუფლება, რომლიც ხალხს დაპირდა და უსირცხვილოდ წაართვა და მის მაგიერ ბორკილები დაადვა?.. სადაა დაპირებული მიწა გლეხთათვის, ეს სანუკვარი საგანი გლეხთა? იგი მას უსაშინელესი სისასტიკით ხელიდან გამოგლიჯეს. ბოლშევიკები ხომ წინააღმდეგი იყვნენ სიკვდილით დასჯისა, ომის დროსაც კი, და ჩვენ ხომ ვიცით რა უკიდურესი ტერორი და რა სახის სიკვდილით დასჯა შემოიღეს, რომელსაც ემსხვერპლა მილიონობით უდანაშაულო ხალხი! საკუთარი ამხანაგებიც კი არ დაინდეს! ბოლშევიზმს ხომ ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა არა თუ კაპიტალისტებთან რაიმე კავშირი, არამედ ზოგიერთ სოციალისტებთანაც კი რომელიმე შეთანხმება. ეს ხომ მუშათა კლასის ღალატი იყო მათ თვალში! ახლ აკი რას ვხედავთ? როგორ შეხმატკბილებულად და ერთსულოვნად გამოდიან ისინი არხი-კაპიტალისტურ ქვეყნებთან ერთად, როგორიც არიან ინგლისი და ამერიკა, მათ საერთო შავი საქმის გასაკეთებლად! სადაა მათი შეურიგებელი, უკომპრომისო ბრძოლა მუშათა კლასსის მოსისხლე მტრის ბურჟუაზიის წინააღმდეგ? რით უნდა ავხსნათ ეს, ერთი შეხედვით, თითქოს არაბუნებრივი შეუღლება შეურიგებელ ბოლშევიზმსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის? აქ ახსნა ერთადერთია. ბოლშევიკურ სამეფოში და ინგლის-ამერიკაში ერთი და იგივე ძალა მეფობს. ესაა ინტერნაციონალური ძალა ფინანსიური კაპიტალისა, ძალა ურიებისა. მხოლოდ და მხოლოდ ეს ბოროტი ძალა, ყოველ ეროვნულ მეობის მტერი, იყო დაინტერესებული მსოფლიოს დღევანდელ კატასტროფაში, რომლის ნანგრევებზე მოელის ის თავის საბოლოო გაბატონებას. მაგრამ ეს არ იქნება! ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებულნი, რომ ის ვერ გაიხარებს. ამისთვის იზრუნებს ეროვნული სოციალიზმი.

ეროვნული სოციალიზმი ბუნებრივი აუცილებლობით, როგორც სინთეზი ორი უაღრესად სადი ცნებისა ეროვნულისა და სოციალურისა, გოეტეს ფორმულის მიხედვით, მოდავე ძალების მორიგებას ცდილობს, მათ მთლიანობას იკავს და ცხოვრებას ახალ მიმართულებას აძლევს. აი ამ ახალი მიმართულების უდიდესი ამოცანაა, პირველ ყოვლისა, მრავალ საუკუნეების განმავლობაში არსებული უმტკივნეულეს საკითხის, —სოციალური პრობლემის გადაჭრა და მოგვარება, რაც თავის თავად ნიშნავს ერის უმრავლესობის, ე.წ. მასის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. რა საშუალებით, რა მეთოდებით ცდილობს ეროვნული სოციალიზმი ამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას, იძლევა თუ არა დღევანდელი უაღრესად განვითარებული ცხოვრება ამის სათანადო შესაძლებლობას? ამ საკითხზე პასუხი მოითხოვს დღევანდელი ეროვნული სახელმწიფოს სოციალური სტრუქტურის გაცნობას. მისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილებია: 1. კლასი ვაჭარ-მრეწველთა, 2. მშრომელთა მასსა, —ფიზიკურად და გონებრივად მომუშავე ქალაქებში, 3. გლეხობა და 4. თვით სახელმწიფო. განვიხილოთ ესენი მოკლედ ცალ-ცალკე.

1. **კლასი ვაჭარ-მრეწველთა.** მწარმოებელთა ეს კლასი ანუ ე. წ. ბურჟუაზია, ჩაისახა და განვითარდა არა საზოგადოების ფეოდალურ ურთიერთობის წიაღში, მისი საბოლოო გამარჯვება ძველ წყობილებაზე საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციით დაგვირგვინდა. ამ კლასის როლი ერში უაღრესად პროგრესიული იყო. ეს კლასია, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი ინიციატივით წინ მიაქანებდა. მისი მეოხებით ტეხნიკის განვითარებას და ახალ კულტურულ ცხოვრებას მტკიცე ნიადაგი მიეცა. ამერიკის აღმოჩენა და მრავალ კოლონიების დაპყრობა ხომ ტრიუმფი იყო ამ კლასის. მაგრამ, როგორც ყოველ მოვლენას, ამასაც თავისი ჩრდილოვანი მხარეები აქვს და ჩქარა გამოირკვევა რამდენადაც კაკობრიობა ჩქარი ნაბიჯით მიილტვოდა წინ, იმდენათ მისი დიდი ნაწილი —მშრომელი ნაწილი— ღატაკდებოდა, ვინაიდან ამ კლასის დევიზი იყო რაც შეიძლება მეტი მოგება. იგი ყოველ თავის საქმიანობას და ინიციატივას მხოლოდ ამ პრინციპს უმორჩილებდა. ეს ის ხანა იყო, როდესაც კარლ მარქსმა განიხილა მუშათა კლასის ეს მართლაც უმწეო მდგომარეობა და თვისი ცნობილი თეორია კლასთა შორის შეუპოვარი ბრძოლისა, ბრძოლის ლოზუნგათ ისროლა. მაგრამ რაც დრო გადის ირკვევა, რომ ვაჭარ-მრეწველთა შორის კონკურენციისა და ქიშპის გამო საჭირო ხდება წარმოების აუცილებელი დაგეგმვა, რომლიც ხდება არა მარტო მრეწველის თავში, არამედ მის ბიუროებში. მრეწველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უაღრესად განვითარებით, უდიდესი კონცერნების, კარტელების, საამხანაგო საზოგადოებათა დაარსებით და ფინანსიური კაპიტალის გაბატონებით,, კერძო მწარმოებელთა როლი უკანა რიგში დგება, ვინაითგან მათ ახლა მხოლოდ დაგეგმილი წარმოებით შეუძლიათ არსებობა და ეს კი უმთავრესად მათ ბიუროში მრავალ დაქირავებულ სპეციალისტების საშუალებით ხდება. ამას ემატება ახალი, ეროვნული სახელმწიფოს როლის გაზრდა და მისი ჩარევა საზოგადოების ეკონომიურ ურთიერთობაში, რომელიც ხელმძღვანელობს არა მოგებით, არამედ მთელი ერის ინტერესებით და წარმოების საქმიანობას იქითკენ მიმართავს.

მაგალითად გერმანიაში უდიდესი საავტომობილო გზების გაყვანა, მილიონობით ბინების გაშენება და სხვ. ნაკარნახევი იყო არა სარგებლობის მოტანის მიზნით, არამედ და მხოლოდ ხალხის ფართო მასსების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ან და სახელმწიფოს დაცვის მოსაზრებათა გამო. ამ სამუშაოებს რასაკვირველია სჭირდება უდიდესი დაგეგმვა. ამას ასრულებს არა კერძო მწარმოებელი, როგორც წინეთ, არამედ თვით სახელმწიფო, მისი ორგანოები. ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ თუ კაპიტალიზმის პირველ ხანაში კერძო მწარმოებელის როლი, მისი ინიციატივა და საქმიანობა გადამწყვეტი ხასიათის იყო, მოდერნულ საზოგადოებაში მისი როლი მცირდება.

2. **მშრომელი კლასი:** კაპიტალისტურ ურთიერთობის დაწყების პირველ ხანებშივე მშრომელი ნაწილი ამ საზოგადოებისა, თუმც ის მონაწილეა ამ ურთიეთრობის, მაგრამ მხოლოდ ობიექტია მწარმოებელის ხელში, მისი საწველი ფურია. ამას კაპიტალისტური კლასი ახერხებს უმთავრესად იმის გამო, რომ მას ჯერ კიდევ საკმარისი ე. წ. მუშათა „სარეზერვო არმია" ჰყავს თავის განკარგულებაში. სოფელი მას აუარებელ სამუშაო ხელს აძლევს, რის გამოყენება ძალიან ადვილია ტეხნიკის განუვითარებლობის გამო. ამას ემატება გაბატონებული, ლიბერალური პრინციპი, რომლის დევიზია უსაზღვრო თავისუფლება ეკონომიური ურთიერთობის სფეროში, რაც სინამდვილეში ნიშნავს კაპიტალისტური კლასის აღვირ-ახსნილობას, მის უფლებას უსაზღვრო ექსპლოატაციისა. აი ეს მდგომარეობაა, რომელიც მუშათა კლასის წინააღმდეგობას იწვევს ინსტიქტიურად, ვინაიდგან არაა ძალა, რომელიც მის ინტერესებს დაიცავს. პირიქით ამ ხანაში სახელმწიფო კაპიტალისტთა კომიტეტია, მისი აღმასრულებელი ორგანოა.

აქედან მუშათა მისწრაფება, თვით დამცველი ორგანიზაციის შექმნისა (პროფესიონალური კავშირები, პარტიები, კოოპერატივები და სხვა). ამნაირად მუშათა კლასის დარაზმვა ხდება საბრძოლველად, რაც თავის მხრივ მეორე ბანაკის, კაპიტალისტური კლასის დარაზმვას იწვევს. ასეთ გარემოებას, თავისთავად იგულისხმება, არ შეუძლია არ გამოიწვიოს მძაფრი ბრძოლა, რომელიც საზოგადოების, ერის კეთილდღეობას ძირბუდიანად არღვევს. აი აქედან იბადება აუცილებლობა ამ ბრძოლაში ჩარევისა, ამ ორ მოქიშპე ძალის მორიგებისა, მათი განცალკევებული ინტერესების შეზღუდვისა. და ეს შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს, ერის საერთო წარმომადგენელს. ამავე დროს კაპიტალისტური ურთიერთობის შემდეგი განვითარება, ტეხნიკურ საშუალებათა გრანდიოზული გაზრდა და მუშათა რიცხვის მილიონობით გამრავლება ერთი მხრით, და მრეწველთა კლასის როლის შემცირება მეორე მხრით, მუშათა კლასის მნიშვნელობას აძლიერებს. რამდენადაც ამავე დროს მისი თვითცნობიერება იზრდება, იზრდება მისი გონებრივი დონეც. ამას თხოულობს თვით ტეხნიკის განვითარების მაღალი საფეხური, რომელიც მუშისაგან ახლა მოითხოვს მეტს ცოდნას, კვალიფიკაციას. ეს მდგომარეობა მასში იწვევს გრძნობას და შეგნებას, რომ დღევანდელი საზოგადოება ვერ იარსებებს უიმისოდ, რომ ის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ამ საზოგადოების. ამიტომაა, რომ საკუთრივ სოციალური პრობლემა არაა მარტო მატერიალურ ნიადაგზე მოსაწესრიგებელი ამოცანა, როგორც ამას მარქსისტული იდეოლოგია და ნაწილობრივ ლიბერალური საზოგადოება ცდილობდენ წარმოედგინათ. აქ საქმე ეხება პირველ ყოვლისა გონებრივ და მორალურ კრიზისს.

მხედველობიდან არ უნდა გამოგეპაროს, რომ დღევანდელი მუშათა კლასი ინდუსტრიალური რევოლუციითაა წარმოშობილი, მისი ღვიძლი შვილია და ბუნებრივად რევოლუციონერია. იმის შემდეგ კი, როცა გამოირკვა, რომ ახალი ცხოვრება ტეხნიკის მაღალ საფეხურზე ასული უმუშათა-კლასოდ შეუძლებელია, რომ პირიქით, სწორედ ნამდვილი მატარებელი ამ ცხოვრებისა ეს კლასია, შემქმნელი ყოველივე ღირებულებისა, საკითხი ისმება საზოგადოების ამ ნაწილის ეროვნული სახელმწიფოს სრულ-უფლებიან წევრად გახდომისა. საჭირო ხდება მისი სულიერი და მატერიალური დაკმაყოფილება, საჭირო ხდება გამოწვევა მასში იმ გრძნობის და შეგნების, რომ ის თანასწორი წევრია ეროვნული მთელისა, —შეგნება, რომლიც მას აკლდა და რომელიც მას რევოლუცონერად ხდიდა. აი, აქ გამოდის სახელმწიფო ამ ამოცანის შესასრულებლად და მისი მუშათა პოლიტიკა იქითკენაა მიმართული, რომ მუშის ცხოვრების სტანდარტი თანდათანობით აწეულ იქმნას, მან მონაწილეობა მიიღოს სისტემატიურად მოდერნულ ტეხნიკით გამოწვეულ, გაუმჯობესებულ ცხოვრებაში. თქმა არ უნდა, ეს განაწილება შექმნილ ღირებულებათა არ მოხდება სისტემატიურად, საყოველთაო გათანასწორების ნიადაგზე, არამედ, იმისდა მიხედვით, თუ ვის რა უნარი და წილი აქვს წარმოებაში. ეს კი უფრო ტეხნიკურ-ორგანიზაციული საკითხია. ერთია მხოლოდ უდაო და ყველასათვის სავალდებულო, რომელსაც ვერავინ ვერ წაუვა, რომელ ბანაკსაც არ უნდა ეკუთნოდეს იგი: **ის, რომ ჰეშმარიტი სოციალიზმი უნდა განხორციელდეს!**

3. **გლეხობა.** ევროპის სოფელს ეს მასსიური ტეხნიკური გაფურჩქვნა ვერ მისწვდა. სოფლის სრული მექანიზაცია არ მოხდა. ის, საბოლოო ანგარიშით, განვითარების დაბალ საფეხურზე გაჩერდა. ამის მთავარი მიზეზი ის გარემოება არის, რომ ოკეანეს გადაღმა ქვეყნებიდან იაფი სასოფლო ნაწარმოები შემოდიოდა ევროპაში. მოხდა ის, რომ მაგ. საფრანგეთში მთელი სოფლები უდაბნოდ გადაიქცა და ინგლისში პარკებად და სანადირო ადგილებად ლორდებისა და მაღალი საზოგადოებისთვის. ეს სავალალო მდგომარეობა სოფლისა მკაფიოდ გამოირკვა და მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგი მძაფრი შეიქმნა ამ მსოფლიო ომის დროს, როდესაც ევროპა აბსოლუტურად მოსწყდა ოკეანეს გადაღმა ქვეყნებს, საიდანაც თავისი საზრდო შემოჰქონდა. ეს უდრიდა წლიურად 14 მილიონ ტონას, ანუ 14 მილიარდ კილოს. 1937 წ. ევროპაში შემოვიდა 18 მილიარდი მარკის საქონელი.

გარდა დანიისა და ჰოლლანდიისა, სადაც სოფლის მეურნეობა მაღალ კულტურულ დონეზეა აყვანილი და რომელსაც თავისი განსაკუთრებული მიზეზები აქვს, მხოლოდ გერმანიამ მოასწრო ამ ათი წლის განმავლობაში ახალი მმართველობის წყალობით ისეთივე ყურადღება მიექცია სოფლისათვის, როგორც ქალაქებისათვის. ახალ ეროვნულ ნიადაგზე აგებული სახელმწიფოს პირდაპირ ინტერესს შეადგენს ტეხნიკის უმაღლესი ფორმის შეტანა სოფელში. ამას უკარნახებს მას ორი უმთავრესი გარემოება: ერთი ის, რომ საჭიროა თავის მცხოვრებლებს გამოკვების საკუთარი საფუძველი შეუქმნას, ვინაიდგან უკანასკნელი ათეული წლების პოლიტიკურმა განვითარებამ საკმაოდ ნათელი გახადა, რომ ეროვნულ სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის ეს არის აუცილებელი პირობა. მეორე გარემოება არა ნაკლები მნიშვნელობისა ის არის, რომ საჭიროა ერს მტკიცე, მყარი, —როგორც დიდი ილია იტყოდა, დასაყრდენი მოვუპოვოთ სოფლის განმტკიცებით და მის მცხოვრებთა რიცხვის გაზრდით, ურომლისოდ ერის შენარჩუნება და მისი საღ ნიადაგზე დაყენება არ შეიძლება. ერის ამ სასიცოცხლო პოლიტიკურ ინტერესს კი წინ ეღობება ის გარემოება, რომ სოფლად ჯერ კიდევ მუშაობის პირობები ფიზიკურად უფრო მძიმეა და დიდ ნაწილად ძველის-ძველი. უმაღლესი ტეხნიკის შეტანა სოფელში, სოფლის მექანიზაცია ამ სიმძიმეს, რასაკვირველია, საგრძნობლად შეასუსტებს და სოფლიდან ქალაქებში დენას შეაჩერებს, თუ ამავე დროს სოფელს კულტურულად მაღლა ასწევს თეატრების, კინოების, რადიო და მრავალი გასართობის სახით, რაც ასე იტაცებს მასსებს, ასე აკლია სოფელს, ქალაქს კი ასე უხვად აქვს. საჭიროა აგრეთვე სოფლად მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესება. რასაკვირველია, არა კმარა მარტო უსულო მანქანა და მისი მიზანშეწონილი გამოყენება, არამედ აქ, პირველ ყოვლისა, ისევ თვით ადამიანია, რომელიც ხალისით და მონდომებით მოჰკიდებს ხელს სამუშაოს . ახალი ეროვნული სახელმწიფოს ხელოვნება და მისი უნარიანობა იმით დამტკიცდება, თუ რამდენად შესძლებს იგი ამ ყველაზე ძნელი ამოცანის დაძლევას, ვინაიდან სოფლად სასურველი მდგომარეობის შექმნის საკითხიც სიდიდით ეროვნული სახელმწიფოს წინაშე ჯერ კიდევ გადუჭრელი სდგას. აქ საჭიროა ადამიანის სულისკვეთების დაძლევა, რომელიც უფრო დიდია და ძნელი, ვიდრე ფულის და კაპიტალის შეძენა. უბრალოდ კი არ უთქვამს სოფოკლს: „მრავალია ამ ქვეყნად უდიდესი, გრანდიოზული რამ, მაგრამ არაფერია ისე უდიდესი, როგორც თვით ადამიანი“.

4. სახელმწიფო. თანამედროვე სახელმწიფო **არსებითად** განსხვავდება წინა დროის სახელმწიფოსაგან. იმ დროს, როდესაც ძველი ფორმის სახელმწიფოს უმთავრესი დასაყრდენი საფუძველი მაღალი, გაბატონებული კლასები იყო, თანამედროვე სახელმწიფოს **ძირი** თვით ხალხია, უმთავრესად კი მისი უმრავლესობა, მშრომელი ნაწილი, რომლის წონა და მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა. ღღეს სახელმწიფო გამოხატავს ერის მთლიანობას და მისი ერთობისათვის იღვწის. ამიტომ სახელმწიფო დღეს ბუნებრივად სოციალურ მისწრაფებათა გამომხატველი უნდა იყოს და ამავე დროს მტკიცე ავტორიტეტით შემოსილი, რათა შესძლოს განვითარებული საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილების, ხშირად ერთი-მეორის მოდავეთა, ერის საერთო ინტერესთა წინაშე დამორჩილება.

რასაკვირველია, ამ ჟამად ეს ფორმა საზოგადოებისა ჯერ კიდევ დასრულებული არ არის. ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ ხანაში. მართალია, როგორც ვერნერ ზომბარტი, გერმანიის ერთი უდიდესი ეკონომისტი და სოციოლოგი ამბობს: „ახალ საზოგადოებაში, როგორც გარკვეულ ეკონომიურ ერთეულში, ძველი, მიმავალი ეკონომიური ურთიერთობის ელემენტები ჯერ კიდევ საკმარისად მოიპოვებიან“. მაგრამ ახალი სრული ჩამოყალიბების პროცესშია. ამ წესწყობილების ფორმას თვითეულ ერში, ბუნებრივია, თავისი სათანადო გამოხატულება ექნება თანახმად მისი კულტურისა, მისი ზნე-ჩვეულებისა, ხასიათისა და ტემპერამენტისა. ეროვნული სოციალიზმის მიერ შექმნილი წესწყობილება გარკვეული მსოფლმხედველობაა, იდეაა და ყოველი ცხოველ-მყოფელი იდეა ხომ თვით რეალობაა!

ამნაირად, ღღევანდელ ეროვნულ სახელმწიფოს წინაშე ისმება ეპოქის უდიდესი საკითხი: სოციალური პრობლემის გადაჭრა. ეს პრობლემა თეორიის სფეროდან პრაქტიკის სფეროში გადადის და მისი ყოველდღიური საქმიანობის საგნად ხდება. ამიტომ აქ ადგილი აღარ აქვს სხვა და სხვა უსაფუძვლო თეორიებს, რომელთაც ცხოვრებაში ნიადაგი არა აქვთ, ან ისეთ თეორიას, რომელიც ერს ორ შეურიგებელ ნაწილად ჰყოფს და მათში სამკვდრო-სასიცოცხლო ომს, სამოქალაქო ომს აჩაღებს, როგორც ამას მარქსიზმი თავის მოღვაწეობის ალფად და ომეგად აცხადებდა. საკვირველია მარქსიზმის გავრცელება მთელ მსოფლიოში, იქაც კი, სადაც არავითარი ნიადაგი არ ჰქონდა. თვით ზომბარტს უკვირს მარქსის გავლენა, რომელსაც ის, სხვათა შორის, ასე ახასიათებს მისი გარდაცვალების 25 წლის თავზე 1909 წელს მისდამი მიძღვნილ შრომაში „კარლ მარქსის ცხოვრების ღვაწლი“. პირველ შეხედვით, —ამბობს ზომბარტი— საკვირველი ხდება, რომ სწორედ მარქსის იდეები ბატონდებიან სოციალისტების თავში და სხვა იდეები იდევნებიან ასპარეზიდან, ვინაიდან რაც ადამიანს იტაცებს და ჩვენთვის გასაგებია და მიმზიდველია, მარქსის ნაწარმოებში არ მოიპოვება. მისი სოციალური იდეები ღარიბია, ღარიბი და მჩატეა მისი პოლიტიკური წარმოდგენები, ის არ ჰპირდება სასოწარკვეთილ ადამიანს აქაურ საბოთხეს, როგორც ფურიე (ვატლინგი. ყოველივე ასეთი ფანტასმაგორიები კარლ ძარქსისთვის უცხოა. ცივად, მძაფრად, თითქოს ჩაქუჩს ურტყავს, ისვრის ფრაზებს: „პროლეტარიატს არა აქვს რა დასაკარგი თავის ბრძოლაში, გარდა თავისი ბორკილებისა, მოგებით კი მოიპოვებს მთელ მსოფლიოს“, „მსოფლიო“ ეს რაღაცა ცალიერი, აბსტრაქტიული, უსულგულოა. ყური დაგვიგდია მოხუც ებრაელ წინასწარმეტყველის აღგზნებულ სიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვისათვის, მარქსს ესეც აკლია. მისი ნაწერების კითხვიდან არაფერი რჩება, გარდა ცივი, გაყინული გონებისა და მსჯელობისა. იგი არასოდეს არ მიმართავს ადამიანის გრძნობას, მის ვნებათა ღელვას, მის გატაცებას იდეალისაკენ. ის არასდროს არ მოუწოდებს სამართლიანობისაკენ, პირიქით, ის მწარედ დასცინის ყოველ იდეალისტს, რომელიც თავს აკლავს რაღაც იდეას. ის ამბობს მშრალად: „მუშათა კლასი არაა მოწოდებული რომელიმე იდეალის განხორციელებისათვის". ეს დაამტკიცა რუსეთის ბოლშევიზმმა! ის მხოლოდ იმ ელემენტებს ანიჭებს თავისუფლებას ახალ საზოგადოებაში, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების საშოში განვითარდა, ეს არის, რაღაც უსისხლო, დოქტრინალური, აღტაცებისა და განტაცებისმაგიერ". აი ზომბარტის დახასიათება მარქსისა. დღევანდელ საზოგადოებაში ეკონომიურ ინტერესებზე აღმოცენებული წინააღმდეგობა სრულიადაც არ უნდა მოასწავებდეს ხელჩართულ ბრძოლას, გაფიცვებს. მუშაობაზე ხელის აღებას, ან ლოკაუტებს, რომლითაც უპასუხებენ ხოლმე მუშებს მრეწველნი, —მოვლენანი, რომელთაც ერისათვის უდიდესი ზარალი მოაქვს, და საბოლოო ანგარიშით თვით ამ ბრძოლაში ჩაბმული ძალები დაზარალებულნი გამოდიან. ერთი დღეც კი უმიზეზოთ გაცდენილ ეროვნულ ორგანიზმს აზიანებს, ეს ნიშნავს უმიზნოთ ერის ავლადიდების გაფლანგვას. ეროვნულ სახელმწიფოს, რომელიც სათავეში უდგას ერს, ამნაირ გამოსვლების დაშვება არ შეუძლია. ის გარკვევით ერევა ამიტომ ეკონომიურ ურთი-ერთობაში და თავისი ავტორიტეტით, მაგარი ხელით ასწორებს მრუდეს, აჩერებს მოდავე ძალებს და საერთო ინტერესებს უმორჩილებს. სახელმწიფო უფრო შორს მიდის. როცა ირკვევა, რომ კერძო მრეწველთათვის ანუ მათი შეკავშირებული ორგანიზაციისათვის,კონცერნისათვის სარგებლისმიღების მოსაზრებით რომელიმე ახალი საწარმოო წამოწყება მიუღებელია, ხოლო სასარგებლო სახალხო მეურნეობისათვის, როგორც არის მაგალითად ახალი რკინის და საავტომობილო გზების გაყვანა, ბინების შენება და სხვა, ამ შემთხვევაში სახელმწიფო თავის თავზე იღებს ასეთ წარმოებას, ვინაიდან უმაღლესი სახელმწიფო მოსაზრებით ასეთი წარმოები დიახ რომ პროდუქტულია: სახალხო მეურნეობის სარგებლიანობა და პროდუქტიულობა აქ ერთმანეთს ფარავს, ისინი იდენტიური ხდებიან.

სასარგებლო სამუშაოების შესრულება ჰეშმარიტი სოციალიზმის ერთი ნაწილის განხორციელებაა, ვინაიდან ეს სამუშაო, რომელიც ხშირად მილიარდები ჯდება, ერის ყველა ნაწილისათვის და ცალკე პიროვნებისათვის ერთნაირად სასარგებლოა. ეს პრაქტიკული სოციალიზმია. დღევანდელი გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმმა და მის ნიადაგზე აგებულმა სახელმწიფომ ბევრი ასეთი მაგალითი მოგვცა სოციალური პრობლემების პრაქტიკულად გადასაჭრელად. გერმანიაში 1933 წელს დაარსდა ორგანიზაცია, რომელსაც ბადალი არ ჰყავს მთელ მსოფლიოში. ეს არის ორგანიზაცია „ძალა სიხარულით" (Kraft durch Freude). რომ წარმოვიდგინოთ, რა ფართო მოღვაწეობას აწარმოებდა ეს ორგანიზაცია, ვიტყვით, რომ 1942 წლამდე ამ ორგანიზაციამ თერთმეტ მილიონ მცირე ხელფასის მქონე მუშას დამოსამსახურეს მისცასაშუალება თავიანთი შვებულება გაეტარებიათ უფასოდ და სხვადასხვა სასარგებლო და სასიამოვნო მოგზაურობაში. ბოლო დროს ამ ორგანიზაციამ, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის დაარსებული, საზღვაო მოგზაურობაც მოაწყო. ამ მიზნით შეიძინა მან საკუთარი სამგალითო გემები. 1935წელს დაარსდა განყოფილება „Schönheit der Arbeit" — „სილამაზე შრომაში", რომლის დანიშნულებას სამუშაო პირობების გაუმჯობესება შეადგენს. აუარებელი თანხები იხარჯება ამ მიზნით სამგალითო სასადილოების მოსაწყობად, სამუშაო შენობების გადასაკეთებლად, ჰიგიენის მიზნით საზოგადო აბანოების ასაშენებლად და სასპორტო საგნების შესაძენად. იგივე ორგანიზაცია იბრძვის ქარხნების სისუფთავისათვის და წმინდა ჰაერის დასაცავად, იბრძვის ზედმეტი ხმაურობის წინააღმდეგ მუშაობის დროს. ასევე ორგანიზაცია აშენებს დასასვენებელ სახლებს.

1938 წელს დამთავრდა მუშათა კანონმდებლობა და ცხოვრებაში გატარდა. ის შეეხო ყოველ დარგს. ამ კანონით მუშა უზრუნველყოფილია სამუშაოთი, დაარსდა მინიმუმი სამუშაო ხელფასისა, უქმე დღეებისათვის განსაკუთრებული ამაღლებული ხელფასი, მრავალ წევრიანი ოჯახის მომუშავეთათვის ზედმეტი ქირა. დაკანონდა უფლება შვებულებისა ყველა მუშა-მოსამსახურისათვის ხელფასის შენახვით. ახალგაზრდა მუშებისათვის შვებულების ვადა გადიდებულია. აკრძალულ იქნა ტარიფის დაბლა ხელფასის მიცემა. სახელმწიფო ცდილობს რა ერის გამრავლებაზე, ახალგაზრდა ცოლქმართ ქორწინებისათვის დაუარსა განსაკუთრებული დახმარება. 5 წლის განმავლობაში ეს თანხა შეადგენდა ერთ მილიარდ მარკას. ამ კანონმდებლობას და ორგანიზაციებს ემატება განსაკვირვალი ერთსულოვნობა თვით გერმანელი ხალხისა, რომელმაც შეჰქმნა თავისუფალ, თვითმოქმედების ნიადაგზე განსაცვიფრებელი დამატებითი ორგანიზაცია ღარიბ ფენებისათვის დასახმარებლად ე. წ. საზამთრო დახმარება „Winterhilfe". ამ გრანდიოზულმა ორგანიზაციამ ამ ხნის განმავლობაში შეაგროვა 5 მილიარდი მარკა, რომელიც მოხმარდა კიდეც მუშათა კლასის უღარიბეს ნაწილს. ამ ზომებით და მუშათა კანონმდებლობით ეროვნული სახელმწიფო ანხორციელებს რა ე.წ. პროგრამა-მინიმუმს სოციალისტურად გარდასაქმნელად, იგი ააშკარავებს თავის რევოლუციონურ ბუნებას სოციალისტურ პოლიტიკაში. ის ხელმძღვანელობს იმ საღი ეროვნული პრინციპით, რომ მხოლოდ ჯანსაღ სახალხო ორგანიზმს შეუძლია შექმნას ეროვნული სახელმწიფო. ის ცდილობს აგრეთვე ამ ზომებით, რომ შხამი კლასიური ბრძოლისა, მუშის გულში ათეული წლობით ჩაწვეთილი, სამუდამოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოფხვრილ იქმნას. სიცოცხლე და კეთილდღეობა თვითეული მშრომელისა ძვირფასია განახლებული გერმანიისათვის, ვინაიდან ის არის მიჩნეული საფუძვლად ერისა.

კაცობრიობის დღევანდელი ეკონომიურ-პოლიტიკური განვითარება ამგზით მიდის და ვერცერთი ერი ვერ აცდება ამ განვითარებას. მაშასადამე ვერც საქართველო აუვლის გვერდს ამ გზას. ეს მით უმეტეს, რომ მთელი მისი ისტორია, ტრადიცია, სულიერი განწყობილება, ადათი და ჩვეულება და ქართველი კაცის ბუნება ამ ახალ იდეებს სავსებით ეგუება. რასაკვირველია ის მას თავისებურად გადახარშავს, ისე როგორც ქრისტიანობამ ჩვენში თავისებური, გამოკვეთილი ეროვნული ხასიათი მიიღო. ქრისტიანობისათვის ბრძოლა და აუარებელი სისხლის დაღვრა ხომ ნიშნავდა საკუთარი ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლასაც. ქართველ ადამიანში სოციალურ სამართლიანობის გრძნობა არაჩვეულებრივად არის განვითარებული და ჩვენ არ გვეგულება სხვა ერი, რომლსაც ასეთი ბუნებრივი სიმარტივით, სისადავით ჰქონდეს ეს უაღრესად ადამიანური გრძნობა. რა ამაღლებულ სურათს წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ადამიანობა, მისი მოპყრობა თავისი ქვეშევრდომებისადმი, ან თამარ მეფის მეფობა, აღვსილი ქრისტიანული სათნოებით, რომელიც ასე აჯადოვებდა თანამედროვეთ. ამ ქართველური თვისების საუკეთესო გამომხატველი ხომ თვით უკვდავი შოთას თხზულება არის. რა არის თუ არა უაღრესი სოციალური სამართლიანობით ნაკარნახევი სიტყვები, მე-12 საუკუნეში ნათქვამი შოთას მიერ: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“, ან „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, —დაკარგულია“.

ამიტომ თუ ევროპისათვის მიუღებელი დარჩა კლასთა ბრძოლის ნიადაგზე აღმოცენებული თეორია, მით უმეტეს საქართველოსთვის ხომ ის სულ უცხოა, მის სულიერ თვისებას პირდაპირ ეწინააღმდეგება, ის მისთვის ხელოვნურად შემოტანილი ბარგია.

ევროპაში ახლად გაბატონებული იდეები არც ისე უცხოა საქართველოს ახლო წარსულისათვის. თვით დიდი ილიას მიზანი, მისი წმინდა მისწრაფება იყო, იმ დროის დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანება, წოდებათა და კლასთა შორის ჩატეხილი ხიდის გამართელება და ამით ერთ ეროვნულ ორგანიზმად ჩამოყალიბებულ სოციალურ სამართლიანობაზე დამყარებულ, დამოუკიდებელ საქართველოს შექმნა. უფრო მეტიც, დიდ ილიას ეს იდეალი არა მარტო საქართველოს მაშინდელი საჭიროებიდან გამოჰყავდა, არამედ მისი რწმენით, თანამედროვე კაცობრიობის განვითარებაც ამ გზით უნდა წასულიყო. ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ მართლაც ჩვენი სწორუპოვარი მოძღვრის ეს ცხოველმყოფელი იდეა თანამედროვე ცხოვრების განვითარებამ სავსებით გაამართლა. განვითარებული კაცობრიობა ამა თუ იმ სახით ამ იდეალის განხორციელებისაკენ მიისწრაფის. ქართველი ერისათვის ხომ დიდ ილიას ეს ანდერძი გარდაუვალ მოთხოვნილებას გამოხატავს! ის უკვე დღეს ფაქტიურად ამ ნიადაგზე სდგას, გარდავა რა უცხო ძალა, რომელიც დღეს ქართველი ხალხის სხეულს ფლობს და მის მოსპობას ცდილობს. რა ბუმბერაზად გვევლინება დიდი ილია თანამედროვე ქართველობას თავისი შორს გამჭვრეტი გონების თვალით, თუ მივიღებთ მხედველობაში, თუ რა სავალალო უსუსურობას იჩენდენ იმ დროს ახლად წარმოშობილი პოლიტიკური პარტიები, რომელთაც პირწმინდად უარჰყვეს დიდი ილია. დიდმა ილიამ თავისი ბრწყინვალე გონებით, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნით გაუსწრო თანამედროვეთ ამ მხრით ერთად ერთი გამონაკლისი იქნებ არჩილ ჯორჯაძე იყო, რომელიც 1902 წ. სწერდა: „წოდებრივი, გინდ კლასობრივი სხვადასხვაობა არ უარჰყოფს ეროვნულ ერთობას, არც ეროვნულ ენას, მწერლობას და კულტურას“; მეორე: „ჩვენი აზრით კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებამ საქართველოში, თანამედროვე პირობებში, ნაციონალური მიმართულება უნდა მიიღოს,საქართველოს ეკონომიური წარმატება ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში, კლასთა ბრძოლის ნიადაგად არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობად ჩვენი ხალხის ნაციონალური აღორძინებისა. ქართველი მუშა, ასოთ-ამწყობია იგი ; თერძი, მეჩექმე თუ კარის-დარაჯი, ამავე ეროვნული აზრით უნდა იყოს გამსჭვალული“.

დღეს ჩვენთვის აუცილებელი ხდება დიდ ილიასკენ მიხედვა, ვინაიდან მისი წარმოდგენა ცხოვრებაზე, და ამ ცხოვრების სათანადო მოწყობა არა უცხო მიწიდან იყო გადმონერგილი, არამედ თვით ქართულ ნიადაგზე იყო აღმოცენებული, ქართული ტრადიციით განმტკიცებული. ამიტომაა, რომ დიდი ილია ჩვენთვის თვით პროგრამაა. რა არის, თუ არა ცხოვრების სადღეისო მოთხოვნილება მისი შემდეგი სიტყვები: „ნუ თუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის? ნუთუ ყოველი ჩვენთაგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოფხვრას ჩვენ შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ეროვნული ცხოვრება წარმოადგენს ერთ დიდებულ დენას შეერთებულის ძალისას. ამიტომ დიდად სცოდვენ ქვეყანას და ხალხსაც ნამეტნავად ჩვენში ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია გინდა თუ არა განხეთქილება უნდა იყოს წოდებათა შორის, რათგან ეს განხეთქილება ევროპაში სუფევსო. განა ევროპა ცოტა დროს და ღონეს კარგავს, ცოტა სისხლს ღვრის, რომ ეს განხეთქილება მოსპოს? მაშ სადაც ეგ არ არის, რად გვინდა, რომ იყოს; ეგ იმას ეგვანება, რომ კაცმა ნაგავი შემოიტანოს სახლში მარტო იმისთვის, რომ მერე საბუთი ქონდეს სთქვას: „სახლს დაგვა უნდაო“. ამიტომ ჩვენც დიდ ილიასთან ერთად გავიმეორებთ: საჭიროა, რომ ჩვენი ეროვნული ცხოვრება წარმოადგენდეს „ერთ დიდებულ დენას შეერთებული ძალისას“.

დ. საღირაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომინტერნის გაუქმება
და
„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“

მიმდინარე წლის 22 მაისს მოსკოვის რადიომ ქვეყანას აცნობა კომუნისტური ინტერნაციონალის გაუქმება. ინგლის-ამერიკის პრესსა და რადიო ამ მოვლენას სიხარულით შეეგება და თავის მხრით შეეცადა მოსკოვის მიერ გადადგმული ნაბიჯის გულწრფელობაში საზოგადოებრივი აზრი დაეჯერებინა. ეჭვს გარეშეა, რომ მოსკოვმა მესამე ინტერნაციონალის გაუქმება რუზველტ-ჩერჩილის მოთხოვნით მოახდინა. ინგლის-ამერიკის ხელმძღვანელ წრეებს ამით საშუალება ეძლევათ ბოლშევიკური დათვი საზოგადოებას მამა აბრამის ბატკნად მოაჩვენონ და იგი მსოფლიო დემოკრატიის ოჯახში თანაბარ წევრად მიიღონ. ამრიგად კაპიტალისტურ ქვეყნებს მორალური საშუალებაც შეექმნათ საბჭოთა კავშირის მატერიალური დახმარება გააძლიერონ.

გასაჭირში ჩავარდნილმა სტალინმა ჩვეული „დამპალი კომპრომისი“ გააკეთა და მესამე ინტერნაციონალის გაუქმებით ცბიერებისა და მოტყუების ჩვეულებრივი ტაქტიკა იხმარა.

ლენინის დასაფლავების დღეს მიცვალებულის წინ სტალინმა სიტყვა წარმოსთქვა. ეს სიტყვა იყო ფიცი მცნებებად ჩამოყალიბებული. ამ მცნებათა შორის მესამე ინტერნაციონალის შესახებ მან შემდეგი სთქვა: „შენ გვიანდერძე ჩვენ, ლენინო, ერთგულება კომუნისტურ ინტერნაციონალის პრინციპებისადმი —ფიცსა ვსდებთ, ლენინო, რომ ეს ანდერძიც ჩვენგან წმინდად იქნება შესრულებული“. ეს ფიცი სტალინს ამ ოცი წლის მანძილზე არ გაუტეხია და იგი არც მომავალში აპირებს მის გატეხას. კომუნისტური ინტერნაციონალის ფორმალური გაუქმება მას საშუალებას აძლევს კაპიტალისტურ ქვეყნებში გამხრწნელი მუშაობა გააძლიეროს, სახელდობრ მით, რომ ამ ქვეყნებში კომუნისტური პარტიები საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები გახადოს. მაგალითად, თუ აქამდე ინგლისის მუშათა პარტიის წევრობის უფლება არ ენიჭებოდა ინგლისის კომუნისტურ პარტიას, ვინაიდან მისი მბრძანებელი ცენტრი მესამე ინტერნაციონალის სახით უცხო ქვეყანაში იმყოფებოდა, დღეს ეს მიზეზი ფორმალურად გაუქმებულია და ინგლისის კომუნისტურ პარტიას აღარაფერი ეღობება წინ მუშათა პარტიაში თავისი გამხრწნელი საქმიანობა აწარმოოს და იქ გავლენა მოიპოვოს. ამ მხრით ბოლშევიზმი თავისი მიზნის მიხწევას უფრო ტაქტიკურად ახერხებს.

ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს ევროპის კონტინენტისა, მოსკოვი სრულიადაც არ ფიქრობს აქ თავის პროპაგანდაზე მსოფლიო რევოლუციის გამოსაწვევად ხელი აიღოს. მესამე ინტერნაციონალის გაუქმება მოსკოვს არ აფერხებს თავისი რადიოს საშუალებით ევროპის ქვეყნების პროლეტარიატს მსოფლიო რევოლუციისაკენ მოუწოდოს. „კომინტერნის“ გაუქმების შემდეგ მოსკოვის, კუიბიშევის და ტფილისის რადიო-სადგურები გამუდმებით აწარმოებენ ასეთ პროპაგანდას ბულგარულ, ფრანგულ, ბერძნულ, ჰოლანდიურ, იტალიურ, კროატულ, ნორვეგიულ, პოლონურ, რუმინულ, შვედურ, არაბულ, სლოვენურ, ისპანურ, ჩეხურ, უნგრულ და გერმანულ ენებზე. ამ ხნის განმავლობაში ასეთი საპროპაგანდო რადიო-გადმოცემა აწარმოვა მოსკოვმა ფრანგულ ენაზე 660-ჯერ, ისპანურზე 39-ჯერ, უნგრულზე 484-ჯერ, ჩეხურზე 660-ჯერ, პოლონურზე 396-ჯერ, შვედურზე 220-ჯერ, ნორვეგიულზე 176-ჯერ, გერმანულზე 1820-ჯერ და ა.შ. ყველაეს გადმოცემები იწყება და თავდება ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ეს ლოზუნგი გამოკლებულია მოსკოვის გადმოცემებში ინგლისურად მოლაპარაკე ერებისათვის. ესე იგი, მოსკოვი, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ ინგლის-ამერიკის პროლეტარიატს არ მოუწოდებს შეერთებისაკენ, რითგანაც „კომინტერნის“ გაუქმება რუზველტთან და ჩერჩილთან შეთანხმებული ხრიკი იყო.

მესამე ინტერნაციონალის გაუქმება ხელს არ უშლის მოსკოვს ყველა ქვეყნის პროლეტარებს შეერთებისაკენ მოუწოდოს. კომინტერნი იყო ის აპარატი, რომელიც სტალინს ექვემდებარებოდა და მისი გაუქმება სრულიად არ მოასწავებს მსოფლიო რევოლუციის ქადაგების უარყოფას. მქადაგებელნი მსოფლიო რევოლუციისა თვით სტალინი და მისი ავან-ჩავანა ურიები არიან და, რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებენ საბჭოთა რადიოების ევროპის ზემოდ ჩამოთვლილ ყველა ენებზე გადმოცემანი შესავლითა და დასრულებით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“. სტალინი და მისი ურიულ-კომუნისტური პარტია ლენინის გვამის წინ დადებულ ფიცს არ გასტეხენ და ვერც გასტეხენ, რადგან ისინი თავის ბუნებას ვერ უღალატებენ. ბოლშევიკურმა გველმა კომინტერნის გაუქმებით თითქოს პერანგი გამოიცვალა, მაგრამ გული და ბუნება გველური შეინარჩუნა. სანამ ამ გველს თავი არ გაეჭეჭყება, იგი მუდმივ ცდაში იქნება ქვეყანა მოშხამოს. და ეს არის ის დიდი მიზანი, რომლის განხორციელებაც მიზნად დაისახეს გერმანიამ და მისმა მოკავშირე ერებმა.

„კომინტერნის“ გაუქმება თითქოს ბოლშევიზმის გაკეთილშობილების მომასწავებელი იყოს! ეს ზღაპარი კაპიტალისტურ ქვეყნების ხელმძღვანელმა წრეებმა დაიჯერონ და თავი მოიტყუონ. არა „კომინტერნის“ გაუქმება, არამედ საბჭოთა რეჟიმის სრული განადგურება არის ბოლშევიზმის ქვეყნის პირიდან აღგვის უზრუნველმყოფელი. ეს მისია თავს იდვა გამოღვიძებულმა და განახლებულმა ევროპამ გერმანიის მეთაურობით და იგი თავის მიზანს მიახწევს. მაშინ ჭეშმარიტად გაჰქრება მესამე ინტერნაციონალი და ურია მარქს-მარდოხაის ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, რითაც ევროპის ყველა ერებს, დიდს თუ მცირეს, საშუალება მიეცემა საკუთარი ეროვნული ძალები და შემოქმედება გაშალონ და მთლიანი ევროპის აღორძინებაში მონაწილეობა მიიღონ.

ტოგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 მაისის დღესასწაული ბერლინში 1943 წელს

26 მაისი ქართველი ხალხის ბრწყინვალე ეროვნული დღეობაა. 26 მაისი ქართველი ხალხის თავისუფლების წმინდა სიმბოლოა. 1918 წლის 26 მაისს მამაცმა საქართველომ კვლავ დაიმკვიდრა 117 წლის წინად დაკარგული დამოუკიდებლობა და რაინდული გაბედულობით აუწყა მსოფლიოს: „დღეიდან ქართველი ერი არის სუვერენული და საქართველო სრულუფლებიანი სახელმწიფო“.

ამ ბრწყინვალე და სასიქადულო დღეს საქართველომ მოიშუშა ღრმა იარები წარსულისაგან დაჩნეული, და განკურნებული, ჯანსაღი სულით, და ნათელი სახით, კვლავ მამაპაპური ჩვეული სიამაყით წარსდგა ქვეყნის წინაშე. მაღლა აღმართა ეროვნული დროშა, დროშა ორიათასწლეული და მრავალ ომებში გამოტარებული, დროშა ქართველი ხალხის სისხლში განბანილი.

მაგრამ ველურმა მტერმა დიდხანს არ დაგვაცალა. უხეშმა ძალამ კვლავ დაიპყრო საქართველო და დაიმორჩილა, მაგრამ ვერ დაიმონა. სახელოვან წინაპრების ღირსეულ შთამომავლებს ეს დროშა არ დაუხრიათ.

თუ დღეს იქ, დედა-საქართველოში, ქართველი ხალხი თავის ეროვნულ სიამაყეს —26 მაისის დროშას— ჯალათებს უმალავს და უბეში ჩაკონებულს გულთან და სულთან ახლო ატარებს, აქ, უცხოეთში, უსამართლობისა და უხეში ძალისაგან ლტოლვილ ქართველ მამულიშვილთა ხელში, მშობლიური მიწიდან გამოტაცებული დროშა ამაყად და ლაღად ფრიალებს!

თუ იქ, 26 მაისს სისხლში ახშობენ და ქართველ ხალხს გულს უფლეთავენ, აქ, უცხოეთში, მოძმის კარზედ, დევნილი ქართველი მამულიშვილები, 26 მაისს, ბრძოლის ყიჟინით ზეიმობენ.

ჩვენ კვლავ დავიბრუნებთ 26 მაისს. ჩვენ დავუბრუნდებით სამშობლო მიწას და აღვმართავთ ძველა-მოსილ ეროვნულ დროშას, ისე, როგორც არა ერთხელ აღუმართავთ ჩვენ დიდებულ წინაპრებს, ჩვენს ქართველ გმირებს!

26 მაისი ჩვენია, მას ვერვის დავანებებთ და ვერც ვინ წაგვართმევს.

არ შეიძლება ასეთი ოცნება არ აღძვროდა ქართველს, რომელიც ამა წლის 26 მაისს, ბერლინში დაესწრო სახალხო ეროვნულ დღესასწაულს.

მომხიბლავ სანახაობას წარმოადგენდა გაჩირაღდნებული „ბახის დარბაზი“, სადაც ქართველობამ იზეიმა 26 მაისი, მოწყობილი ქართული ეროვნული კომიტეტისა და გერმანიის ქართველთა კოლონიის გამგეობის მიერ.

სცენას ამშვენებდა მოძძე გერმანიისა და საქართველოს ეროვნული დროშები. დარბაზს საზეიმო ელფერი მიეღო, თითქოს ყველაფერი იცინოდა და ზეიმობდა. დარბაზში თავი მოეყარა მრავალ-რიცხოვან საზოგადოებას. აქ იყვნენ: ბერლინის ქართული კოლონიის მთელი შემადგენლობა, ქართველი ლეგიონერები, ახლად განთავისუფლებული ყოფილი ქართველი ტყვეები, საქართველოს მოძმე, მეზობელი ერების: სომხების, აზერბეიჯანელების და მთიელების წარმომადგენლები და გერმანელი სტუმრები.

საპატივცემლო სტუმართა შორის, იყვნენ გერმანული ყველა უწყების წარმომადგენელნი და უცხო პრესის მუშაკები. სტუმართა შორის ირჩეოდა ქართველების ძველი მეგობარი და მოყვარული მოხუცი, გრაფი შულენბერგი, რომელიც 1918 წელს იყო ხელმძღვანელი გერმანიის პოლიტიკური მისიისა საქართველოში და რომელმაც დიდი ამაგი და მზრუნველობა გამოიჩინა დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის ხანაში, სხვა მის გერმანელ თანამებრძოლებთან ერთად, როგორნიც იყვნენ: გენერალი კრესსფონ კრესენშტაინი, გენერალი ფონ ლოსოვი, მაიორი კაიზერი და სხვანი. დღეს ამ საამაყო მეგობართაგან გვესწრებოდა გრაფი შულენბურგი, რომელიც სიამოვნებით გაბრწყინვებული შესცქეროდა ჩვენ ეროვნულ ზეიმს. იგი ჭეშმარიტი გრძნობით იყო ჩაბმული ჩვენს ფერხულში და იგონებდა წარსულ მეგობრობის დღეებს.

საზეიმო საღამო ვახსნა ქართული კოლონიის თავმჯდომარემ ბ-ნ ტ. მარგველაშვილმა, რომელმაც მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ქართულ და გერმანულ ენებზედ.

აგუგუნდა ქართული ეროვნული ჰიმნი: „ᲓᲘᲓᲔᲑᲐ“... დარბაზში მყოფნი პატივისცემით ფეხზე სდგებიან და ისმენენ ეროვნულ ჰიმნს. ომახიანი ხმა. ხმა გოროზი და ამაყი!..

მღერიან საქართველოდან ახლად მოსული ქართველი ვაჟკაცები, რომლებმაც უცხოეთში უმწიკვლოდ მოიტანეს ქართული ზნე-ჩვეულება და იერი. მღერიან მჭექრად... სავსე მკერდებით... მათ არწივისებურ თვალებში ჰკვესავს სიცოცხლე, ქართული ნებისყოფა და ტემპერამენტი. მათ ხმაში ფოლადია ჩასხმული.

გუგუნებს გუნდი და თითქოს თვალწინ ცოცხლდება განვლილი დღეები: თბილისი, კოჯორი და ტაბახმელა... ბრძოლა თავგანწირული, ქართველ გმირთა სახეები... დაფლეთილი დროშა, სისხლი სამშობლოსათვის დანთხეული.

მისწყდა დიდებული ხმები და დარბაზი მხურვალე ტაშის-ცემამ შესძრა. დიდხანს სცემდნენ ტაშს ჰიმნის მოწონების ნიშნად. ხალხი წყნარდება. დარბაზი დამშვიდდა. ტრიბუნაზედ ადის საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი პროფესორი მიხ. წერეთელი.

მისმა ტრიბუნაზედ გამოჩენამ გაათკეცებული ტაშის-ცემა გამოიწვია. მხურვალე ოვაციით მიეგებენ საყვარელ პროფესორს, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდან ახლად მოსულნი, რომელთაც, ჯერ კიდევ იქ, სამშობლოში, მრავალი სმენოდათ სახელოვანი პროფესორის მ. წერეთლის შესახებ, ნეტარხსენებული პროფ. ივანე ჯავახიშვილის მეგობრის და თანამოკალმისა.

საზღვარი აღარ უჩნდა ტაშის-ცემას და შეძახილებს: „გაუმარჯოს საქართველოს!" „გაუმარჯოს პროფესორ წერეთელს"!..

„დიდება საქართველოს!" —გულიდან აღმოხეთქილი გრძნობით სჭექს ხევსური მგელიაშვილი. და მისი ხმა აზავთებულ ტაშის გრიალში მკაფიოდ იჭრება.

პროფესორი კი დინჯად ელოდებოდა აუდიტორიის დაწყნარებას. ქართველი ახალგაზრდობა აღტაცებით შესცქეროდა მას, როგორც წინამძღვარს და მებაირახტრეს ეროვნული მოძრაობისა!..

როდესაც ოვაციები მინელდა და დარბაზი სმენად გადაიქცა, პროფესორმა გერმანულ ენაზედ წაიკითხა მოხსენება. მან დამსწრეთ მოუთხრო ქართველი ერის გმირული ისტორიული წარსული. აღნიშნა ქართველი ხალხის ბრძოლები ეროვნული თავისუფლებისა და თვითმყოფლობისათვის გადახდილი.*)

პროფ. მ. წერეთელის მოხსენების შემდეგ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა გერმანელი პროფესორი ბ-ნი ბლაიხშტაინერი, თემაზედ: „ქართული საგმირო თქმულებანი". პროფესორმა დამსწრეთ ვრცლად მოუთხრო ქართველი ხალხის კულტურაზედ და საერთოდ დაახასიათა ჩვენი სამშობლო. პატივცემული გერმანელი პროფესორი დიდი მადლობის ღირსია ქართველებისაგან.

მოხსენების შემდეგ გაიხსნა საკონცერტო განყოფილება. სცენაზედ ვეფხისებური ნაბიჯებით გამოდიან შვინდისფერ-ჩოხოსანი ვაჟკაცები. მოხდენილად, ნახევარწრედ და ორ რიგად სდგებიან იგინი მაყურებელთა წინაშე. ესენი არიან ქართველი მომღერლები, ყოფილი ტყვეები, რომლთაგან ამ ორიოდე თვის წინად ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი, ნიჭიერი და ცნობილი ლოტბარის დ. კავსაძის ხელმძღვანელობით. მიუხედავად არსებობის მოკლე დროისა, ხელმძღვანელის დაუღალავი შრომით, და ეროვნული კომიტეტის დახმარებით, გუნდმა შესძლო მიეღო ჩამოყალიბებული სახე და ძირითადი სიძნელეების გადალახვა.

დღეს გუნდი სერიოზული და დიდი აუდიტორიის წინაშე იდგა. მას უნდა დაეჭირა ერთგვარი გამოცდა. გუნდმა მსმენელები მართლაც მოხიბლა... მხურვალე აპლოდისმენტმა დაჰფარა დარბაზი. შესრულებული იქმნა თითქმის საქართველოს ყველა კუთხის ხალხური საგუნდო სიმღერები და ცეკვები.

პირველ ნომრად გუნდი ასრულებს ძველებურ ქართულ მხედრულ სიმღერას: „ქართველო,ხელი ხმალს იკარ", რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზედ.

პირველ ნომრის შემდეგ გუნდმა საუცხოოდ შეასრულა შემდეგი სიმღერები: „ცისკიდური, ზამთარი, მოხეური, სულიკო, დილა სოფლად, სიყვარული არ იქნება ძალადა" და სხვა და სხვა.

„სულიკო"-მ მთლიანად შებოჭა და მოაჯადოვა განსაკუთრებით ქართველი მსმენელი. ნაცნობი ჰანგები მიმოიბნა დარბაზში და წამს თავდავიწყებაში გადასტყორცნა მამენელები. სალამურის ნაზს კვნესას თან მიჰყვება გუნდის მგრძნობიარე გალობა და ამ ტკბილ მუსიკობაში ჩაფლული ქართველი, თითქოს ამ ქვეყანას განშორებული, შორს, შორს, საყვარელ სამშობლოში გრძნობდა თავს...

მგრძნობიარე და მიმზიდველი იყო მხატრულ-მუსიკალური სურათი: „დილა სოფლად":

სცენაზედ ბნელა. მკრთალ სინათლეზედ ძლივს მოჩანან სილუეტები. შორს, ალბად სოფლის ორღობიდან, ისმის ძაღლის ყეფა... ჩუ!.. პაწაწინა, ჩჩვილი სტირის. ძაღლის ხომ არ ეშინია?!. აი,ტკბილი „იავნანა"-ს მომხიბლავი ხმა. ამ ჯადოსნურ ჰანგებზედ თითქოს ყველაფერი მიწყნარდა. პაწია ჩაჩუმდა. თენდება. ორღობეში ძაღლი არ ისვენებს... „იავნანა" მიწყდა... გუნდი კვლავ ზუზუნებს და შორს, გლეხი „ოროველას" მღერის. თენდება. მთების გადაღმა ოქროსფერი სხივები ამოდიან. არემარეს აღვიძებს მხნე სიმღერა: „მგზავრული"... სცენა ნათდება!..

გუნდმა წარმოადგინა ორი ახალი საკუთარი მუსიკალური ნაწარმოები: „ჩვენთან არს ღმერთი" (მუსიკა ბ-ნ დ. კავსაძისა, სიტყვები გ. კ-ძისა) და „მთაო ლამაზო" (მუსიკა დ. კავსაძისა, სიტყვები ლეგიონერ ბარელისა.)

აღნიშნულმა სიმღერებმა ნათლად გვიჩვენა ბ-ნი კავსაძის მუსიკალური ნიჭი.

გუნდის ხელმძღვანელს უცდია მხატვრული კითხვაც გამოეცდინებინა. მსახიობმა ა. მ—მა მშვენივრად წაიკითხა აკაკი წერეთელის „პატარა კახი"-დან გელას მონოლოგი.მსახიობის განცდით დატვირთულმა დრამატიულმა დიქციამ და მხატვრულმა მეტყველებამ დაიმსახურა შექება. ბევრს ცრემლები გაუბრწყინდა თვალებზედ, განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც დეკლამაციას თან შეერთვის გუნდის მხრივ საეკლესიო გალობა: „დიდება შენდა, უფალო".

ასეთივე ნიჭიერებით იქნა შესრულებული მეორე მხატვრული კითხვაც: გუნდი ასრულებს „სამშობლო ხევსურისა"-ს (მუსიკა დ. კავსაძისა, სიტყვები რ. ერისთავისა). მომხიბლავ და ნაზად-მბგერავ მუსიკაზედ, მხატვრულად კითხულობს ვაჟა-ფშაველას ლექსს: „ფშაველი ჯარისკაცის წერილი დედასთან" ექ. მ. ყ—ი.

მაყურებელი ღრმად განიცდის მთიელი ჯარისკაცის რკინისებურ რწმენას სულისას და ზნეობრივ სიფაქიზეს. ლეგიონერ დ. პ—იას ლექსს, „ქართველი ერი" კარგად აკითხულობს მსახიობი ა. მ—ძე. საკუთარი ლექსით, „26 მაისი", გამოვიდა ა. დარეჯანიძე. ვეფხისებური ნაბიჯით გამოიჭრა სცენაზედ ხევსური დათვია მგელიაშვილი. მან წაიკითხა საკუთარი ლექსი: „რისთვის ვიბრძოდით". ამ ლექსში აშკარად გამოსჭვივის ქართული პატრიოტიზმი, ხევსურულად გამობრძმედილი. დათვიას ლექსი ნაკურთხია ხევსურების საყვარელი მეფის ირაკლის უკვდავი სულით! გულადი ხევსური მხურვალე ტაშით გააცილა მაყურებელმა სცენიდან.

*) ეს სიტყვა აქვეა დაბეჭდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდმა საუკეთესოდ შეასრულა ეროვნული ცეკვები „ლეკური“ (მ. კერესელიძე და ა. დარეჯანიძე), „დავ-ლური“ —ცეკვა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“-დან (მ. კერესელიძე, ე. ა—ძე, ა. დარეჯანიძე და მ. ჯ—ძე). მოცეკვავეთ აღტაცებაშიმოიყვანეს არამარტო ჩვენი თანამემამულენი, არამედ ძვირფასი სტუმრებიც.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გუნდის მიერ ბოლოს შესრულებულმა „ფერხულმა“. ვაჟკაცები, ორპირ სიმღერაზედ(„მაღლა მთას მოდგა“) მწყობრად ფეხ-შეწყობილნი ტალღებივით ქანაობდენ... შეუმჩნევლად, როგორც ციხე-კოშკი, ისე შეიკრა ორსართულიანი და ორ-რიგი წრე.

ზეიმი დამთავრდა. დიდად კმაყოფილი დარჩა საზოგადოება და განსაკუთრებით ჩვენი გერმანელი სტუმრები. ჩვენმა დიდმა მეგობრებმა, კიდევ ერთხელ, თვალნათლივ დაინახეს ქართველი ხალხის მრავალი ღირსება და განსაკუთრებით ჩვენი ერის მუსიკალური კულტურის მაღალხარისხოვნება.

დიდი მადლობის ღირსია საქართველოს ეროვნული კომიტეტი ქართული საქმის ასეთი გონივრული წარმოებისათვის და გუნდისადმი აღმოჩენილი დახმარებისათვის.

ხოლო განსაკუთრებული მადლობის ღირსია გუნდის ლოტბარი, რომლის ხელმძღვანელობას უნდა მიეწეროს გუნდის მთელი მუშაობა და ღირსება. იმედია ქართულ საქმეს თავისი სახელოვანი გუნდით ბ-ნი დ. კავსაძე კვლავაც ასახელებს.

1943 წლის 26 მაისის დღესასწაულმა ბრწყინვალედ ჩაიარა. წარუშლელი გრძნობები და შთაბეჭდილებანი დასტოვა საქართველოს გარეთ მყოფ ქართველთა გულში.

გ. ხერგაისძე

სიტყვა

ბატონ მიხეილ წერეთლისა,

წარმოთქმული გერმანულ ენაზე ბერლინში 1943 წ. 26 მაისის საზეიმო დღეს

მე-23-ჯერ ვდღესასწაულობთ სამშობლოთგან გარდმოხვეწილნი ქართველნი 26 მაისს. ხოლო საქართველოში 1921 წლითგან აღკვეთეს ეს ეროვნული დღესასწაული მათ, ვინც 26 მაისს 1918 წელს განცხადებული დამოუკიდებლობა საქართველოსი დაამხვეს და ვისაც ქართველი ერი დღემდე ჯვარზედ ჰყავსთ გაკრული. ვინ იცის, იქნებ ბოლშევიკების სიმხეცეს გადარჩენილი რაოდენიმე ძველი ქართველი ჩუმად იგონებს 26 მაისს, იგონებს წარსულ ბედნიერებას, ხოლო ბევრია საქართველოში ისეთი ახალგაზრდა, რომელმაც არც კი იცის, თუ რა მოხდა მის სამშობლოში 26 მაისს 1918 წელს.

არა ერთი გრძნობით ვიგონებდით ჩვენ აქ ამ დღეს, არამედ მრავალით: 26 მაისი იყო ჩვენთვის დღე სიხარულისა, მაგრამ აგრეთვე დღე გლოვისა, და ბოლოს დღე იმედის ზრახვათა აღმძვრელი, განსაკუთრებით დღეს, როდესაც აღკვეთა ბოლშევიზმის ჭირისა მიზნად აქვს დასახული კულტურული კაცობრიობის უკეთეს, უკეთილშობილეს ნაწილს.

ქართველმა ერმა თვისი ცხოვრების მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჯერ კიდევ ქრისტეს წინად შესძლო გამხდარიყო სახელმწიფოებრივობის ნიჭის მქონე ერად, რათგან იგი იყო ერი შემქმნელი საკუთარი კულტურისა, საზოგადოება დასრულებული ეროვნული სახისა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ მე-IV საუკუნეში იგი შეეიდა ევროპის საქრისტიანო კულტურულ სფეროში, შეჰქმნა ახალი ქრისტიანულ-ეროვნული კულტურა და აქ დაესახა მას ახალი ეროვნული და პოლიტიკური მიზნები, რომელთა მისახწევად იგი იბრძვის 1500 წლის განმავლობაში. ერთი მხრით განვითარება შეუფერხებელი და დაუბრკოლებელი თვისი ახალი კულტურისა და მეორე მხრით დაცვა მიწა-წყლისა და წინაპართა მემკვიდრეობისა აუარებელ და ძლიერ მტერთა წინააღმდეგ — აი რა იყო ეს მიზნები და რას ეწირებოდა ქართველი ერის ენერგია მისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში. და გმირთა აღურაცხელ შთამომავლობათ მოიტანეს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ქართული ეროვნება, კულტურა და სახელმწიფოებრივობა — სულითა და ხმლით. ამ დროს განმავლობაში საქართველოს ჭირიც ბევრი გამოუცდია და დიდებაც უხილავს, უძლიერესი სახელმწიფოც ყოფილა იგი ქვეყნის იმ ადგილს, სადაც მიმდინარეობდა ცხოვრება მისი, და პოლიტიკური თავისუფლებაც დაუკარგავს ხოლმე მას, მაგრამ იმედი ამ თავისუფლების აღდგენისა, კვლავ მოპოებისა მას არაოდეს დაუკარგავს. პოლიტიკური თავისუფლება ქართველისათვის ერის სისხლით მოპოებული უფლება იყო, ბუნებრივ უფლებად ქცეული მისთვის, გარდაუვალი. დაიკარგებოდა იგი, — მაინც რჩებოდა საქართველოსათვის დრო პოლიტიკური არათვით-მყოფობისა მხოლოდ ერთ უსიამოვნო და უშვერ

ეპიზოდად მისი ცხოვრებისა, და ერი ყოველთვის შეურყეველი რწმენით მოელოდა დროს დამოუკიდებლობის აღდგენისა, რაიცა მისი უბუნებრივესი და უზენაესი დათრგუნვილი უფლების აღდგენას მოასწავებდა. და როდესაც საქართველომ მე-XVIII საუკუნის დასასრულს უამრავ და უძლიერეს მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაკნინებულმა, დასუსტებულმა და დაღლილმა იწყო ევროპის მფარველობის ძებნა, მან იცოდა რასაც შვრებოდა: მას სულიერად მონათესავე ევროპასთან კავშირით და მისი მფარველობით უნდოდა გადაერჩინა ის, რის დაცვას მან შეალია საუკუნეთა განმავლობაში მთელი ძალა თვისი სულისა და მკლავისა. როდესაც მან ამ მიზანს ვერ მიახწია, რათგანაც ევროპისაგან შველა და მფარველობა მაშინ მას ვერ მიენიჭებოდა, მან რუსეთს შეაფარა თავი, ერთ-მორწმუნეს და მაშინ ევროპიულად მოწესრიგებულ სახელმწიფოს, და დარწმუნებული იყო რომ რუსეთიც ღირსეულად და პატივით მოეპყრობოდა მის უფლებას ეროვნული და სახელმწიფოებრივი არსებობისა. 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებაში ეს აღთქმა მართლაც იყო დადებული რუსეთის მიერ საქართველოს წინაშე. მაგრამ რუსეთმა ხელშეკრულება დაარღვია, მოსპო საქართველოს სახელმწიფო, სამეფო სახლი ბაგრატიონთა, რომელიც მე-IX საუკუნითგან მეფობდა საქართველოში და მისცა მას დიდნი ხელმწიფენი და დიდნი მეთაურნი ერისა, და ბოლოს რუსეთმა საქართველო რუსეთის გუბერნიებად გარდაჰქმნა. ამას მოჰყვა მთელი კავკასიის დაპყრობა დაპოლიტიკურად დამონება რუსეთის მიერ. მაგრამ საქართველო ვერც რუსეთის 117 წლის ბატონობამ გასტეხა. კულტურა ქართველი ერისა იყო ძველი, ხოლო მას ძირები ჰქონდა მაგარი და მრთელი, და მისგან განვითარდა და შეიქმნა ახალი ქართული კულტურა მე-XIX საუკუნისა, ისეთივე ევროპიული, ვითარცა იყო ძველი, და ეს მოხდა მიუხედავად რუსეთის ბატონობისა. და ერი ახლაც თვისი ცხოვრების ერთ უსიამოვნო ეპიზოდად სთვლიდა ამ უცხო ბატონობას და ახლაც ელოდა ჟამს თვისი განთავისუფლებისა როგორც ძველად. და ეს ჟამიც დადგა. წარსულ დიდ ომში საქართველო გერმანიის მოკავშირე იყო. გერმანიაში მუშაობდა მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელსაც კავშირი ჰქონდა საქართველოს მოქმედ პოლიტიკურ პარტიებთან. გერმანია მომხრე იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა, რათგან მას საქართველო ეგულებოდა როგორც მნიშვნელოვანი და ერთგული მოკავშირე და თანამშრომელი თვისი ახლო აღმოსავლეთის ჩვენ კუთხეში თვის დიდ პოლიტიკურ და სამეურნეო გეგმათა განსახორციელებლად. და როდესაც რუსეთის ფრონტი კავკასიაში დაირღვა და ჯარმა რუსეთისაკენ იწყო დენა, კავკასიის ერებმა თვით იწყეს მოწესრიგება მათი ცხოვრებისა, განგება საკუთარი პოლიტიკური ბედისა. მაშინ გერმანიის დახმარებით საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა 26 მაისს 1918 წელს და ამას მოჰყვა დამოუკიდებლობის გამოცხადება სხვა ერთა 28 მაისს იმავე წლისა. გერმანია პირველი იყო, რომელმაც საქართველო იცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ჯერ de facto და მერმე de jure, —და ვიგონებთ რა ამ დღეს, როდესაც გათავდა ჩვენთვის 117 წლის უცხო ბატონობა და საქართველოს თვისი უზენაესი უფლება დაუბრუნდა, როდესაც საქართველომ მოიპოვა მეგობარი და მფარველი, რაიცა მისი ოცნება იყო მე-XIII საუკუნითგან, სიხარულით ივსება ჩვენი გული, გვაგონდება რა აგრეთვე საქართველო 1918 წლისა, სადაც ჯერ კიდევ ჭარბად იყო კეთილშობილი ჯიში ქართველთა, მატარებელი გმირობისა და შემქმნელი საქართველოს დიდებისა და ღირსებისა, შთამომავალი ძველ გმირთა, შემქმნელი იმ არისტოკრატიული საქართველოსი, რომლიც ბევრი სხვა და სხვა მიზეზით ბევრს არ უყვარდა, მაგრამ ურომლისოდაც თვით ეგრედ წოდებული „დემოკრატიული რესპუბლიკა“ საქართველოსი 1918 წლისა შეუძლებელი იქმნებოდა.

მაგრამ რუსეთის რევოლუცია 1917 წლისა, რომლის ისეთი დიდი იმედი ჰქონდა რუსის ხალხსაც და იმპერიის სხვა ერებსაც, ის არ გამოდგა, რასაც გულუბრყვილონი მოელოდენ, არამედ ის, რაც იგი უნდა ყოფილიყო თანახმად მის შემქმნელ ფაქტორთა: ნიადაგი რუსეთის რევოლუციისა იყო კულტურულად ჩამორჩენილი უზარმაზარი ქვეყანა, რასიულად არეული მოსახლეობა მისი, სხვადასხვა სისხლისა, ისტორიისა, კულტურისა, სარწმუნოებისა. რუსეთში ურთი-ერთის მებრძოლ იდეოლოგიათა შორის მარქსიზმი გამოდგა უძლიერესი და მანგაიმარჯვა, მოძღვრებამ ბრძოლისა და სიძულვილისა, ე.წ. „პროლეტარიატის დიქტატურისა“, ტერორისა და კაცისკლვისა. დასაწყისი რუსეთის რევოლუციისა იყო რუსის ჯარის დამარცხების დრო ომში, და დამარცხებულ მხედართა ბრბოების მოპოება და გამოყენება რევოლუციონერთა მიერ მათი რევოლუციის მიზანთათვის. და ამ რევოლუციამაც მიიღო ბოლშევიზმის სახე. ამ სახით გაიმარჯვა რუსეთის რევოლუციამ, და ბოლშევიზმმაც სავსებით განახორციელა თავისი წმინდა მარქსისტული იდეალები: მან მოსპო უკეთესი ელემენტები რუსეთის მოსახლეობისა, ფიზიკური და სულიერი ღირებულების მქონე, მაშასადამე მისი სატანიზმის წინაღმდეგობის ნიჭის მქონე, და შექმნა უზარ-მაზარი ორგანიზაცია „მასსათა“, ე. ი. უნებისყოფოთა ბრბონი, რომელთა დამონება და განუსაზღვრელი ექსპლოატაცია შესაძლებელი იყო. მან შემოიკრიბა დამნაშავენი, ქვე-ადამიანნი ყოველი გვარისა, და ამ ელემენტებზედ დააყრდნო ძალა ურიულ-კომმუნისტური სახელმწიფოსი, რომელმაც ათეულიმილიონობით მოსპო ხალხი თვისი ბატონობის განმავლობაში. კომმუნისტურმა სამეურნეო სისტემამ კიდევ სხვა მილიონები იმსხვერპლა. და აი, ამ რუსეთს გადაულოცა ინგლისმა კვლავ საქართველო და მთელი კავკასია, მას შემდეგ რაც გერმანელთა ნაცვლად მან დაადგა ფეხი ჩვენ ნიადაგზედ, მოიქცა უღირსად და უკადრისად და მერმე დასტოვა საქართველო 1920 წელს. საქართველო იურიდიულად ცნობილი სახელმწიფო იყო, თვით ინგლისის მიერაც 1921 წელს, ხოლო ფაქტიურად რუსეთისთვის გადაცემული. საქართველოს სუვერენობა თვით ბოლშევიკურმა რუსეთმაც იცნო 1920 წელს მაისში საქართველოსთან დადებული ხელშეკრულებით, მაგრამ ბოლშევიკებისათვის ხელშეკრულება მხოლოდ „ბურჟუაზიუ-

ლი ცრუ-რწმენაა“ და იგინიც 1921 წლის თებერვალში დაეცენ საქართველოს მოულოდნელად და დაეპატრონენ მას და ამით სრულიად კავკასიასაც. მას შემდეგ რაც განვიცადეთ ჩვენ ქართველებმა და კავკასიის ყოველმა ერმა, ამის გაგება მხოლოდ მათ შეუძლია, ვისაც ბოლშევიზმის ბატონობა გამოუცდია, ხოლო არა მათ, ვისაც ღმერთმა აშორა ეს სასჯელი ჯოჯოხეთისა. აი ამიტომ არის დღეს ჩვენთვის მწარედ მოსაგონებელი 26 მაისი, რომელსაც 1921 წლითგან მხოლოდ ეროვნული უბედურობის დროს ვდღესასწაულობთ და არა ბედნიერებისა, მხოლოდ ბედნიერი წარსულის მოსაგონებლად მწარე აწმყოში.

ხოლო არც ჩვენ აქ და არც ქართველ ერს იქ არ დაგვიკარგავს იმედი ხსნისა. მიუხედავად იმისა, რომ მეთაური ქვე-კაცობრიობისა საქართველოში დაბადებული კაცია ბნელი წარმოშობისა, რომლის უბოროტესი და უსაზიზღრესი საქმე მისივე საკუთარი ქვეყნის თავისუფლების მოსპობა იყო 1921 წელს, არც ერთ ერს საბჭოთა კავშირისა ისეთი ენერგიით არ უბრძოლია ბოლშევიზმის წინააღმდეგ როგორც ქართველ ერს და არ დაუღვრია იმდენი სისხლი, რაოდენიც დაღვარა ქართველობამ, განსაკუთრებით აჯანყების დროს 1924 წ., და შემდეგ დღემდე. არცკი ვიცით დღეს, თუ რა დარჩა ქართველთაგან, რასაც აქვს მაღალი ღირებულება. ღრმად გვრწამს მხოლოდ რომ გული ქართველი ერისა ჯერ კიდევ მრთელია და კვლავ შექმნის იგი ახალ საქართველოს. ვიცოდეთ ერთი რამ: ვინც ზედაპირსა ჰხედავს მხოლოდ დღევანდელ დიდ საქმეთა, მისი დასკვნაც ზერელეა შესახებ მომავლისა, ჩვენი პოლიტიკური ორიენტაციისა და მოქმედებისა. ხოლო ვინც თვისი ხილვით ძირს სწვდება მოვლენათა, მან იცის რომ ეს ომი გარეგანი გამოსახულებაა იმ დიდი რევოლუციისა, რომელმაც კულტურული კაცობრიობის ცხოვრება უნდა გარდაქმნას. გერმანია და იტალია მათი ახალი მსოფლიოს-ხედვით ებრძვიან ერთი მხრით ბოლშევიზმს და მეორე მხრით ყველა ძველთაგან დარაზმულ საერთაშორისო ძალებს, დღეს ბოლშევიზმთან შეკავშირებულს, და წინამძღოლი და მიმმართებელი ყველა ამ საერთაშორისო ბოლშევიკურ და არა-ბოლშევიკურ ძალთა ურიაა. გაიმარჯვებენ გერმანია და იტალია ბრძოლის ველზედ, ეს მოასწავებს ახალი მსოფლიოს შექმნას ბოლშევიზმისა და კაპიტალიზმის მოსპობის შემდეგ, მაშასადამე ერთა თავისუფლებასაც, და საქართველოსაც, როგორც ყველა სხვა ერს, თვისი ადგილი ექმნება ახალ მსოფლიოში. გაიმარჯვებენ ბოლშევიზმი და მისი მოკავშირე ძალები, გამარჯვება მათი მოკლე დროისა იქმნება, რათგანაც რევოლუცია ახალი მსოფლიოს შესაქმნელად უნდა გაგრძელდეს, შეგნებულ არიელობასთან ერთად მთელ არიელობას უნდა წარმოუდგეს ნათლად თვალ წინ დიადი მიზანი კულტურული კაცობრიობის ცხოვრების გარდაქმნისა, რომლის განხორციელება მხოლოდ მას ძალ-უძს. ამისი თავდებია ის უზარმაზარი შემოქმედებითი ენერგია, რომელიც დაგროვილია ევროპიელობის წიაღში. საბოლოო გამარჯვება სატანისა არ იქმნება, არც შეიძლება რომ იყოს, და ყოველ ერს, და საქართველოსაც ბედი არგუნებს თვის საბოლოო გამარჯვებას, ვითარცა ჯილდოს მისი ბრძოლისათვის, და იგიც ვალმოხდილი შევა კულტურულ ერთა საზოგადოებაში, რომლის ცხოვრება ახალ პრინციპებზედ იქმნება დამყარებული,—პრინციპებზედ ეროვნული მთლიანობისა, სოციალური მშვიდობიანობისა და სამართლიანობისა, პიროვნების თავისუფლებისა, შრომისა და შემოქმედების პატივის-ცემისა, და არა ტერორზედ, კრიმინალთა „დიქტატურაზედ“, კაცის წამებაზედ და კლვაზედ, ან მის უსაზღვრო ექსპლოატაციაზედ!

ამ შეგნებით მდგომარეობისა და ამ იმედით ვხვდებით დღეს ჩვენ 26 მაისს. ჩვენ ვიცით დღევანდელ დიდ ბრძოლაში თუ სად არის ადგილი ქართველისა. ბევრი ქართველი თვის მოვალეობას მხედრისა დიდი ხნითგან ასრულებს უკვე მთელ ანტიბოლშევიკურ ფრონტზედ თვის გერმანელ, სხვა ევროპიელ და აგრეთვე კავკასიელ თანამებრძოლებთან ერთად. და ვინ იცის, იქნებ შორს აღარ არის ის დღე, რომელიც ახალ რიცხვად იქმნება მიჩნეული საქართველოს და ყველა დამონებულ ერთა განთავისუფლებისა, —დღე ჩვენთვისაც სადღესასწაულოდ შემცველი 26 მაისისა.

ბერლინი, 26 მაისი 1943 წ.

სხვა და სხვა

„ჩვენი სიმღერები“

(ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკა №1)

ქ. ბერლინში, 1943 წელს, გამოვიდა დამწყები ახალგაზრდა ლეგიონერი მწერლების ლექსებისა და ნარკვევების კრებული —**„ჩვენი სიმღერები“**. წიგნში მოთავსებულია ქართველი ლეგიონერების —ა. სვანის, ვ. ურდოელის, შ. ᲘᲐᲢᲘᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘᲡ, ნ. ქარველის, ი. ხეველის, ე. დ—ს, მალველის, ნ. ხ—ს, ტ. ყ—ს, ლ. ს—ს, თ. მანანაურის, გ. სისაურის, და დამწყები მწერლების—დ. ბურდულისა, ა. დარეჯანიძის, დ. მთიულის, გუშაგის, დ. არაგველის და ბაზალის ლექსები, და ლეგიონერ ლ. ლინის მოთხრობა „გულდაი“.

კრებულს წამძღვარებული აქვს ლ. ლინის ეროვნული განმათავისუფლებელი პოეზიის მიმოხილვა. წიგნში მოთავსებულია აგრეთვე მხატვარი ი. ევგენიძის რვა ნახატის რეპროდუქცია. მასვე ეკუთვნის კრებულის ყდა. კრებული გათვალისწინებულია ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკისათვის. იგი შეიცავს 93 გვერდს.

პოეტ ს. ბერეჟიანის ლექსების კრებული

გაზეთ „საქართველო“-ს რედაქცია უშვებს უდროოდ დაკარგულ პოეტის ს. ბერეჟიანის ლექსების კრებულს. კრებულს წამძღვარებული აქვს პოეტის შემოქმედების ვრცელი მიმოხილვა. მასში მოთავსებული იქნება ემიგრანტი პოეტის თითქმის ყველა ლექსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტების მეორე საერთაშორისო კონგრესი ვენაში 1943 წელს

22—25 ივნ. 1943 წ., ვენაში შეიკრიბა 400-ზედ მეტი ჟურნალისტი 21 ეროვნებისა. კონგრესს მიეცა ხასიათი დიდი დემონსტრაციისა ევროპის ერთა ერთობისა და მისი კულტურის დასაცავად იმ საფრთხისაგან, რომელიც მათ მოელის ერთი მხრით ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმისაგან და მეორე მხრით რუსეთის ბოლშევიზმისაგან, რომლის გაბატონება ევროპაზედ ერთი მიზანთაგანია ინგლისისა და ამერიკის ომისა. კონგრესზედ გამოირკვა, რომ ევროპის ჟურნალისტებმა, არა მარტო გერმანიისა და იტალიის მოკავშირეთა ქვეყნებითგან, არამედ ნეიტრალურ ქვეყნებითგანაც, სავსებით შეიგნეს დღევანდელი მდგომარეობა ევროპისა, იხილეს საფრთხე, რომელიც მას მოელის დასავლეთითგან და აღმოსავლეთითგან, და იგრძნეს საჭიროება მათ მკითხველ საზოგადოებას თვალი აუხილონ და ჩააბან ბრძოლაში საშინელ მტერთა წინააღმდეგ ევროპის უძველესი კულტურისა და მისი მომავლისა. ეს უნდა იყოს მათი მოვალეობა და არა სამსახური ფულისა, კაპიტალისა და მათ პატრონ ურიათა.

ევროპის ყველა ჟურნალისტებმა გამოსთქვეს ეს აზრი და თავს იდვეს ეს მოვალეობა. თვით დიდი მოხუცი, ნორვეგიელი დიდი მწერალი კნუტ ჰამსუნი დაესწრო კონგრესს და უშიშრად განაცხადა თვისი აზრი ინგლისის შესახებ, რომელსაც იგი დიდი ხნითგან იცნობს, რომლის ძალადობის წინაშე ყოველი ქვეყანა ქედს იხრიდა, გარდა გერმანიისა, დღეს მისი დიდი მებრძოლისა იტალიასთან ერთად. მან აღნიშნა, როგორც გერმანმა და ევროპიელმა, რომ ევროპას მომავალი არა აქვს და არც მოსვენება ექმნება, სანამ ინგლისი არ გადმობრძანდება იმ ბატონობის ტახტითგან, რომელზედაც იგი საუკუნოებით ბრძანდება და ევროპის შემდეგ განვითარებას, სულიერს და სოციალურს, შეუძლებელ ჰყოფს.

გერმანიის სახელმწიფო პრესსის ხელმძღვანელმა დიტრიხმა ევროპის ჟურნალისტებს მოაგონა, თუ რა არის ევროპის კულტურა, როგორც ნაყოფი საუკუნოეთა შემოქმედებისა ევროპის ხალხთა მიერ, რომელსაც უკულტურო და უმადური ამერიკა და უისტორიო ქვე-ადამიანთა ბრბოები საბჭოთა რუსეთისა, რომლებსაც თავში ურია უდგას, განადგურებით ემუქრება. მან შესანიშნავი სიტყვები აღნიშნა პორტუგალელი ისტორიკოსის ალფრედო პირმენტასი: „სამწუხაროდ ამერიკა არცგანგრძობა იყო ევროპის კულტურისა და არც შევსება, არამედ გადაგვარება მისი“. ხოლო რუსეთში რაც იყო ნატამალი ევროპის კულტურისა, ისიც მოსპო ურიულ-ბოლშევიკურმა სისტემამ. და გამარჯვება ინგლის-ამერიკის პლუტოკრატიისა, ამერიკანიზმისა და ბოლშევიზმისა უდრის ევროპის, მაშასადამე მთელი კაცობრიობის საუკეთესო შემოქმედებითი ნიჭის მქონე ნაწილის კულტურის მოსპობას.

ევროპის მიზანია დღეს განახლდეს კულტურულად და სოციალურად, თავითგან აიცილებს რა ამ საშინელ კარზედ მომდგარ საფრთხეს, და ამ ბრძოლაში ევროპისა მისი მომავალისათვის მის ჟურნალისტებს შეუძლიათ აღასრულონ უდიდესი როლი.

25 ივნისს, კონგრესის დასასრულს, ჟურნალისტთა ეროვნულ კავშირთა თავმჯდომარემ ზიუნდერმანმა აღნიშნა ის ოთხი თავისუფლება, რომლისათვისაც დღეს ევროპა იბრძვის, რომლის განხორციელებისათვის ევროპის ჟურნალისტებმა უნდა იბრძოლონ კალმით!

1. განთავისუფლება ერთა ურიების მომწამლველი გავლენისაგან, რომელიც ცხადი გახდა კონგრესსის მსჯელობათაგან და რომლის მოსპობა აუცილებელი საჭიროებაა.

2. განთავისუფლება ბოლშევიკური კაცის-კლვის სისტემისაგან, რომლის წინააღმდეგ მთელი თვისი ენერგიით იბრძვის ყველა, ვინც იცის, თუ რა საფრთხე მოელის ყოველ ღირებულებას ადამიანისა ამ ბრძოლაში.

3. განთავისუფლება შემომქმედი ადამიანისა კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან, რაიცა მიხწეული უნდა იყოს და იქმნება კიდეც ყოველი ნიჭის მქონე ადამიანის შემოქმედებით ძალთა განსავითარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. განთავისუფლება მსოფლიოსი ინგლ.ის-ამერიკის იმპერიალიზმისაგან, რაიცა აუცილებელი პირობაა ერთა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის და თანმშრომლობისათვის.

დიდი აღფრთოვანებით მიეგება კონგრესსი ამ განცხადებათ ხიუნდერმანისა, მიიღო და აღიარა იგინი, და ამ ახალი აღსარებითა და რწმენით დაბრუნდენ ევროპის ჟურნალისტები თავიანთ ქვეყნებში, რომ შეუდგენ მათი დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობის აღსრულებას.

ამგვარად ისახება ძნელად მაგრამ ნათლად იდეა ევროპის ერთობისა, რომლის განხორციელება შესაძლებელი და აუცილებელი გახდება ნაციონალ-სოციალისტური და ფაშისტური ერების გამარჯვების შემდეგ მის დიად ბრძოლაში ურიებისა და მათ მიერ ხელძღვანილი კაპიტალიზმისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ქართველო, მუდამ გახსოვდეს!

ქართველო, მუდამ გახსოვდეს
შენი მიწა და წყალია,
არ დაივიწყო სამშობლოს
ზურმუხტი მთა და ბარია.

იქა მარხიან გმირთ-გმირნი
ივერიელთა შვილნია,
რომელთაც მამულისათვის
სიცოცხლე შეუწირნიათ.

არ დაუგდიათ ფარ-ხმალი,
სამფერი დროშა ჩვენია,
და მრავალ სისხლის წვიმაში
მტრისაგან გადურჩენიათ.

მათზე ღვთის რისხვის დამცემნი,
ზეაღმართულნი კედლათა,
მშობელი მიწის დაცვისთვის
ფეხზე დამდგარან ხელათა.

ქართველო! იყავ გულით მხნე,
შეიგნე შენი დიდება,
თავისუფლების ლამპარი
სამშობლოს ცაზე ინთება.

კვლავ აეხსნება ბორკილი,
რაც მან ატარა წინადა,
ქართული რჯული, ნამუსი,
რომ კიაფობდეს წმინდადა.

ნუღარ გვენახოს ორგული,
გვეშღეროს ერთი პირითა,
არ გაგვეტეხოს სამშობლოს
სახელი ჩვენის ძვირითა,

თორემ ცერაგი ჩაგვქოლავს
და გაიხარებს მტერია,
ეშმაკის კერძი გავხდებით
დუშმანის ფერხთა მტვერია.

მაშ, მოძმენ, მარად გვახსოვდეს
ჩვენი მიწა და წყალია,
არ დავივიწყოთ სამშობლოს
ზურმუხტი მთა და ბარია.

ალ. დარეჯანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ისტორიითგან

თევდორე მღვდელი

როდესაც ადამიანი საქართველოს ისტორიას უკვირდება, განცვიფრებაში მოდის: როგორ გაუძლო ამ პატარა ერმა 25 საუკუნის განმავლობაში უთვალავ და უძლიერეს მტერთა განუწყვეტელ იერიშებს? მთლად საქართველო ბრძოლის ველად იყო გადაქცეული. ქართველთა მთელი თაობები აკვდებოდა მტერს. მაგრამ ამ ხალხმა მაინც შეინარჩუნა ეროვნული სახე; მაინც შეჰქმნა ხელოვნების და ლიტერატურის უძვირფასესი საუნჯენი; ააგო უმშვენიერესი ციხე-კოშკები და ეკლესია-მონასტრები; ააშენა ძლიერი და ბრძყინვალე იმპერია დავიოისა და თამარისა. რასაკვირველია ყოველივე ეს საქართველოს ფიზიკური ძალით ვერ აიხსნება. რას წარმოადგენდა კავკასიონის ფერდობზედ მიფენილი, მომხიბლავი სიმშვენიერის, მაგრამ პატარა ივერია არაბეთის, სპარსეთის და ოსმალეთის იმპერიებთან შედარებით? არაფერს! არაფერს ფიზიკურად. მაგრამ მას გააჩნდა უცნაური შინაგანი სულიერი ძალა, სულიერი ძალა ძლიერი და დაუშრეტელი. ეს ძალა უნერგავდა მას ურყევ რწმენას საკუთარი ბედისა და მომავლისადმი. ხოლო როგორც წმიდა სახარება გვასწავლის: „არა რაჲ არს შეუძლებელ მორწმუნესათვის". და ქართველმა ერმა ყოველთვის სძლია კარზედ მომდგარი უბედურობა და ბარათაშვილის მერნით გადალახა ბედის საზღვარი.

აქ მინდა მკითხველს მოუთხრა ერთი პატარა ამბავი ჩვენი დიდი წარსულისა. ამბავი უმნიშვნელო გარეგნულად, მაგრამ დიდი და დიადი თავისი სულიერი შინაარსით. ამ პატარა ამბავში ამოიცნობთ იმ სულიერ ძალას, რომლით საქართველომ ყოველთვის გაიმარჯვა და მარად გაიმარჯვებს უძლიერეს მტრებზედ.

ეს მოხდა 1609 წელს, როდესაც ყირიმელ თათართა დიდრიცხოვანი ჯარი, ჯელალ და ფერად ფაშების უფროსობით, საქართველოს სრულიად მოულოდნელად შემოესია. იმ დროს საქართველოს მეფე ლუარსაბი მანგლისის ახლოს სააგარაკოთ იმყოფებოდა მტერმა მანგლისი დაიპყრო და დაუყოვნებლივ მეფის ბინისაკენ გაემართა, რათა იგი ხელთ ეგდო და მით ომის ბედი გადაეწყვიტა. სოფელ კველთაში ჯელალ ფაშამ იქაური მღვდელი თევდორე შეიპყრო და უბრძანა მეფის აგარაკისაკენ უახლოესი გზა ეჩვენებია. ურჩობას ან ღალატს წამებით სიკვდილი მოჰყვებოა, უთხრეს მღვდელს, და კისრის კვრით წინ გაიგდეს. და, აი, შინაგანი დრამა გაუნათლებელი და მდაბიო სოფლის მღვდელისა: ან უნდა ულალატოს მეფეს და მით დაღუპოს სამშობლო, ან უნდა მოატყუოს მტერი. ხოლო ამას მოჰყვება საშინელი სიკვდილი და საყვარელი ცოლ-შვილის დაობლება, ... ალბათ მათი წამებაც. რა გენიის ცეცხლი ენთო ამ წყეულ წუთებში საბრალო თევდორეს გულში, რა კორიანტელი ტრიალებდა მის შინაგან მსოფლიოში! ვინ უწყის? ანდა ვინაა ადამიანის ზნეობრივ განცდათა აღმნუსხავი და გამზომელი? ამ დრამატიული შინაგანი ბრძოლითგან თევდორე მღვდელი გამარჯვებული გამოვიდა: იგი არ ულალატებს მეფეს და საქართველოს! ყოველი ღირსეული მამულიშვილი უნდა სცოცხლობდეს სამშობლოსთვის და საჭიროების დროს იგი მას მსხვერპლად შეეწიროს! სოფლითგან გამოსელისას თევდორემ მოახერხა და ერთ გლეხს ჩასჩურჩულა: „აბა, აფრინეთ ცხენით შიკრიკი მეფესთან, მე კი ამ ურჯულოებს გზა-კვალს ავუბნევ". და მტრის ჯარი მართლაც უკუღმართი მიმართულებით წაიყვანა. მან დიდხანს ახეტიალა ხრიოკ ადგილებში და ბოლოს ისეთ დაბურულ ტყეში გაიბა, რომლითგან გზის გამოკვლევა ძნელი საქმე იყო. აქ თავგანწირული მღვდელი შეჩერდა, შემოტრიალდა და ფაშას თვალი თვალში გაუყარა. „მოგვატყუე, გიაურო, ახლავე ძაღლივით მოგაკვლევინებ!" მრისხანებით დაიღრიალა გააფთრებულმა ჯელალმა. თევდორე მღვდელს პირზედ ბედნიერების ღიმილმა გაუელვა და ამ ღიმილში გამოკრთოდა მისი სპეტაკი და ძლიერი სული. მისი სახე უკვე წმიდანის სხივოსნობას გენათებინა. ეხლა დიდი მამულიშვილი მზად იყო წამება მტკიცედ და ურყევად მიეღო. „ფაშავ, მე ჩემი მოვალეობა შევასრულე... და ეხლა აღასრულე შენი საწადელი."

თევდორე ჩაიყვანეს იქვე ხევში და საშინელი წამებით მოჰკლეს. როდესაც თევდორეს ჯალათები ხიშტების წვერებით სჩხვლეტდენ, მას თვალები ზეცისაკენ ჰქონდა აღპყრობილი და ერთი კვნესაც კი არ ამოუშვია. უკანასკნელ წუთებში, როდესაც ამა ქვეყნითგან განმავალი ზეციური მეუფის წინაშე უნდა წამდგარიყო, მას საკუთარი სულის შეეედრებაც კი დაავიწყდა და მისი უკანასკნელი მხურვალე ლოცვა სამშობლოს შეეედრება იყო: „ყოველად წმიდაო ღვთის მშობელო, მოხედე და უპატრონე შენს ხვედრს საქართველოს"!

ძველი ლეგიონერი

ქართველ ლეგიონერებს

ქართველო ძმებო! მთების არწივნო,
სამშობლო ქვეყნის ლაღო შვილებო,
ომის ქარცეცხლში შობილნო გმირნო,
ოხვრით და ტანჯვით გამოზრდილებო.

გიცქერით, ძმებო, თქვენივე მოძმე
ბანაკში მყოფი, მთებში შობილი
თქვენთან ნატანჯი, თქვენთან ნაწამი,
თქვენთანვე სიმწრით გამოწრთობილი.

ამღერდა გული, რომ დაგინახეთ
ისევ სალაშქროთ გამოწყობილი,
გულ-უშიშარნო, რაინდო ძმებო,
თქვენ მიდიოდით ხმაშეწყობილი.

თუ დღეს, ძმობილნო, ჩვენს ქვეყანაში
უწმინდურები ურცხვად დადიან
და სისაძაგლეს, რაც სხვამ დაგვაკლო,
ახლა ისინი მტრულად სჩადიან,

გულს ნუ გაიტეხთ! მათი იქ ყოფნა
დროებითია, მოკლე-ვადიან
და დამკვიდრებას საქართველოში
მტერნი ნუროდეს დაიქადიან.

დიდი სარდალის დროშა მართალი
ზედ იალბუზზე დგას და ფრიალებს.
მისივე ძირში, ხევში, ღელეში
დახეთ, დაჭრილი დათვი ღრიალებს!

მაშ წინ! ვაჟებო! გულით კაჟებო!
ლომებს მიჰყევით მიაბით მხარი,
გული-რკინისა, მკლავი ლომისა,
სისწრაფე გქონდეთ არწივზე ჩქარი.

ნურც შეგაშინებთ, ვერც შეგაკავებთ
მტრის ბანაკიდან დაძრული ქარი,
გულში იმედი გქონდეთ იწამეთ,
რომ გამარჯვება ხვალ ჩვენი არი!

დ. თიანელი

არჩილ ჯორჯაძის ხსოვნის საღამო

20 ივნისს ბერლინში შესდგა ქართველ მამულიშვილთა საგანგებო კრება, მიძღვნილი ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის არჩილ ჯორჯაძისადმი, მისი გარდაცვალების 30 წლის თავზე.

როგორც ცნობილია, 1913 წლის 21 მარტს ბათომში გარდაიცვალა მძიმე სენით შეპყრობილი მწერალი არჩილ ჯორჯაძე. მისი დაკარგვა დიდი გულის ტკივილით აღნიშნა მაშინდელმა თითქმის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ქართველობამ, რათგან არჩილი ეროვნულ უფლებათა აღდგენისათვის ბრძოლის ერთერთი მებაირაქტრე იყო იმ ხანაში, როცა ქართველი ხალხის ეროვნულ სულისკვეთებას ერთი მხრივ რუსეთის ცარიზმი ხშავდა, ხოლო მეორე მხრივ, მას ჩვენში ახლად აღმოცენებული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობაც უგულებელ ყოფდა. არჩილ ჯორჯაძემ სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად პირველმა დააყენა საკითხი საქართველოს ავტონომიისა და მას გვერდში ამოუდგა მოწინავე მებრძოლი ქართული ინტელიგენცია.

ბერლინის ქართველთა კოლონიამ სათანადოდ აღნიშნა ა. ჯორჯაძის გარდაცვალების 30 წლისთავი. მოგონებებით არჩილ ჯორჯაძის შესახებ გამოვიდნენ პროფ. ზ. ავალიშვილი და პროფ. მ. წერეთელი. პირველის მოგონება —(წაიკითხა პროფ. მ. წერეთელმა)— შეიცავდა მეტად საინტერესო ფაქტებს და მასალებს არჩილ ჯორჯაძის ბიოგრაფიისათვის. პროფ. მ. წერეთელმა კი ვრცლად მოუთხრო დამსწრეთ იმ ბრძოლის შესახებ, რომელსაც დაუღალავად ეწეოდა საზღვარგარეთ და სამშობლოში არჩილი ეროვნული მებრძოლი სოციალიზმის შესაქმნელად საქართველოში გაბატონებული მარქსიზმის საწინააღმდეგოდ და საქართველოს ეროვნულ უფლებათა დაცვისათვის.

ვრცელი მოხსენებით არჩილ ჯორჯაძის, როგორც მოაზროვნის შესახებ, გამოვიდა ბატონი მ. ტუღუში.

მწერალმა აკაკი პაპავამ თავის მოხსენებაში დაახასიათა ეროვნული ერთობისათვის ამ დიდი და დაუღალავი მებრძოლის სპეტაკი სახე.

საღამოზე წაკითხულ იქნა ბეგლარ ახოსპირელის ლექსი „გამოთხოვება“, რომელიც გლოვის დღეებში მიეძღვნა უდროოდ დაკარგულ მწერალს და პოლიტიკურ მებრძოლს.

საღამო დიდად შინაარსიანი იყო და მას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

ქართველ ლეგიონერთა ორგანოს „საქართველო“-ს ერთი წლის თავი

ერთი წელიწადი შესრულდა, რაც გაზეთი „საქართველო“ გამოდის. ეს გაზეთი დაარსებული იყო ქართველ ლეგიონერთათვის ერთი წლის წინათ.

პირველი პასუხისმგებელი რედაქტორი, გამომცემელი და სახელმწოდებელი გაზეთისა იყო გიორგი ფრონელი, რომლის ხელმძღვანელობით გამოიცა თერთმეტი ნომერი. გარდა პასუხისმგებელ რედაქტორის მოადგილის კ. ბოგაშელისა, გაზეთ „საქართველო“-ს თანამშრომლები იყვნენ: ბ.ბ. პროფ. მიხელ წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, ზურაბ ავალიშვილი, გრიგოლ დიასამიძე, ლეო კერესელიძე, ტოგო, ა. მ., ა. დარეჯანიძე, მთიული და მათთან კიდევ სხვები. შემდეგ ამ გაზეთის გამოცემა იკისრეს თვით ლეგიონერებმა.

ჟურნალი „ქართველი ერი“-ს რედაქცია ულოცავს „საქართველო“-ს თანამშრომლებს გაზეთის დაარსების ერთი წლის თავს და უსურვებს მათ, მათი ღვაწლის ნაყოფიერად განგრძობას ბოლშევიზმის მოსასპობად და საქართველოს თავისუფლების აღსადგენად.

გამომცემელი: ქართული ეროვნული კომიტეტი

პასუხისმგებელი რედაქტორი: გიორგი ფრონელი
პასუხისმგებ. რედაქტორის მოადგილე: კ. ბოგაშელი

რედაქციის მისამართი:
„Das Georgische Volk“, Berlin-Charlottenburg, Kantstr. 158,
Telefon: 91 59 01, 91 58 49.